ყაზბეგი
ევროპული
ბიბლიოთეკა

ლელო

№045 (12 421) 25 თებერვალი ორშაბათი 2008
გამოდის 1934 წლიდან

ფასი 50 თეთრი



# რეალის მარცხმა პრიმერა გაალოცხლა

ევროუიქენდის მიმოხილვა 6-9




ტოტენჰემმა ჩელსის ლიგის თასი არ დაანება 7

# ძნელი მოგება ესტადიოს ტალახში

FIRA AER Association Européenne Rugby

## ტიმ ლეინის ზედიზედ მესამე გამარჯვება

**23 თებერვალი. ლისაბონი**
**პორტუგალია-საქართველო 6:11**

პორტუგალია: (15-9) კაბრალი, აგილარი, დავიდ მატეუში, დიოგო მატეუში, ფორო (ეშტევეში, 50), დ. პინტუ, კადოში (მაგალიაეში, 78); (1-8) აგიარი (გ. დუარტე, 67), კორეია, მურე, კუნია, სამოსა, ა. დუარტე (პალია, 75), ჟ. უვა, ჟირაუ - *2ს კაბრალი*

საქართველო: (15-9) ბარკალაია, შკინინი, კაჭარავა, გიგაური, ჩხიკვაძე, მალალურაძე, აბუსერიძე სბ 48 (სამხარაძე, 76); (1-8) შველიძე, ნატრიაშვილი (დადუნაშვილი, 58), ქუბრიაშვილი (ფეიქრიშვილი, 41), დათუნაშვილი, უჩავა, ჩხაიძე, ურუშაძე, ბასილაია (ს.მაისურაძე , 46) - *ლ (ჩხიკვაძე), ს (ბარკალაია), ა (მალალურაძე)*

მსაჯი: ნილ პატერსონი (შოტლანდია)

ბესიკ ჯანგავაძე

**საქართველოს მორაგბეთა ნაკრებმა ლისაბონში, "ესტადიო უნივერსიტარიოს" ატალახებულ მოედანზე ძნელი გამარჯვება მოიპოვა 11:6. ეს ახალი მწვრთნელის, ტიმ ლეინის ზედიზედ მესამე გამარჯვებაა.**

ლისაბონში მშვენიერი დარი იდგა, მაგრამ თამაშის დღეს ამინდი შეიცვალა. თავსხმა წვიმასა და ატალახებულ მოედანზე თამაში ჭირდა, რაც ტექნიკური არსენალის სრულად გამოყენების და ხელდახელ თამაშის საშუალებას არ იძლეოდა

პორტუგალიელებმა ბორჯღალოსნებს წინა მატჩისგან აბსოლუტურად განსხვავებული შემადგენლობა დაუპირისპირეს. ძირითად თხუთმეტეულში გამოსულთაგან საფრანგეთის მსოფლიო თასზე თხუთმეტივემ ითამაშა. ყველაზე კარგი შევსება "ლობუშებმა" მაინც უკანა ხაზში მიიღეს. გარემარბი **ანტონიო აგილარი** და შუამარბი **დიოგო** და **დავიდ მატეუშები** მნიშვნელოვანწილად განსაზღვრავენ ამ გუნდის ძალას.

11



შაბათს, ლისაბონში. პორტუგალიელთა შეტევა



გუშინ მცხეთაში. ვიტ ჯორჯია-ზესტაფონი 2:1. ბეჟვაიამ (21) ანგარიში გახსნა

ნუგზარ სუარიძის ფოტო

# ორი მარცხი სამეულში

## სიურპრიზები მეორე წრის სტარტზე

საქართველოს ჩემპიონატი. მეორე წრე. XIV ტურის მიმოხილვა

**2-4**

**ერთი მატჩი ხვალ და ერთიც 11 მარტს**



გახსენი...
ყაზბეგი
ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი
www.kazbegi.com
www.pfl.ge



# დინამოს საჩემპიონო ჯერ არაფერი აწყენია

**დინამო-ოლიმპი**

**1:2**

23.02. თბილისი. ეროვნული
300 მაყურებელი

0:1 დევდარიანი (55. სტეფნაშვილის პასით), 0:2 ომელიანოვი (63. დევდარიანის პასით), 1:2 მერებაშვილი (87. ვანაძის პასით)

დინამო: ლორია - შ. კაშია, ზელიჩი, კრშკო, დობეში - ოდიკაძე, ხმალაძე, დილმელაშვილი, გრიგალაშვილი (58. სპასოევიჩი), გ. მერებაშვილი - ხუციშვილი (80. ვანაძე)

სათადარიგოები: ლოსაბერიძე, თომაშვილი, გ. კაშია, გველესიანი, ნერგაძე

ოლიმპი: მერლანი - სილაგაძე, მახვილაძე, ჭიჭველიშვილი - კახელიშვილი (81. სებისკვერაძე), სტეფნაშვილი (85. აფრიამაშვილი), ჯოჯუა,-დევდარიანი (88. გ. იაშვილი), ნ. მგელაძე, გენაძე - ომელიანოვი

სათადარიგოები: შეყრილაძე, აკუასაგა, გ. რეხვიაშვილი, ყრუაშვილი

გაფრთხილება: გრიგალაშვილი (39), კახელიშვილი (75), მგელაძე (77), სებისკვერაძე (88)

არბიტრი: დ. ხარიტონაშვილი

**3**. მეკარესთან პირისპირ გასულმა მერებაშვილმა კარს ააცილა.

**9.** მერებაშვილის ჯარიმა არაზუსტი იყო.

**11.** კრშკოს ძლიერი დარტყმა მერლანმა მოიგერია.

**22.** ომელიანოვი მეკარესთან პირისპირ გავიდა, მაგრამ კარში ვერ დაარტყა, ბურთი გენაძეს მიუვიდა, რომელმაც კარს ააცილა.

**36.** ომელინოვმა გენაძის ჩაწოდებულს ვერ მიუსწრო.

**43.** გრიგალაშვილმა ხმალაძე მერლანთან ერთი-ერთზე გაიყვანა, ხმალაძემ ააცილა.

**51.** დევდარიანი-სტეფნაშვილი-ომელიანოვი-გენაძის მრავალსვლიანი კომბინაცია ლამაზი, მაგრამ უშედეგო გამოდგა.

**55.** 0:1 - გენაძის წამოწყებული კომბინაცია მარცხენა ფლანგიდან სტეფნაშვილმა გააგრძელა, რომელმაც ცარიელი კარის წინ მდგომ დევდარიანს დაუგორა.

**63.** 0:2 - დევდარიანმა "დინამოს" მცველებს თავბრუ დაახვია, ლორიასაც გასცდა, საგოლე დარტყმა კი ომელიანოვმა შეასრულა.

**73.** კახელიშვილის დარტყმა მეკარემ მოიგერია

**87.** 1:2 - შეცვლაზე შესულმა ვანაძემ მერებაშვილს მოკლე პასი მისცა, ამ უკანასკნელმა ერთი შეხებით გადაგზავნა ბურთი სტუმართა კარში.




ერთპიროვნულმა ლიდერმა და მოქმედმა ჩემპიონმა სეზონი არცთუ წარმატებულად განაახლეს - თასზე "დინამო" გორში "სპარტაკთან" ნულოვან ფრეს დასჯერდა, "ოლიმპმა" კი "ზესტაფონთან" რუსთავში მინიმალურად წააგო. ერთი კვირის შემდეგ კი პროგრესი მხოლოდ "ოლიმპს" ეტყობოდა, სტუმარმა "დინამოს" დამსახურებულად სძლია.

თითქმის მთელი მატჩის განმავლობაში **დუშან უჰრინის** ფეხბურთელები უმიზნოდ მოძრაობდნენ, მაშინ როცა **ანატოლი პისკოვეცის** შეგირდებმა ზუსტად იცოდნენ, რა უნდოდათ და როგორ მიეღწიათ სანადელისთვის. ბურთს უფრო ხშირად მასპინძლები ფლობდნენ, მომენტების შექმნა მხოლოდ პირველ ტაიმში მოახერხეს, მაშინ, როცა სტუმრები რიგიან კონტრიერიშებს მთელი თამაშის განმავლობაში ახორციელებდნენ.

"დინამოს" დაცვა საშინლად მოქმედებდა, განსაკუთრებით მარცხენაფლანგელი **რომან დობეში** სცოდავდა. შეტევის ამ ფრთიდან "ოლიმპს" ყველაფერი გამოსდიოდა. **გენაძე** და **კახელიშვილი** მორიგეობით ახერხებდნენ "დინამოს" უკანა ხაზში ნაპრალების ამოჩენას, რასაც მწვავე ჩაწოდებები და გამჭოლი გადაცემები მოჰყვებოდა ხოლმე.

კვლავ საიმედო იყო "ოლიმპის" გამოცდილი უკანა ხაზი, მეკარეც მოწოდების სიმაღლეზე იდგა და რუსთაველთა შუა ხაზიც ძალიან ნაყოფიერად ირჯებოდა. განსაკუთრებით ახალგაზრდა **დავით დევდარიანი** უნდა გამოვყოთ, რომელიც თვალსა და ხელს შუა პროგრესირებს. მეორე გოლისას მან "დინამოს" მთელ დაცვას პირადად აჯობა. წინა შეხვედრისგან განსხვავებით, უკრაინელმა **ომელიანოვმაც** დაგვანახა, რომ ეროვნულ ჩემპიონატს საინტერესო ლეგიონერი ჰყავს.

საკადრო პრობლემები ორივე გუნდს ჰქონდა, მაგრამ განაცხადში შეყვანილი ფეხბურთელები პისკოვეცმა უფრო გონივრულად გამოიყენა. უჰრინმა **სპასოევიჩს** ძირითადში ადგილი არც ტრავმირებული **აკირემის** არყოფნისას ანდო და ცენტრფორვარდად **მიხეილ ხუციშვილი** გაამწესა. არადა, ყველამ იცის, რომ ამ უკანასკნელს შეტევის სიღრმიდან გაცილებით კარგად გამოსდის საქმე. ინერტული იყო "დინამოს" შუა ხაზი, დაცვაზე უკვე მოგახსენეთ, კარში კი **ოვონოს** დისკვალიფიკაციის გამო, **ლორია** იდგა...

თუკი პირველ ტაიმში "დინამო" ასე თუ ისე, ნორმალურად გამოიყურებოდა, შესვენების შემდეგ პისკოვეცმა უჰრინი ტაქტიკურ ბრძოლაში აშკარად დაჯაბნა. თუმცა თავისუფლად შეიძლებოდა, "დინამოს" პირველ ტაიმში გამარჯვებისთვის საჭირო უპირატესობა მიეღო. ყველაზე რეალური შანსები ხელიდან **მერებაშვილმა** და **კრშკომ** გაუშვეს - პირველი მეკარესთან პირისპირ გავიდა და ააცილა, სლოვაკის უძლიერესი დარტყმული კი **მერლანმა** ეფექტური ნახტომით კუთხურზე მოიგერია. გატანა ხმალაძესაც შეეძლო, რომლის დარტყმაც არაზუსტი გამოდგა. ამის საპასუხოდ, მატჩის პირველ ნახევარში ორ ოლიმპელს შეეძლო წარმატებით დაელაშქრა მეტოქის კარი - მეკარესთან პირისპირ გასული **ომელიანოვი** დაიბნა, ვერც **გენაძემ** დაამატა რიგიანად, ტაიმის ბოლოს კი გენაძის ჩაწოდებულს უკრაინელმა თავი ვერ წაჰკრა.

მეორე ტაიმში კი "ოლიმპის" ტაქტიკამ შედეგი გამოიღო და მატჩის მიწურულს გატანილი გოლის მიუხედავად, "დინამოს" თამაშის გადარჩენის რეალური შანსი და პერსპექტივა არც ჰქონია. როგორც ვთქვით, მეორე 45 წუთში პისკოვეცის გუნდმა გაცილებით გააზრებულად და მიზანმიმართულად ითამაშა, "ოლიმპის" გამარჯვება სავსებით ლოგიკური იყო, ფრეც კი არაკანონზომიერი შედეგი იქნებოდა...

**ლევან ჯანეზაშვილი**

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. დინამო | 14 | 12 | 0 | 2 | 36-6 | 36 |
| 2. ვიტ ჯორჯია | 14 | 11 | 1 | 2 | 27-9 | 34 |
| 3. ზესტაფონი | 14 | 11 | 1 | 2 | 27-8 | 34 |
| 4. ოლიმპი | 14 | 8 | 3 | 3 | 15-9 | 27 |
| 5. ბორჯომი | 14 | 7 | 4 | 3 | 17-10 | 25 |
| 6. ამერი | 14 | 7 | 1 | 6 | 22-17 | 22 |
| 7. მესხეთი | 13 | 6 | 2 | 5 | 15-17 | 20 |
| 8. მგლები | 13 | 5 | 0 | 8 | 14-19 | 15 |
| 9. სიონი | 13 | 4 | 3 | 6 | 16-17 | 15 |
| 10. მერანი | 14 | 4 | 1 | 9 | 8-23 | 13 |
| 11. სპარტაკი | 13 | 3 | 3 | 7 | 5-14 | 12 |
| 12. ლოკომოტივი | 14 | 3 | 1 | 10 | 9-22 | 10 |
| 13. დილა | 14 | 1 | 4 | 9 | 7-24 | 7 |
| 14. ბათუმი | 14 | 1 | 2 | 11 | 5-28 | 5 |

**ხვალ**

| | |
|---|---|
| 14:00 | სპარტაკი-სიონი |

**მომდევნო ტური**

**1 მარტი. შაბათი**

| | |
|---|---|
| 15:00 | ზესტაფონი-მესხეთი |
| 15:00 | სიონი-დინამო |
| 15:00 | ლოკომოტ.-ვიტ ჯორჯია |
| 15:00 | ბორჯომი-სპარტაკი |

**2 მარტი. კვირა**

| | |
|---|---|
| 15:00 | ოლიმპი-ბათუმი |
| 15:00 | დილა-ამერი |
| 15:00 | მერანი-მგლები |

**XIV ტურის გამოტოვებული მატჩი**

**11 მარტი, სამშაბათი**

| | |
|---|---|
| 15:00 | მგლები-მესხეთი |

# ამერს სათასო გზაღა დარჩა

**ამერი-ლოკომოტივი**

**1:1**

24.02. თბილისი. ეროვნული
500 მაყურებელი

1:0 დეკანოსიძე (29. პენ), 1:1 ქუცურუა (77)

ამერი: ნადირაშვილი - კაკაშვილი (63. მესხი), დავითნიძე, დიდავა, ჩიკვილაძე - სილაგავა (67. დოლიძე), შალამბერიძე, დობროვოლსკი, დეკანოსიძე - დავითაშვილი, რ. გოცირიძე (70. ტატანაშვილი)

ლოკომოტივი: მ. ალავიძე - გუშარაშვილი, ლ. ჩაგელიშვილი (34. ფარულავა), დ. ფოფხაძე, გ. კვახაძე - ქუხილავა, ქუცურუა, გულორდავა, კაჭახიძე (46. დ. ჩაგელიშვილი), ბარბაქაძე - ალავერდაშვილი (60. გილაური)

გაფრთხილება: ქუცურუა (17), გ. კვახაძე (43), ბარბაქაძე (85)

არბიტრი: მ. ურუშაძე

როგორც ჩანს, "ამერის" კრიზისი გრძელდება. გლდანელებმა ჩემპიონატში საქმე კიდევ უფრო გაიფუჭეს და იმთავითვე ნათელია, რომ აქცენტს თასის გათამაშებაზე გააკეთებენ. თუ **გიორგი ჩიხრაძის** გუნდმა ეს ტიტული ზედიზედ მესამედ ვერ მოიგო, ევროტურნირებზე სხვაგვარად, ალბათ, ვერ გავა.

"ლოკომოტივი" ამ ქულის მიუხედავად, ჯერაც გასავარდნ ზონაში რჩება, მაგრამ რკინიგზელებს ნამდვილად აქვთ უმაღლეს ლიგაში ადგილის შენარჩუნების პერსპექტივა. **გიორგი კიკნაძის** გუნდმა უცხოური შეკრებაც გაახერხა, რამდენიმე ფეხბურთელით გაძლიერდა და გუშინდელ მატჩში რიგიანად გამოიყურებოდა.

"ამერს" სათამაშო და ტერიტორიული უპირატესობა კი ჰქონდა, მაგრამ "ლოკომოტივს" კონტრიერიშები კარგად გამოსდიოდა და ნადირაშვილს საკმაოდ ხშირად უხდებოდა საქმეში ჩართვა. გატანილი გოლის შემდეგ მასპინძლები ოდნავ მოდუნდნენ და სტუმრებს მეტი სივრცე მიეცათ. **ქუცურუას** ზუსტი დარტყმის შემდეგ გადამწყვეტი ინიციატივა ვერავინ გამოიჩინა და გუნდებმა ქულა გაიყვეს. ბუნებრივია, ეს შედეგი "ლოკომოტივისთვის" უფრო მისაღებია, რკინიგზელებმა საკუთარი ძალებისა ირწმუნეს და მომდევნო ტურებში შეეცდებიან სახიფათო ზონის დატოვებას.


გიორგი ჩიხრაძე

**ავთო ცეცხლაძე**

გახსენი... ყაზბეგი

www.kazbegi.com

ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი

www.pfl.ge

## საქართველოს ჩემპიონატი

უმაღლესი ლიგა. მეორე წრე. XIV ტური

**ვიტ ჯორჯია-ზესტაფონი**

**2:1**

24.02. მცხეთა. არმაზი

მაყურებელი

1:0 ბეჭვაია (30) 2:0 მელქაძე (39), 2:1 ბიტოო (90)

ვიტ ჯორჯია: ბედიაშვილი - ბეჭვაია, ა. კვახაძე, ლომაია, ჯაფარიძე - გ. დათუნაიშვილი, რაზმაძე, მელქაძე (90. ყველაშვილი), კლიმიაშვილი - ლუჭაშვილი (73. ცხადაძე), სახოკია (85. კვალინიძე)

*სათადარიგოები:* ლურბელეიშვილი, ინჯგია, ბერიაშვილი, ლიპარტია

ზესტაფონი: ჭანტურია - ლობჟანიძე, ლონლაძე (78. ბიტოო), საჯაია, თოდუა - ნ. კვასხვაძე (41. ჟონატასი), ხიდეშელი (69. დაუშვილი), ბენაშვილი, ონიანი - გოცირიძე, იონანიძე

*სათადარიგოები:* რ. კვასხვაძე, გორგიაშვილი, ხუმარაშვილი, გელაჭეიშვილი

არბიტრი: ლ. ფანიაშვილი

**2.** სევასტი თოდუას შორეული დარტყმა - გრიგოლ ბედიაშვილს ბურთი ხელიდან გაუვარდა, მაგრამ დამატებაზე ვერავინ ივარგა.

**10.** ზურაბ იონანიძის ფლანგურ ჯარიმას ედიკ საჯაიას არაზუსტი თავური მოჰყვა.

**23.** ვასილ ლუჭაშვილმა რთული მდგომარეობიდან არაზუსტად დაარტყა.

**26.** ლუჭაშვილის სუსტი თავური გრიგოლ ჭანტურიას ხელებში მიუვიდა.

**30.** 1:0 - გიორგი მელქაძემ მარჯვენა ფლანგიდან ჯარიმა ჩააწოდა, ლექსო კვახაძემ ბურთს მიმართულება შეუცვალა, შორეულ ძელთან ჩასაფრებულმა გიგა ბეჭვაიამ კი თავურით გაიტანა.

**32.** ლუჭაშვილმა კარგად იბრძოლა "ზესტაფონის" საჯარიმოში, თუმცა დარტყმა ძლიერი არ გამოუვიდა და ჭანტურიამ იოლად მოიგდო ბურთი ხელებში.

**39.** 2:0 - ზაზა სახოკია კარგად გაისარჯა, ბურთი მელქაძეს დაუგდო, რომელმაც კარიდან ცოტა წინ გამოსულ ჭანტურიას ოსტატურად გადაუგდო თავზე.

**45.** იონანიძემ კუთხურიდან კარში მოინდომა ჩახვევა, ბედიაშვილმა ბურთი ძლივს მოიგერია, დამატებაზე გიორგი ხიდეშელი შეეცადა გატანას, მაგრამ ბურთი ხარიხას გადაავლო.

**52.** გიორგი დათუნაიშვილმა თოდუას ასწაპნა ბურთი, ჭანტურიასთან პირისპირ დარჩა, მაგრამ მეკარეს ვერ აჯობა, სახოკიამ დაამატა, თუმცა ოცდაათიოდე მეტრიდან მიზანი ვერ გაისწორა.

**64.** ჯარიმა იონანიძემ მოინაგრა, ლექსო ბენაშვილის დარტყმული ძელმა აისხლიტა.

**90.** 2:1 - ბექა გოცირიძის ჩინებული პასით ეტიენ ბიტოო ბედიაშვილთან პირისპირ დარჩა, გასცდა მას და ცარიელ კარში შეაგდო.



თემურ მახარაძე



ნესტორ მუმლაძე

# ვაქცინაცია მცხეთაში

"ვიტ ჯორჯიამ" დამსახურებულად მოიგოო, აღნიშნა მატჩის შემდეგ ზესტაფონელთა თავკაცმა **თემურ მახარაძემ** და მას ვერც ჩვენ შევედავებით.

ის კია, "ზესტაფონისგან" უფრო მეტს ველოდით. სხვათა შორის, მახარაძემ საკადრო პრობლემებზეც დაიჩივლა. "ზესტაფონს" დისკვალიფიცირებული ჰყავდა **პოლ კესანი**, ჯერაც გაურკვეველია, "ზესტაფონში" დაბრუნდება თუ არა **ვიეირა** - ეს ორი შუახაზელი გუნდის ხერხემალს წარმოადგენდა.

საშუასეზონო პერიოდში "ზესტაფონი" დატოვეს **გოგი ფიფიამ, გიორგი ნოდარის ძე ჭელიძემ** და **გიორგი ნუგზარის ძე ჭელიძემ**. "ზესტაფონს" დაუშავდა **ნიკა გელაშვილი**, ვინც იქ "ვიტ ჯორჯიიდან" გადავიდა. როგორც უნდა იყოს, "ზესტაფონის" ასეთი უნიათო თამაში მოულოდნელი გამოდგა - "ვიტ ჯორჯიამ" ყველაფერში დაჯაბნა მეტოქე.

"ვიტ ჯორჯია" უფრო დინამიურ და სწრაფ ფეხბურთს თამაშობდა გუშინ, უფრო აგრესიულად მოქმედებდა. ტაქტიკურადაც უკეთესად გამოიყურებოდა. "ზესტაფონი" ვერც ცალკეული ფეხბურთელების ინდივიდუალური თამაშით გამოირჩა, ერთი ეგ იყო, **ბექა გოცირიძემ** რამდენჯერმე გაამწვაა თამაში.

მახარაძემ მეორე ტაიმში შეცვლებით სცადა ვითარების გამოსწორება, თუმცა ამანაც ვერაფერი უშველა "ზესტაფონს". მატჩის ბოლოს "ზესტაფონი" 4-4-2-დან 3-5-2-ზე გადავიდა, რითაც მის ქაოტურ შეტევებს ძალა და გონი არ მომატებია, თუმცა შეხვედრის ბოლო წამებზე ერთი გოლის გაქვითვა კი მოახერხა.

ასეთი თამაშითა და ასეთი კადრებით "ზესტაფონს" ძალიან გაუჭირდება საჩემპიონო რბოლაში - ვფიქრობ, ამას "ზესტაფონშიც" ძალიან კარგად ხვდებიან.

**ნესტორ მუმლაძის** გუნდი კი ამ გამარჯვებით ლიდერ "დინამოს" კიდევ უფრო მიუახლოვდა და ალბათ, სერიოზულად დაფიქრდება ჩემპიონობაზე.

**რჩეული**

**გიორგი მელქაძე**

საგოლედ ჩახვეული ჯარიმა და სამი საცქერი გოლი - მატჩის საუკეთესო მოთამაშედ გიორგი მელქაძეს თუ დავასახელებთ, მის თანაგუნდელებს ალბათ არ ეხამუშებათ - გიორგი დათუნაიშვილმა და ვასილ ლუჭაშვილმაც მნიშვნელოვანი სამუშაო შეასრულეს, თუმცა მელქაძემ ისეთი ჯადო-გოლი გაიტანა, რომ...

**დავით თავართქილაძე**

მცხეთა-თბილისი



GEO FM 95.1

ავტორადიო თბილისი

www.kazbegi.com
გახსენი... ყაზბეგი
ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი
www.pfl.ge

# ბათუმში ჯერ ისევ კრიზისია...

**ბათუმი-დილა**

**0:0**

23.02. ბათუმი. ადელი
100 მაყურებელი

ბათუმი: სტურუა, კუნჭულია, გალოგრე, მაკარიანი, თედორაძე, თურმანიძე, ცანავა (66. დემურაძე, 69. ბაჯელიძე), ბეჟანიძე, ქებაძე, კაკალაძე (65. ტულუში), ქუთათელაძე.
*სათადარიგოები:* ლ. მახარაძე, ბ. მახარაძე, კაკაბაძე, თოთლაძე.
დილა: ილურიძე, ტლაშაძე, ბერიანიძე, გვიტაძე, ლაცაბიძე, ბალაშვილი, ნოზაძე, სულთანიშვილი (90. ვარდოსანიძე), ჩიტაია (59. საყვარელიძე), შატაკიშვილი, მიქაძე.
*სათადარიგოები:* კეჩხუაშვილი, ლომიძე, ბალიაშვილი, იჩქითი, წინამძღვრიშვილი.
გაფრთხილება: ტლაშაძე (75), მიქაძე (60)
არბიტრი: ა. კრიჭაშვილი

სატურნირო ცხრილის ფსკერზე მყოფი გუნდების დაპირისპირება პრინციპული იყო - "ბათუმსა" და "დილას" ქულები ჰაერივით სჭირდებათ. ორივე გუნდი პირველი ლიგიდან გავარდნის კანდიდატია. ამ ფრემ ბათუმელების გავარდნის შანსები გაზარდა.

მატჩი სწრაფი გოლით დაიწყო. გორელებმა **სტურუას** კარი პირველივე წუთზე აიღეს. **ნოზაძემ** ბურთი მარცხენა ფლანგიდან ბათუმელთა საჯარიმოში ჩაკიდა, **გიორგი მიქაძემ** კი მიმართულება შეუცვალა. გორელებმა გაიხარეს, მიქაძეს გოლი მიულოცეს, მაგრამ ამაოდ - მსაჯმა თამაშგარე დააფიქსირა.

მორიგი შეტევა ბათუმელებმა განახორციელეს, **თურმანიძემ ცანავას** გადააწოდა, ირაკლიმ დაარტყა და... **ქუთათელაძის** მისამართით კარგი გადაცემა გამოუვიდა. ამ უკანასკნელმა დაარტყა კარში მაგრამ გატანა ვერ მოახერხა.

მე-15 წუთზე სტუმრების შეტევა **გალოგრემ** კინალამ ავტოგოლით დაავგირგვინა. ბათუმელთა ტანმაღალ მცველს ბურთი აეჭრა და ოდნავ ასცდა მასპინძელთა კარს.

მოკლედ ლამის ნახევარი საათი თამაში ბათუმელების კართან მიდიოდა, მაგრამ რეალური საგოლე მომენტი მხოლოდ ერთი შეიქმნა. ტაიმის ბოლოსკენ კი მატჩის სადავეები უკვე ბათუმელებს ეპყრათ ხელთ. ერთ-ერთ ეპიზოდში **კუნჭულიამ** მოედნის ცენტრიდან მეტოქის საჯარიმოში ჩააწოდა, ქუთათელაძემ თავით **ქებაძეს** დაუგდო. ამ უკანასკნელმა კი შეუჩერებლივ დაარტყა და მცირე მანძილით ააცილა **ილურიძის** კარს. ტაიმის დასრულებამდე ბოლოს ირაკლი ცანავასაც მიეცა გატანის შანსი, მაგრამ გორელები მეკარემ იხსნა.

მეორე ტაიმი ისევ სტუმართა აქტიურობით დაიწყო, პარტნიორებმა ნოზაძე გაიყვანეს სტურუასთან პირისპირ, მაგრამ გორელთა ცამეტმა ნომერმა პირდაპირ მეკარის მიმართულებით გაუშვა ბურთი და სტურუასაც დაჭერა არ გასჭირვებია. კონტრშეტევაზე კი უკვე **თურმანიძემ** დაარტყა 20-25 მეტრიდან და მცირე მანძილით ააცილა კარს.

ამის შემდეგ თამაში უხეში გახდა, ორთაბრძოლებმა მოედნის ცენტრში გადაინაცვლა. 66-ე წუთზე ცანავას ნაცვლად **დემურაძე** შემოვიდა მოედანზე. ეს ცვლილება კინალამ ტრაგიკულად დამთავრდა, სულ რაღაც ერთ წუთში მეტოქის საჯარიმოში მაღალი ბურთისთვის ბრძოლაში დემურაძე მეტოქეს შეეჯახა და უგონოდ დავარდა. ათი წუთის განმავლობაში ორივე გუნდის ფეხბურთელები ცდილობდნენ ახალგაზრდა ბათუმელის გონზე მოყვანას. მართლაც შემზარავი სურათი იყო. როგორც იქნა დემურაძე გონზე მოვიდა და ბათუმელთა მე-15 ნომერი ტაშით გააცილეს მოედნიდან.

დარჩენილი დრო კი უინტერესოდ ჩამთავრდა. ეს ეპიზოდი ორივე გუნდის ფეხბურთელებისთვის დიდი სტრესი იყო.

**ირაკლი დარცმელიძე**
*ბათუმიდან*

# მომგებიანი სტარტი

**მერანი-ბორჯომი**

**1:0**

24.02. თბილისი. მერანი
300 მაყურებელი

1:0 შენგელია (35. თევდორაძის პასით)
მერანი: თევდორაძე – ლოლაძე, გიგაური, ლ. გრიგალაშვილი, ქემაშვილი – ბაკურაძე (75. ფურთუხია), ჯანგიძე, ა. კალაძე, კობერიძე – ქოქიაშვილი (58. ყლენტი), შენგელია.
*სათადარიგოები:* გლუნჩაძე, იაგო დეისაძე, იაკობ დეისაძე.
ბორჯომი: გრიშიკაშვილი – გოგიჩაიშვილი, გუგავა, კაკუბავა, ქარქუზაშვილი - დევიძე, ქავთარაძე, ჩირიკაშვილი, ჯიუსტი (80. ნასყიდაშვილი) – თედიაშვილი, ჯიქიძე.
*სათადარიგოები:* ნ. ლომიძე.
გაფრთხილება: ლოლაძე, (20), კაკუბავა (20), ა. კალაძე (45), ქავთარაძე (47), ქარქუზაშვილი (57), ლ. გრიგალაშვილი (62), ა. კალაძე (70).
გაძევება: ა. კალაძე (70).
არბიტრი: გ. კიკაჩეიშვილი

**18.** ბაკურაძის კარგი პასის შედეგად ქოქიაშვილმა შეუჩერებლივ დაარტყა. გრიშიკაშვილმა კარგი რეაქცია გამოავლინა და ბურთი ფეხით მოიგერია.
**33.** სტუმრებმა "მერანის" კართან ხიფათი შექმნეს, მაგრამ მცველებმა იყოჩაღეს და კარში არ დაარტყმევინეს.
**34.** 1:0 - ხიფათის განმუხტვისთანავე თევდორაძემ წინ დაარტყა ბურთი და საგოლე პასი მიითვალა. ირაკლი შენგელიამ ერთი მეურვე ჩამოიცილა და წინ გამოსული გრიშიკაშვილი მოძრაობაზე "დაიჭირა".
**43.** ჯიუსტის პასით ჩირიკაშვილმა გაისროლა, მაგრამ ააცილა.
**60.** კობერიძემ ახლო მანძილიდან გოლის გატანის რეალური შანსი ვერ გამოიყენა.
**62.** ყლენტის ოსტატურად შესრულებული ჯარიმა გრიშიკაშვილმა აილო.
**88.** ჩირიკაშვილის პასით ნასყიდაშვილმა გაიტანა, თუმცა თამაშგარეში იყო და კიკაჩეიშვილმა გოლი არ ჩათვალა.
**89.** ჩირიკაშვილის დარტყმას კვლავ გრიშიკაშვილი გადაელობა.

აუტსაიდერებში მყოფმა "მერანმა" მეორე წრე მოგებით დაიწყო. **დავით ეჯიბიშვილის** გუნდმა გუშინ შინ "ბორჯომი" დაამარცხა და ლიგაში ადგილის შენარჩუნებისთვის მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადადგა. მართალია, მასპინძლებს რამდენიმე ფეხბურთელი აკლდათ, მაგრამ ეს რა მოსატანია "ბორჯომის" პრობლემებთან - სტუმართ განაცხადში მხოლოდ 13 მოთამაშე ჰყავდათ და მათგან 12 მინდვრის მოთამაშე იყო, ანუ **სოსო გრიშიკაშვილს** შემცვლელი არ ჰყავდა. ბორჯომელთა რიგებში გუშინ მან პირველად ითამაშა და ახალგაზრდა კამერუნელმა ფორვარდმა **ჯიუსტიმაც**. ორივე კონტრაქტით თბილისის "დინამოს" ეკუთვნის, მაგრამ განათხოვრების წესით, მიმდინარე სეზონს ბორჯომელთა გუნდში ჩაამთავრებს. ჯიუსტი ჯერ 19 წლისაა და აქამდე მხოლოდ "დინამო 2"-ში უწევდა თამაში. უმაღლეს ლიგაში დებიუტის კვალობაზე კამერუნელმა კარგი შთაბეჭდილება დატოვა.

რაც შეეხება უშუალოდ მატჩს, ნამდვილად ვერ ვიტყოდით, რომ მოედანზე კარგი სანახაობა ვიხილეთ. თუმცა "მერანის" სტადიონის ტრიბუნების მასშტაბით თუ ვიმსჯელებთ, დასწრებას ცუდი ნამდვილად არ ეთქმის.

პირველ ნახევარში თითქმის თანაბარი თამაში იყო. მცირედი უპირატესობა მასპინძლებისა იყო და **ირაკლი შენგელიამ** მეკარე **რევაზ თევდორაძის** პასით, 35-ე წუთზე დალაშქრა ბორჯომელთა კარი. მეორე ნახევარი მასპინძლებმა უკეთ დაიწყეს, მაგრამ **ანზორ კალაძის** გაძევების შემდეგ სტუმრები რიცხობრივ უპირატესობაში აღმოჩნდნენ, ვერ გამოიყენეს. მათ რიგებში ყველაზე გამორჩეული ირაკლი ჩირიკაშვილი იყო, მაგრამ მას თანაგუნდელები ვერ აჰყვნენ.

**დავით ცაბაძე**



# მოძრაობა ქართული ფეხბურთისთვის იმოძრავებს

ის, რასაც საფეხბურთო სამყარო დიდი ხანია ელოდა, დღეს გაცხადდება. 15.00 საათზე კაფე "მსოფლიო სპორტში" პრესკონფერენცია ტარდება. **მიხეილ ყაველაშვილი, გოჩა ჯამარაული** და **ლევან ყიფიანი** საზოგადოებრივ კავშირის, "ჩვენი ფეხბურთის" პრეზენტაციას მოაწყობენ.

ორგანიზაციის მიზნებზე მოკლე კომენტარი ლევან ყიფიანმა გააკეთა: *"ეს იქნება კავშირი, რომლის მიზანიც ქართული ფეხბურთის განვითარების ხელის შეწყობა და სამართლიანობის აღდგენა იქნება. დიახ, სამართლიანობის, რაც, ჩვენდა სამწუხაროდ, დაკარგულია. "ჩვენი ფეხბურთის" პრეზიდენტი მიშა ყაველაშვილი იქნება, მე და გოჩა ჯამარაული კი გამგეობის წევრები. ჩვენი ორგანიზაციის კარები ნებისმიერი ადამიანისთვის ღია იქნება, რადგან ქართული ფეხბურთის გადარჩენა მხოლოდ ვიწრო წრეს არ შეუძლია."*

საზოგადოებამ გაზეთ "ლელოდან" შეიტყო, რომ სამეული ქართულ ფეხბურთში შექმნილი მდგომარეობით შეწუხებულია, დამოუკიდებელი მოძრაობის დაწყება და შექმნილი მდგომარეობის გამოსწორება სურს. ეს იქნება მცდელობა, ფედერაციის კედლებამდე მიიტანონ მის გარეთ დარჩენილი სოლიდური წრის ტკივილი და შეშფოთება.

ქართული ფეხბურთი მხოლოდ ფედერაციის ხელმძღვანელების საფიქრალი არაა. მათ ჯანსაღი პაექრობა და შეცდომებზე მითითება სჭირდებათ. სამწუხაროდ, ფეხბურთის სამყარო დემოკრატიულ სულისკვეთებას მოკლებულია, ყოველგვარი კრიტიკული მოსაზრება მტრობად და სარმის დადებად აღიქმება. ამის გამო, კრიტიკას ყველა ერიდება - ჟურნალისტი, ვეტერანი, ფეხბურთელი.

სასაცილო ვითარებაა: როდესაც ნაკრები იგებს, ჭკუანაღრძობი ადამიანები ფიქრობენ, თითქოს ეს ფედერაციის მოწინააღმდეგეებს უხარიათ და როდესაც გუნდი აგებს - ოპოზიცია ხარობსო.

ესეც გათიშულობის გულლია, საქმიანი კამათის არასებობის შედეგია. თუმცა ქართული ფეხბურთის დღევანდელი მდგომარეობა გაჩუმების უფლებას არ აძლევს მის გულშემატკივრებს, იმავე "ჩვენი ფეხბურთის" ინიციატორებს.

კრიტიკაზეც ვთქვათ - წლების წინათ საფეხბურთო სამყაროს მიმართა "მრეტების" პრეზიდენტმა **ვაჟა ჩხაიძემ**, თქვენ დუმილში იძირება ქართული ფეხბურთიო.

არავინ უსმინა. ჩვენთან პირველ მერცხლებს ეჭვით უყურებენ, მათ რაღაც უცხო შემოაქვთ, რასაც შიშით ხვდებიან. ჩხაიძე, პიროვნებებს არ ებრძოდა, სისტემის შეცვლას ესწრაფოდა.

სწორედ იგივე სისტემაა, რამაც მიხეილ ყაველაშვილი, გოჩა ჯამარაული და ლევან ყიფიანი ასპარეზზე გამოუშვა.

ჩვენ კამათსა და აზრთა სხვაობაში უნდა გავაცოცხლოთ ქართული ფეხბურთი და ვისწავლოთ ერთმანეთთან საუბარი.

თუ არადა, ისტორიული სანაგვე მორიგ ლუკმას ჩასანსლავს.

**მერაბ მამულაშვილი**



დავით ბოლქვაძე

ლეგიონერები

# ბოლქვაძის გოლი, საგოლე და პრიზი

თბილისის "ამერიდან' ზაქათალის "სიმურგში" განათხოვრებულმა **დავით ბოლქვაძემ** გულშემატკივრებს თავი უკვე მოაწონა. მეორე წრის მეორე ტურში "სიმურგმა" სახლში აუტსაიდერ აბნ-ს 3:1 მოუგო, რაშიც ქართველმა გამთამაშებელმა ლომის წვლილი შეიტანა - მან ერთი ბურთი თავად გაიტანა, ერთხელაც საგოლე გადაცემა შეასრულა და საბოლოოდ, გასახდელში მატჩის საუკეთესო ფეხბურთელის პრიზით დაბრუნდა.

ზაქათალელების მთავარი მწვრთნელი აგერ უკვე მეორე წელია უკრაინელი **ვლადიმირ პოკორაა**, რომელმაც აუტსაიდერი მოაფერიანა და წლეულს უკვე ინტერტოტოს გათამაშებაში მონაწილეობა სურს.

"სიმურგი" თხუთმეტი ტურის შემდეგ აზერბაიჯანის ჩემპიონატში მეშვიდე ადგილზეა.

**მერაბ მამულაშვილი**

# თოდუამ ნემანი დაამარცხა

სწორედ ამ სათაურით გამოჩნდა ინფორმაცია ბელარუსულ ვებგვერდებზე, რომელშიც ბრესტის "დინამოს" მორიგი ამხანაგური მატჩის პერიპეტიებია ასახული. ანთალიურ შეკრებაზე მყოფმა ბრესტელებმა დასკვნითი საკონტროლო თამაში გამართეს. ჩვენებურთა გუნდი გროდნოს "ნემანს" დაუპირისპირდა და 4:1 მოიგო. ბრესტელთა რიგებში ორივე ქართველი სასტარტო შემადგენლობაში იყო. ნახევარმცველი **რომან გოგინაშვილი** მე-10 წუთზე შეცვალეს. ფორვარდმა **გია თოდუამ** შეხვედრა ჩაამთავრა და მეტოქის ძლევაში, როგორც იტყვიან, ლომის წილი დაიდო. პირველი ნახევარი ფრედ 1:1 დასრულდა. შესვენების შემდეგ ბრესტელებმა სამი გოლი გაიტანეს და სამივე საგოლე პასი თოდუამ მიითვალა.

**დავით ცაბაძე**



გია თოდუა



# გოლები არ ჩანს

## ქართველთა გუნდები იძირებიან

**ამ უქმეებზე** ევროპულ ლიგებში მოთამაშე ქართველ ფეხბურთელებს გოლით თავი არ გამოუჩენიათ, თუ ჩვენს სამეზობლოს – აზერბაიჯანს არ ჩავთვლით. გერმანიაში, ინგლისში, იტალიაში და ესპანეთში გოლი სანატრელი გაგვიხდა (ამ სეზონში მხოლოდ ერთი გოლია ლევან კობიაშვილის ანგარიშზე), თუმცა არც სხვა, ნაკლებად ძლიერ ლიგებში თამაშობენ ჩვენები შედეგიანად.

### ექვსიდან არაფინ

ბუნდესლიგაში ქართველთა კლუბებს ცუდი ტური ჰქონდათ, „შალკე" და „კარლსრუე" სტუმრად დამარცხდნენ, თანაც უშუალო კონკურენტებთან. „შალკე" **ლევან კობიაშვილთან** ერთად ლევერკუზენს ესტუმრა და „ბაიერთან" 0:1 დამარცხდა. ქართველმა ნახევარმცველმა მოედანი 87-ე წუთზე დატოვა, მის ნაცვლად **ჰალილ ალთინტოპი** შევიდა. მანამდე ლევანმა მსაჯისგან ყვითელი ბარათი მიიღო, ერთი კარგი მომენტიც ვერ გამოიყენა და ერთხელაც ჯარიმა შეასრულა კარგად. „შალკე" 35 ქულით მეხუთე ადგილზეა და „ჰამბურგს" და „ბაიერს" 3-3 ქულით ჩამორჩება. ქართველმა „შპორტალისგან" 3,5 ქულა მიიღო.

„კარლსრუე" ჩემპიონ „შტუტგარტთან" 1:3 დამარცხდა, **ალექსანდრე იაშვილიც** სასტარტო შემადგენლობაში იყო, თუმცა ის 72-ე წუთზე **ბრედლი კარნელმა** შეცვალა. „კარლსრუე" კვალში უდგას „შალკეს", რომელსაც ორი ქულით ჩამორჩება. იაშვილს 4 ქულა დაუწერეს.

როგორც ჩანს, დროულად გაასწრო **დავით სირაძემ** „პადერბორნს", რომელიც ჩასაძირად განწირულ ხომალდს ჰგავს. ქართველი ოფიციალურად ჯერ კიდევ ამ კლუბის წევრია, თუმცა იქ თამაშს აღარ აპირებს. გუშინ „პადერბორნი" სირაძის კიდევ ერთ ყოფილ კლუბ აუე-სთან 0:6 დამარცხდა. ქართული ტრიოს „კარლ ცაისს" და „პადერბორნს" 15-15 ქულა აქვთ და ცხრილის ფსკერზე უიმედოდ დაიძირნენ (მხსნელ ზონას 8 ქულა აშორებთ). „კარლ ცაისი" უქართველოდ „მაინცს" სტუმრად დაუზავდა – 2:2. ორი ქართველი ფეხბურთელი სათადარიგოთა სკამზე იჯდა (**გიორგი ონიანი და ილია კანდელაკი**), **გიორგი სეთურიძეს** კი განაცხადში ადგილი ვერ მოუძებნეს. ბევრი, რომ არ გავაგრძელოთ, მეორე ბუნდესლიგაში ამ ტურში ჩვენებურებს არ უთამაშიათ, რადგან არც **მათე ღვინიანიძე** (ტრავმა) და არც **ოთარ ხიზანეიშვილი** ყოფილან თავიანთი კლუბების განაცხადში. ისე, „ფრაიბურგს" მარცხის მიუხედავად, ბუნდესლიგაში დაბრუნების კარგი შანსი აქვს, მეორე-მესამე ადგილზე მყოფ კლუბებს სულ ორი ქულით ჩამორჩება.

### ხიზანიშვილმა დაიბრუნა

ბოლო ხანს ინგლისიდან სასიამოვნო ინფორმაცია უფრო ხშირად მოდის, როგორც ჩანს, **ზურაბ ხიზანიშვილმა** ძირითად შემადგენლობაში ადგილი მყარად დაიბრუნა. „ბლექბერნმა" შინ 4:1 გაანადგურა „ბოლტონი", ზურა კი 11 კაცში იყო. ხიზანიშვილმა საიმედოდ ითამაშა. მეათე წუთზე მან აშკარად გადაარჩინა **ბრედ ფრიდელი**, რომლის უხერხულად მოგერიებული ბურთი კუთხურზე მოიცილა. „სეტანტა ნიუსმა" ათბალიანი სისტემით ექვსი ქულა გაიმეტა ქართველი მცველისთვის.

**კახა კალაძის** „მილანმა" ბოლო წამს შეძლო „პალერმოს" დამარცხება, გამარჯვების გოლი **ფილიპო ინძაგიმ** გაიტანა. კახამ სრულად ითამაშა და 78-ე წუთზე ყვითელი ბარათი დაიმსახურა.

### კატასტროფული შეცდომა

**სანდრო იაშვილის** „თუნმა" უშუალო კონკურენტ „სენტ გალენთან" დათმო 0:3 და გავარდნის საფრთხე ერთიორად გაიზარდა. ბოლოადგილოსანი „თუნი" უკვე ოთხი ქულით ჩამორჩება „სენტ გალენს". ქართველი ფორვარდი 63-ე წუთზე **ზაქის** ნაცვლად გამოჩნდა, თუმცა ვერას გახდა.

ძალზე ცუდად განაახლა სეზონი **გიორგი შაშიაშვილის** „შტურმმა", რომელიც ახლა შინ დამარცხდა – 1:2 „ლინცერთან". „შტურმი" 37 ქულით მეხუთე ადგილზეა, რაც ავსტრიაში ცხრილის შუაგულს ნიშნავს. გიორგიმ ტრადიციულად 90 წუთი გაატარა მინდორზე. თუმცა ამჯერად ვერ ვიტყვით, რომ ის საიმედო იყო. 75-ე წუთზე ავსტრიელი მიმომხილველების თქმით, შაშიაშვილის „კატასტროფული" შეცდომის წყალობით გაათანაბრა **კრისტიან მაირლებმა**, 86-ე წუთზე ისევ მაირლები გასცდა ქართველს და გამარჯვების გოლი გაიტანა.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

| ფეხბურთელი | მატჩი | ანგ. | შენიშვნა | სტატ. |
|---|---|---|---|---|
| **გერმანია** | | | | |
| ბუნდესლიგა. XXI ტური | | | | |
| ლევან კობიაშვილი | ბაიერი-შალკე | 1:0 | 87 წთ, შეცვალეს, გააფრ. | 7 თ. 1 გ. |
| ალექსანდრე იაშვილი | შტუტგარტი-კარლსრუე | 3:1 | 72 წთ, შეცვალეს | 15 თ. 0 გ. |
| მეორე ბუნდესლიგა. XX ტური | | | | |
| ილია კანდელაკი | მაინცი-კარლ ცაისი | 2:2 | სათადარიგო | 10 თ. 0 გ. |
| გიორგი ონიანი | მაინცი-კარლ ცაისი | 2:2 | სათადარიგო | 9 თ. 0 გ. |
| გიორგი სეთურიძე | მაინცი-კარლ ცაისი | 2:2 | არ უთამაშია | 0 თ. 0 გ. |
| ოთარ ხიზანეიშვილი | ჰოფენჰაიმი-ფრაიბურგი | 2:0 | არ უთამაშია | 2 თ. 0 გ. |
| დავით სირაძე | აუე-პადერბორნი | 6:0 | გუნდთან არ არის | 9 თ. 0 გ |
| მათე ღვინიანიძე | კიოლნი-მიუნხენი | 0:0 | ტრავმა | 13 თ. 0 გ. |
| **ინგლისი** | | | | |
| პრემიერლიგა. XXVII ტური | | | | |
| ზურაბ ხიზანიშვილი | ბლექბერნი-ბოლტონი | 4:1 | 90 წუთი | 7 თ. 0 გ. |
| **ესპანეთი** | | | | |
| პრიმერა დივიზიონი. XXV ტური | | | | |
| შოთა არველაძე | ბარსელონა-ლევანტე | 5:1 | არ უთამაშია | 0 თ. 0 გ. |
| **იტალია** | | | | |
| სერია A. XXIV ტური | | | | |
| კახა კალაძე | მილანი-პალერმო | 2:1 | 90 წუთი, გააფრთხილეს | 15 თ. 0 გ. |
| **შვეიცარია** | | | | |
| სუპერლიგა. XXII ტური | | | | |
| სანდრო იაშვილი | სენტ გალენი-თუნი | 3:0 | 27 წთ, შეცვლაზე | 17 თ. 1 გ. |
| **ავსტრია** | | | | |
| ბუნდესლიგა. XXV ტური | | | | |
| გიორგი შაშიაშვილი | შტურმი-ლინცერი | 1:2 | 90 წუთი | 24 თ. 0 გ |



იაშვილი (შუაში) ბურთისთვის ბრძოლაში

CDN კავკასიის ციფრული ქსელი
CAUCASUS DIGITAL NETWORK
გთავაზობთ სატელეკომუნიკაციო მომსახურების სრულ პაკეტს:
CDN DSL ყველაზე სტაბილური ინტერნეტი;
CDN 55 ტელეფონის დადგმა;
CDN 8-66 კავშირი ყველგან და ყოველთვის;
GIGACARD ისაუბრე მეტი, გადაიხადე ნაკლები;
CDN ქსელების მონტაჟი და მომსახურება;
დარეკე, შეუკვეთე, ჩაერთე!
ირ. აბაშიძის 14
ტელ.: 550 055, 259 555
cdn@cdn.ge, www.cdn.ge
24 საათის განმავლობაში
უწყვეტი მომსახურება
ტექნიკური მხარდაჭერა
გარანტირებული ხარისხი
სატელეფონო საუბრების წამობრივი აღრიცხვა!
მხოლოდ ოპტიკურ-ბოჭკოვანი ტექნოლოგიები!

ლანჩხუთის "გურიის" ვეტერანი ფეხბურთელები ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ ქ. პერმში გარდაიცვალა ამავე გუნდის ყოფილი მეკარე

**ზურაბ კუნჭულია**

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.
დაკრძალვა ლანჩხუთის რაიონის სოფელ ჩიბათში 26 თებერვალს.

იტალია. სერია A. XXIV ტური

# ძველი სიყვარული არ იკარგება

## ტურის გმირები და ანტიგმირები: ისევ მსაჯები და... ბრწყინვალე მარკო



სამპდორია-ინტერი. კასანოს გოლი მილანელთა კარში

"იუვენტუსმა" რეჯოკალაბრიაში 2:1 წააგო, წააგო უშუალო კონკურენტ "რომასთან" ერთი კვირის წინანდელი პრინციპული გამარჯვების (1:0) შემდეგ, გამარჯვებისა, რომელმაც "ქალბატონს" მეორე ადგილისთვის ბრძოლაში პოზიციები გაუმყარა. ტურინელებს შეუძლიათ, მარცხი **ბუფონის, ტრეზეგეს, იაკვინტასა** და **ნოჩერინოს** არყოფნას დააბრალონ, უფრო მეტი ბრალი შეიძლება წაუყენონ არბიტრ **პაოლო დონდარინის**, რომელმაც არაერთი საკამათო გადაწყვეტილება მიიღო... მაგრამ რეალობა ისაა, რომ 3 ქულა აილო "რეჯინამ", ვინაც მანამდე ზედიზედ 4 მატჩი დათმო და მწვრთნელ **რენცო ულივიერის** ლამის გასაგდებად გაუხადა საქმე. დღეს კი 67 წლის სპეციალისტი გმირია, ასე თუ ისე...

მივყვეთ თანმიმდევრობით. პირველ ტაიმში "იუვემ" საშინლად ითამაშა. ალბათ, **კლაუდიო რანიერიმ** ამაშიც უნდა ეძებოს მარცხის მიზეზები. საკადრო კრიზისის გამო, მან ძირითადში პირველად დააყენა **სისოკო**, რომელიც თითქმის ყველა საკვანძო ეპიზოდის ანტიგმირად იქცა. ჯერ ერთი, რომ 27-ე წუთზე სადებიუტო მატჩში მას გოლის გატანა შეეძლო, მაგრამ უაღრესად ხელსაყრელი სიტუაციიდან (5-6 მეტრი) ბურთი მიზანს ააცილა. გავიდა ხუთიოდ წუთი. "მომოს" ჩაეძინა **ბრიენცას** გოლის მომენტში, როცა **ჩირილოს** გადაცემას ხელი ვერ შეუშალა. ასევე მის კისერზე იყო პენალტი, რომელმაც "იუვეს" წააგებინა, თუმც ამაზე ცოტა ქვემოთ...

მეორე ნახევარში, რანიერის გუნდი მთლიანად გარდაიქმნა და მეტოქე მისსავე ნახევარზე მოამწყვდია. მაგრამ გამომდინარე იქიდან, რომ გააქტიურება ძირითადად **ნედვედის, კამორანეზისა** და **დელ პიეროს** ხარჯზე მოხდა, ეფექტიც ვერ იყო ადეკვატური. **კამპანიოლომ** რამდენიმე რთული დარტყმა კი მოიგერია, მაგრამ უძლური იყო 70-ე წუთზე, როცა ალექსის დარტყმულზე დააგვიანა და ბურთი ტანქვეშ გაუძვრა...

საერთო ჯამში, ტურინელებმა არბიტრისგან 4 პენალტი მოითხოვეს. აქედან, ორზე კამათი შეიძლება, მესამეზე ნაკლებად, მაგრამ მეოთხე, როცა **ვალდესმა** სისოკო აშკარად მოცელა, ნამდვილად დასანიშნი იყო. სამაგიეროდ, დონდარინის ხელი არ აუკანკალდა, როცა წამატებულ წუთებზე "იუვენტუსის" კარში საკამათო 11-მეტრიანი დადო. იგივე სისოკო, რომელიც მაღალი ბურთისთვის შეხტა (გამორიცხული არ არის, რომ ოპონენტს ვერც ხედავდა), უნებლიედ შეეხო **ამორუზოს**, რომელიც გაზონზე გაიშხლართა. სტუმრები რამდენიმე წუთის განმავლობაში აპროტესტებდნენ მსაჯის გადაწყვეტილებას, მაგრამ ცხადია, უშედეგოდ (თუ შედეგში არ ჩავთვლით არბიტრთან კამათის გამო **ძანეტის** გაძევებას). მოკლედ, პენალტი: ერთ მხარეს **ბელარდი**, "რეჯინის" ყოფილი მეკარე, ხოლო მეორე მხარეს ვეტერანი ამორუზო, "იუვეს" ექსფორვარდი. კიპერი იქით, ბურთი აქეთ - 2:1. გაგიკვირდებათ და, დონდარინიმ ცეცხლზე კიდევ ერთხელ დაასხა ნავთი, როცა თამაში მთელი 40 წამით ადრე დაასრულა...

მატჩის შემდეგ, რანიერის კონკრეტულ ეპიზოდებზე არაფერი უთქვამს, თუმცა აღნიშნა: *"დანიშნული თუ არდანიშნული პენალტები არ არის მთავარი. აქ მთავარია თავად პრობლემა, ანუ, ზოგადად ძალიან ცუდი მსაჯობა. "იუვენტუსი" კალჩოპოლის სკანდალის გამო დღემდე იხდის საფასურს და ეს ერთხელ და სამუდამოდ უნდა დასრულდეს. ჩვენ მხოლოდ აისბერგის წვერს ვხედავთ. საჭიროა, პრობლემებს ჩავუღრმავდეთ და კომპლექსურად გადავწყვიტოთ"*.

"ტორინომ" და "პარმამ" ოთხ-ოთხი გოლით მაყურებელს დაუვიწყარი სპექტაკლი აჩუქეს (ამ სეზონში 4:4 დასრულდა "რომა"-"ნაპოლის" მატჩიც). ამას გარდა, ბურთი თითოჯერ ხარიხას გაარტყეს და ეს რომ არა, დამრგვალებაც შეიძლებოდა. ორივე გუნდს ცუდად აქვს საქმე და ბუნებრივია, ორივესთვის ერთადერთი მისაღები შედეგი 3 ქულა იყო. სწორედ გამარჯვებისკენ სწრაფვას მოჰყვა გოლების წვიმა, მაგრამ აქვე, მეკარეთა უხეშ შეცდომებზეც უნდა ვთქვათ. საერთოდ, მატჩი ორი განსხვავებული ტაიმისგან შედგებოდა. უკვე პირველ ნახევარში პარმელები 4:1-ს იგებდნენ და ყველაზე კოშმარულ სიზმარშიც კი ძნელი იყო იმის წარმოდგენა, რომ საბოლოოდ მხოლოდ ქულას დასჯერდებოდნენ. არადა, "ტოროს" გამარჯვებაც შეეძლო. უკანასკნელ წუთზე, როცა ორივე გუნდი ილაჯგამოცლილი იყო და თამაში ფრისკენ მიდიოდა, **ვენტოლას** თავური ხარიხას მოხვდა.

**კასანომ** "რომას" საქმე გაუკეთა. რაც არ უნდა იყოს, ძველი სიყვარული არ იკარგება. კალჩოს ყველაზე ჭირვეულმა ბიჭმა გადამწყვეტი როლი ითამაშა იმ ქულის მოპოვებაში, რომელმაც "ინტერსა" და "ჯალოროსის" შორის სხვაობა შეამცირა. ახლა, გაცილებით მეტი ინტრიგა ექნება ლიდერთა შორის ოთხშაბათისთვის გასამართ მატჩს, რომელსაც "სან სირო" უმასპინძლებს...

"სამპდორიას" კი მეტიც შეეძლო, იმავე კასანოს, **ბელუჩისა** და სხვებს მომენტები რომ გამოეყენებინათ. ანტონიო ბრწყინვალე ფორმაშია. მისი ძალა იმაშიცაა, რომ გოლების გარდა, ჩინებულად ითავსებს შემქმნელის როლსაც. ალბათ, **რობერტო დონადონი** იძულებული გახდება, აზრი შეიცვალოს და კასანო ნაკრებში დააბრუნოს...

მაგრამ ეს ცალკე თემაა და ისევ გენუის მატჩს დავუბრუნდეთ. "ინტერს" დანაკლისი ჰქონდა **იბრაჰიმოვიჩისა** და **კორდობას** სახით. თუმცა **რობერტო მანჩინიმ**, რომელსაც ლივერპულში წაგების შემდეგ ბევრს აკრიტიკებენ (მარტო კრიტიკა რომ იყოს, რაღა უჭირს. უკვე ვწერდით, რომ ფანებმა მწვრთნელი კინაღამ სცემეს), თამამი ტაქტიკა აირჩია. **კრესპოს** დაბრუნება იძულებითი ნაბიჯი იყო. არგენტინელმა მწვრთნელს დაუმტკიცა, რომ მისი ჩამოწერა ნაადრევია. მას შემდეგ, რაც **კამბიასოს** დარტყმული კარის ხაზიდან გამოიტანეს, "ინტერმა" იქვე განავითარა ახალი იერიში და **სტანკოვიჩის** ჩაწოდებულს კრესპო შორეულ ძელთან დახვდა - 1:1. "სამპდორიას", რომელმაც მეტოქეზე რამდენადმე უკეთესი შთაბეჭდილება დატოვა, გამარჯვებაც შეეძლო, მაგრამ ბოლო წუთზე **ჟულიო სეზარმა ბონაცოლის** მეტად რთული ბურთი აუღო.

გუშინაც გამოჩნდა, რომ "ინტერში" ურთიერთობები მთლად დალაგებული ვერ არის. გარდა იმისა, რომ ლივერპულური მატჩის შემდეგ უსიამოვნება მოხდა იბრაჰიმოვიჩსა და **მატერაცის** შორის, ინციდენტს ჰქონდა ადგილი გენუური შეხვედრის დროსაც. შეცვლით უკმაყოფილო **ვიეირამ** წყლის ბოთლს ფეხი ჰკრა, რაც ბუნებრივია, მანჩინისადმი პროტესტის ნიშანი იყო. და კიდევ: დაშავდა სტანკოვიჩი და თითქმის გამორიცხულია, "რომასთან" შუა კვირის ჯახში მიიღოს მონაწილეობა...

"რომა" კი ხსენებულ დაპირისპირებას გაცილებით უკეთეს ხასიათზე ხვდება. "იუვენტუსთან" წაგების შემდეგ, **ლუჩანო სპალეტის** ბიჭებმა ჯერ "რეალი" დაამარცხეს, ხოლო გუშინ ზედ "ფიორენტინაც" მიაყოლეს, მართალია ძნელად, მაგრამ მოგება მოგებაა და ფსიქოლოგიური ფაქტორი, ამ შემთხვევაში, მთავარ როლს თამაშობს. ვერ ვიტყვით, რომ თამაში სანახაობრივი იყო. ორივე გუნდი ძირითადად შედეგზე ზრუნავდა. გამარჯვების გოლი **სისინიომ** გაიტანა. ბრაზილიელი მარჯვენა მცველი თავდამსხმელის პოზიციაზე აღმოჩნდა და ახლო მანძილიდან ბურთი **ფრეისთვის** შორეულ კუთხეში შეაგორა.

უიქენდის კიდევ ერთი დრამა გათამაშდა უდინეში, სადაც "ჯენოამ" 5:3 მოიგო. იშვიათი შემთხვევაა, როცა ერთ ტურში ორი მატჩი მთავრდება 8 გატანილი გოლით, მით უმეტეს, სერია A-ში. მატჩის დასკვნითი 10 წუთი **ბორიელოს** ბენეფისით აღინიშნა. მეორე ტაიმის დასაწყისში გატანილ ერთ გოლს მან ბოლოში დუბლიც მიუმატა და საბოლოოდ, ამ ჰეთ-თრიკის წყალობით, ბომბარდირთა დავაში **ტრეზეგეს** გაუთანაბრდა. "მილანიდან" წასვლის შემდეგ ეს ბიჭი ბრწყინვალედ ათამაშდა და ვინძლო, "როსონერიმ" მის დაბრუნებაზეც იზრუნოს.

"ატალანტამ" ტოსკანელ სტუმართან მატჩში ორბურთიანი დეფიციტი გაანეიტრალა. ბერგამოელები ამას **ფლოკარის** უნდა უმადლოდნენ. ეს ყველაფერი პირველ ტაიმში მოხდა. მეორე ნახევარში ანგარიშის შეცვლა ორივე გუნდს შეეძლო, მაგრამ მეტოქენი ამაოდ დაშვრნენ.

"კალიარი" კი ცოცხალი თავით არ ნებდება. სარდინიელებმა უკანასკნელ წუთებზე დაამარცხეს "ლაციო", თან იმ პირობებში, როცა ბოლო ნახევარი საათი 10 კაცით იბრძოდნენ. მოჩვენებითი პროგრესის შემდეგ, რომაელებისთვის ეს მარცხი კიდევ ერთი უკან გადადგმული ნაბიჯია, რამაც მწვრთნელ **დელიო როსის** პოსტი შეიძლება შეიწიროს.

**კალაიო**, რომელიც შარშან "ნაპოლის" მეგოლე იყო და სერია A-ში დაბრუნება დიდწილად მისი დამსახურებაა, დღეს **სალაიეტას** ჩრდილშია მოქცეული. მაგრამ რაკი ურუგვაელი დისკვალიფიცირებული იყო, კალაიოს თავის გამოჩენის შანსი მიეცა და ნეაპოლელებს უმალ დუბლით შეეშველა. "ემპოლიმ" უმნიშვნელოვანესი თამაში მოუგო "კატანიას", თუმცა მეორე ტაიმის შუაში სტუმარ **სპინეზის** პენალტი რომ გაეტანა (ამ დროისთვის მასპინძელი 1:0-ს იგებდა), რა მოხდებოდა, არავინ იცის.

**ფილიპო ინძაგიმ** მიმდინარე სერია A-ში პირველი გოლი გაიტანა. მაგრამ ეს გოლი უფრო იმითაა აღსანიშნავი, რომ გამარჯვებისა გამოდგა "პალერმოსთან" მატჩში, რომელშიც თავიდან სიცილიელები დაწინაურდნენ. გამომდინარე საამსეზონო ტრადიციიდან, "მილანმა" საკუთარ კედლებში ბევრი ინვალა, მაგრამ, როგორც ამბობენ, კარგია ყველაფერი, რაც კარგად მთავრდება. საგულისხმოა, რომ ამ ჩემპიონატში "როსონერი" მეოთხე ადგილზე პირველად ალზევდა.

### მომდევნო ტური

26 თებერვალი. იუვენტუსი-ტორინო. 27 თებერვალი. ატალანტა-სამპდორია, კატანია-მილანი, ფიორენტინა-ლივორნო, ჯენოა-ნაპოლი, ინტერი-რომა, ლაციო-რეჯინა, პალერმო-ემპოლი, პარმა-უდინეზე, სიენა-კალიარი.

### ტორინო-პარმა 4:4

**ტორინო:** სერენი-5.5, კომოტო-6, დი ლორეტო-5.5, ნატალი-6, მ. პიზანო-5.5, დიანა-5.5, კორინი-5 (64. რეკობა-6.5), პ. ძანეტი-5.5, ლაზეტიჩი-5 (46. დი მიკელე-6.5), სტელონე-7.5, როზინა-5.5 (80. ვენტოლა-შ.გ).

**პარმა:** ბუჩი-5, კასტელინი-5.5, ფალკონე-5, ფერნანდო კოუტუ-5, დ. ძენონი-5, მარიგა-7, პარავიჩინი-5.5 (90. ჩიგარინი-შ.გ), მორონე-6.5, პიზანუ-5.5, გასბარონი-7.5 (75. მორფეო-შ.გ), ბუდანი-6.5 (65. კორადი-შ.გ).

**გოლები:** 1:0 სტელონე (11), 1:1 გასბარონი (28), 1:2 გასბარონი (32), 1:3 მორონე (42), 1:4 ბუდანი (43), 2:4 ნატალი (45), 3:4 სტელონე (68), 4:4 დი მიკელე (82)

**გაფრთხილება:** 1-1; **კუთხური:** 6-1; **ჯარიმა:** 26-15; **თამაშგარე:** 5-1; **კარში დარტყმა:** 14-13 (8-7); **ბურთის ფლობა:** 49%-51%.

**მაყურებელი:** 18 000

### რეჯინა-იუვენტუსი 2:1

**რეჯინა:** კამპანიოლო-5, ვალდესი-6, არონიკა-6, მოდესტო-6.5 (82. კოსტა-შ.გ), ჩირილო-6, ლანძარო-6, ვიჯანი-6, ბარეტო-6, კაშონე-6 (64. ტონიოცი-5.5), ბრიენცა-6.5 (87. მაკინვა-შ.გ), ამორუზო-6.5.

**იუვენტუსი:** ბელარდი-6, ლეგროტალიე-6, მოლინარო-6.5, გრიგერა-5.5 (61. სალიჰამიჯიჩი-6), კიელინი-5, კ. ძანეტი-6, სისოკო-5, კამორანეზი-6.5, ნედვედი-6.5, პალადინო-5, დელ პიერო-6.5.

**გოლები:** 1:0 ბრიენცა (32), 1:1 დელ პიერო (70), 2:1 ამორუზო (90-პენ)

**გაძევება:** კ. ძანეტი (90. იუვენტუსი)

**გაფრთხილება:** 3-2; **კუთხური:** 3-7; **ჯარიმა:** 13-18; **თამაშგარე:** 4-0; **კარში დარტყმა:** 7-24 (3-4); **ბურთის ფლობა:** 32%-68%.

**მაყურებელი:** 24 100

### სამპდორია-ინტერი 1:1

**სამპდორია:** კასტელაცი-6.5, ლუკინი-6, აკარდი-5.5 (80. მილიონიკო-შ.გ), მაჯო-6.5, კამპანიარო-6.5, დ. ფრანჩესკინი-6, პიერი-6, პალომბო-6.5, დელვეკიო-5.5 (64. სამარკო-5.5), ბელუჩი-6.5 (42. ბონაცოლი-5.5), კასანო-7.

**ინტერი:** ჟულიო სეზარი-7, რივასი-6, მაქსველი-6 (66. ფიგუ-5.5), მაიკონი-6.5, მატერაცი-5, ვიეირა-5, კამბიასო-6.5 (81. მანიშე-შ.გ), ხ. ძანეტი-6, სტანკოვიჩი-5.5 (84. პელე-შ.გ), სუასო-5.5, კრესპო-6.5.

**გოლები:** 1:0 კასანო (64), 1:1 კრესპო (75)

**გაფრთხილება:** 0-3; **კუთხური:** 6-6; **ჯარიმა:** 16-18; **თამაშგარე:** 10-1; **კარში დარტყმა:** 14-6 (8-8); **ბურთის ფლობა:** 50%-50%.

**მაყურებელი:** 38 000

### რომა-ფიორენტინა 1:0

**რომა:** ა. დონი-7, სისინიო-7, ფერარი-5.5, მექსე-6.5, ტონეტო-6, აკვილანი-6.5, დე როსი-6.5, ტადეი-5.5 (62. პეროტა-შ.გ), ჟული-6.5 (80. პისარო-შ.გ), ტოტი-6.5, ვუჩინიჩი-7 (68. კასეტი-შ.გ).

**ფიორენტინა:** ფრეი-6.5, კროლდრუპი-5.5, უიფალუში-6, გამბერინი-6, სემიოლი-6, მონტოლივო-5 (68. კაჩა-შ.გ), გობი-5, კუზმანოვიჩი-6, იორგენსენი-5.5 (77. ლივერანი-შ.გ), ვიერი-5.5, მუტუ-5 (43. პაპა ვაიგო-5.5).

**გოლი:** 1:0 სისინიო (54)

**გაძევება:** სისინიო (90. რომა)

**გაფრთხილება:** 2-1; **კუთხური:** 11-6; **ჯარიმა:** 15-18; **თამაშგარე:** 7-2; **კარში დარტყმა:** 25-12 (12-11); **ბურთის ფლობა:** 59%-41%.

**მაყურებელი:** 35 000

### უდინეზე-ჯენოა 3:5

**უდინეზე:** ჰანდაროვიჩი-5, ფელიპე-5.5 (46. კოდა-5.5), ლუკოვიჩი-5.5, დოსენა-6, ფერონეტი-6 (90. კოლომბო-შ.გ), ზაპოტოჩნი-5.5, ინლერი-6 (63. პინცი-5.5), გ. დ'აგოსტინო-5.5, ფლორო ფლორესი-6.5, კვალიარელა-6, დი ნატალე-7.5.

**ჯენოა:** რუბინიო-6, ფაბიანო-6.5 (90. იურიჩი-შ.გ), ბოვო-5.5, გლეისონი-5.5, კრიშიტო-6, კონკო-6.5, მილანეტო-6.5, პარო-6.5, ლეონი-7.5 (84. ა. ლუკარელი-შ.გ), სკული-7 (74. დი ვაიო-შ.გ), ბორიელო-8.

**გოლები:** 0:1 ლეონი (11), 1:1 დი ნატალე (27-პენ), 2:1 დი ნატალე (38-პენ), 2:2 სკული (42), 2:3 ბორიელო (58), 3:3 ფლორო ფლორესი (72), 3:4 ბორიელო (81), 3:5 ბორიელო (85)

**გაფრთხილება:** 1-4; **კუთხური:** 4-3; **ჯარიმა:** 13-20; **თამაშგარე:** 5-1; **კარში დარტყმა:** 21-19 (11-13); **ბურთის ფლობა:** 53%-47%.

**მაყურებელი:** 16 500

### ატალანტა-სიენა 2:2

**ატალანტა:** ფ. კოპოლა-5, პელეგრინო-6.5, ბელინი-6, რივალტა-6, თ. მანფრედინი-5, კ. დონი-7, გუარენტე-6, ტისონე-6.5, პინტუ-6 (65. მუსლიმოვიჩი-5.5), პადოინი-6 (81. დე აშენტისი-შ.გ), ფლოკარი-7.5.

**სიენა:** მანინგერი-7, პორტანოვა-6, ბერტოტო-6.5 (79. როსეტინი-შ.გ), ა. როსი-6, ლორია-6, იაროლიმი-5.5 (63. გალოპა-6), კოდრეა-6, ლოკატელი-6.5, ვერგასოლა-6.5, რიგანო-6 (60. ფორესტიერი-6), ფრიკი-5.5.

**გოლები:** 0:1 ბერტოტო (32), 0:2 ლოკატელი (40), 1:2 ფლოკარი (41), 2:2 ფლოკარი (45)

**გაფრთხილება:** 1-3; **კუთხური:** 6-3; **ჯარიმა:** 14-27; **თამაშგარე:** 8-3; **კარში დარტყმა:** 16-6 (8-4); **ბურთის ფლობა:** 57%-43%.

**მაყურებელი:** 12 000

### კალიარი-ლაციო 1:0

**კალიარი:** სტორარი-7, ლოპესი-6, აგოსტინი-6.5, ფ. პიზანო-6, ბიანკო-6, ფოჯა-5.5 (67. ბიონდინი-6), პაროლა-6, ფინი-4.5, ლარივეი-5 (74. მატრი-7), კოსუ-6, ჟედა-5.5 (83. მანკოზუ-შ.გ).

**ლაციო:** ბალოტა-6, სივილია-6, რადუ-6, კოლაროვი-5.5, ლედესმა-6, მაური-5, კ. მანფრედინი-5 (46. დე სილვესტრი-6), ბეჰრამი-6.5, მუდინგაი-6.5 (90. ტარე-შ.გ), როკი-5, პანდევი-6 (66. ბიანკი-შ.გ).

**გოლი:** 1:0 მატრი (88)

**გაძევება:** ფინი (62. კალიარი)

**გაფრთხილება:** 2-2; **კუთხური:** 9-2; **ჯარიმა:** 22-16; **თამაშგარე:** 5-7; **კარში დარტყმა:** 12-17 (6-5); **ბურთის ფლობა:** 35%-65%.

**მაყურებელი:** 10 000

### ლივორნო-ნაპოლი 1:2

**ლივორნო:** ამელია-6.5, კნეჟევიჩი-5.5, გალანტე-6, პასკუალე-6, ბალერი-6, გრანდონი-5.5, პულცეტი-6.5 (57. დიამანტი-6.5), ვიდიგალი-6.5, დე ვეცე-6.5, ბოგდანი-6.5, დიეგო ტრისტანი-5.5 (77. ე. ალვარესი-6).

**ნაპოლი:** ჯანელო-6.5, კანავარო-5.5, კონტინი-6, სავინი-6 (89. რულო-შ.გ), სანტაკროჩე-5.5, გარგანო-5, ჰამსიკი-5.5, ბლაზი-6 (69. პაციენცა-შ.გ/82. ბოლიაჩინო-6), მანინი-5.5, კალაიო-7, სოსა-6.

**გოლები:** 0:1 კალაიო (54), 1:1 დიამანტი (73), 1:2 კალაიო (90)

**გაფრთხილება:** 2-4; **კუთხური:** 2-5; **ჯარიმა:** 24-35; **თამაშგარე:** 3-1; **კარში დარტყმა:** 10-14 (7-8); **ბურთის ფლობა:** 42%-58%.

**მაყურებელი:** 15 000

### ემპოლი-კატანია 2:0

**ემპოლი:** ბასი-7.5, მარძორატი-6.5, ტოსტო-6.5 (69. რაჯი-6), პრატალი-6, ვანუკი-6.5 (60. მორო-6.5), მარკიზიო-7.5 (85. მარიანინი-შ.გ), ბუდელი-7, ბუშე-6.5, ანტონინი-7, ჯოვინკო-7.5, საუდატი-6.5.

**კატანია:** პოლიტო-6, ტერლიცი-5.5, ხ. ვარგასი-5, პ. ალვარესი-6, სტოვინი-6.5, ედუსეი-5.5, ილცკო-5 (70. ჯ. კოლუჩი-შ.გ), ბაიოკო-6, მარტინესი-6, სპინეზი-5, მასკარა-6.

**გოლები:** 1:0 ჯოვინკო (35), 2:0 ბუდელი (78)

67-ე წუთზე სპინეზიმ ვერ გაიტანა პენალტი (მეკარე)

**გაფრთხილება:** 3-1; **კუთხური:** 9-4; **ჯარიმა:** 26-13; **თამაშგარე:** 2-1; **კარში დარტყმა:** 19-11 (14-7); **ბურთის ფლობა:** 52%-48%.

**მაყურებელი:** 7 000

### მილანი-პალერმო 2:1

**მილანი:** კალაჩი-6.5, ოდო-6.5, ბონერა-6, კალაძე-6, იანკულოვსკი-5.5 (86. ფავალი-შ.გ), გატუზო-5.5, პირლო-6, ამბროზინი-6.5, კაკა-6 (46. გურკუფი-5.5), ჯილარდინო-5.5 (73. ფ. ინძაგი-7), პატო-6.

**პალერმო:** ა. ფონტანა-6.5, ძაკარდო-5.5, ბიავა-5.5, ბარძალი-6, კასანი-5.5, გუანა-5.5, მილიაჩო-5.5, ბალცარეტი-6, ბრეშანო-6.5 (55. სიმპლისიუ-6), კავანი-6 (88. ჯოვ. ტედესკო-შ.გ), ამაური-6.5.

**გოლები:** 0:1 ბრეშანო (9), 1:1 ამბროზინი (24), 2:1 ფ. ინძაგი (90)

**გაფრთხილება:** 2-3; **კუთხური:** 6-3; **ჯარიმა:** 19-21; **თამაშგარე:** 5-0; **კარში დარტყმა:** 11-7 (8-3); **ბურთის ფლობა:** 65%-35%.

**მაყურებელი:** 50 000

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ინტერი | 24 | 18 | 6 | 0 | 49-14 | 60 |
| 2. რომა | 24 | 15 | 6 | 3 | 41-23 | 51 |
| 3. იუვენტუსი | 24 | 13 | 8 | 3 | 44-21 | 47 |
| 4. მილანი | 24 | 11 | 8 | 5 | 36-18 | 41 |
| 5. ფიორენტინა | 24 | 11 | 8 | 5 | 36-23 | 41 |
| 6. უდინეზე | 24 | 10 | 6 | 8 | 31-33 | 36 |
| 7. სამპდორია | 24 | 10 | 5 | 9 | 31-27 | 35 |
| 8. ატალანტა | 24 | 7 | 10 | 7 | 36-37 | 31 |
| 9. ჯენოა | 24 | 8 | 8 | 8 | 28-33 | 31 |
| 10. პალერმო | 24 | 8 | 7 | 9 | 32-40 | 31 |
| 11. ნაპოლი | 24 | 8 | 6 | 10 | 36-38 | 30 |
| 12. ტორინო | 24 | 4 | 14 | 6 | 27-30 | 26 |
| 13. ლაციო | 24 | 6 | 8 | 10 | 27-32 | 26 |
| 14. ემპოლი | 24 | 6 | 7 | 11 | 21-30 | 25 |
| 15. კატანია | 24 | 5 | 8 | 11 | 20-30 | 23 |
| 16. ლივორნო | 24 | 5 | 8 | 11 | 26-38 | 23 |
| 17. სიენა | 24 | 4 | 10 | 10 | 27-34 | 22 |
| 18. პარმა | 24 | 4 | 10 | 10 | 29-37 | 22 |
| 19. რეჯინა | 24 | 4 | 9 | 11 | 21-38 | 21 |
| 20. კალიარი | 24 | 4 | 6 | 14 | 19-41 | 18 |

**ბომბარდირები:** 15 - ბორიელო (ჯენოა), ტრეზეგე (იუვენტუსი); 14 - იბრაჰიმოვიჩი (ინტერი), მუტუ (ფიორენტინა); 11 - დელ პიერო (იუვენტუსი), დი ნატალე (უდინეზე); 10 - კრუსი (ინტერი), ტავანო (ლივორნო), ტოტი (რომა); 9 - ამაური (პალერმო), ბელუჩი (სამპდორია), პანდევი (ლაციო); 8 - კ. დონი (ატალანტა), კაკა (მილანი), როკი (ლაციო).

### სერია B

XXVII ტური

**ასკოლი-ვიჩენცა 1:0**

გოლი: 1:0 გუბერტი (81)

**აველინო-კიევო 1:1**

გოლები: 0:1 ჩარამიტარო (31), 1:1 სალგადო (46)

**ბრეშა-ბოლონია 2:0**

გოლები: 1:0 კარაჩოლო (4), 2:0 პოსანცინი (57)

**ჩეზენა-ალბინოლეფე 0:3**

გოლები: 0:1 ჩელინი (27), 0:2 ჩელინი (33-პენ), 0:3 ფერარი (55)

**ფროზინონე-სპეცია 4:2**

გოლები: 1:0 ამერინი (5), 2:0 ედერი (19), 3:0 ლოდი (20), 4:0 ლოდი (23), 4:1 ბიანკი (38), 4:2 ელიაკვუ (85)

**გროსეტო-რავენა 2:2**

გოლები: 0:1 სუჩი (5), 1:1 პიხლმანი (17-პენ), 2:1 კონსონი (78-პენ), 2:2 სუჩი (80)

**ლეჩე-პიაჩენცა 3:1**

გოლები: 0:1 სერაფინი (6), 1:1 აბრუსკატო (20), 2:1 დიამუტენი (72), 3:1 ტირიბოკი (90)

**მანტოვა-ბარი 1:1**

გოლები: 0:1 ლანცაფარმე (39), 1:1 გოდეასი (41)

**მოდენა-რიმინი 0:2**

გოლები: 0:1 რიკიუტი (23), 0:2 პარასკივი (56)

**ტრევიზო-მესინა 6:2**

გოლები: 1:0 ვენიტუჩი (9), 2:0 ბარეტო (19), 2:1 კორდოვა (22), 2:2 კორდოვა (42), 3:2 ბარეტო (63-პენ), 4:2 ბარეტო (69), 5:2 ბეგეტო (70), 6:2 რუსოტო (82)

**ტრიესტინა-პიზა 0:1**

გოლი: 0:1 ჩოტოლა (4)

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. კიევო | 27 | 17 | 6 | 4 | 49-29 | 57 |
| 2. ბოლონია | 27 | 16 | 8 | 3 | 37-16 | 56 |
| 3. ლეჩე | 27 | 16 | 7 | 4 | 44-17 | 55 |
| 4. ალბინოლეფე | 27 | 16 | 7 | 4 | 46-21 | 55 |
| 5. პიზა | 27 | 15 | 8 | 4 | 46-29 | 53 |
| 6. ბრეშა | 26 | 15 | 5 | 6 | 43-24 | 50 |
| 7. რიმინი | 27 | 13 | 6 | 8 | 38-24 | 45 |
| 8. მანტოვა | 27 | 12 | 6 | 9 | 40-33 | 42 |
| 9. მესინა | 27 | 11 | 5 | 11 | 24-37 | 38 |
| 10. ასკოლი | 26 | 9 | 10 | 7 | 35-26 | 37 |
| 11. ფროზინონე | 27 | 10 | 6 | 11 | 37-41 | 36 |
| 12. მოდენა | 27 | 8 | 9 | 10 | 37-37 | 33 |
| 13. ბარი | 27 | 7 | 10 | 10 | 34-41 | 31 |
| 14. ტრიესტინა | 27 | 7 | 9 | 11 | 28-41 | 30 |
| 15. გროსეტო | 27 | 6 | 10 | 11 | 24-38 | 28 |
| 16. პიაჩენცა | 27 | 8 | 3 | 16 | 22-37 | 27 |
| 17. ტრევიზო | 27 | 6 | 7 | 14 | 27-36 | 24 |
| 18. ვიჩენცა | 27 | 5 | 9 | 13 | 26-42 | 24 |
| 19. სპეცია | 27 | 4 | 10 | 13 | 29-43 | 22 |
| 20. აველინო | 27 | 5 | 7 | 15 | 25-41 | 22 |
| 21. ჩეზენა | 27 | 3 | 11 | 13 | 23-41 | 20 |
| 22. რავენა | 27 | 4 | 7 | 16 | 31-51 | 19 |

**ბომბარდირები:** 18 - კასტილიო (პიზა), ჩელინი (ალბინოლეფე), გოდეასი (მანტოვა); 15 - მარაცინა (ბოლონია); 14 - ლოდი (ფროზინონე), სუჩი (რავენა); 13 - გრანოკე (ტრიესტინა); 12 - ჟედა (რიმინი), პელისიერი (კიევო), პოსანცინი (ბრეშა), ტირიბოკი (ლეჩე); 11 - აბრუსკატო (ლეჩე), გუიდეტი (სპეცია), მოსკარდელი (ჩეზენა), სონჩინი (ასკოლი);

### სერია C1/A

XXV ტური

ლენიანო-ნოვარა 3:1; მანფრედონია-პრო სესტო 0:1; ლეკო-პადოვა 1:1; მონცა-ფოლინო 1:1; პაგანეზე-ფოჯა 0:1; ჩიტადელა-კრემონეზე 3:1; ტერნანა-ვერონა 2:0; ვენეცია-პრო პატრია 0:1; სასუოლო-კავეზე დღეს.

### სერია C1/B

XXV ტური

ანკონა-სორენტო 1:0; არეცო-პესკარა 1:0; კროტონე-მასეზე 2:1; გალიპოლი-ლუკეზე 0:0; იუვე სტაბია-ლანჩანო 3:1; პერუჯა-სამბენედეტეზე 1:0; პოტენცა-სანჯოვანეზე 1:0; სალერნიტანა-პისტოიეზე 1:0; ტარანტო-მარტინა 5:0.

ინგლისი. პრემიერლიგა. XXVII ტური

# ვენგერი: ვიცოდი, რომ ეს მოხდებოდა

## ედუარდოს შემაძრწუნებელი ტრავმა, არსენალის თავკაცი მეტოქეებს მისი გუნდის წინააღმდეგ შეგნებულ უხეშობაში ადანაშაულებს...

"ბირმინგემთან" მატჩისას "არსენალის" თავდამსხმელმა **ედუარდო და სილვამ** ფეხი ორ ადგილას მოიტეხა. ტრავმა იმდენად შემაძრწუნებელი იყო, რომ ტელეკომპანია "სქაიმ" პირდაპირი რეპორტაჟისას მომენტის გამეორებისგან თავი შეიკავა. ისინი ძირს დაცემულ და ტკივილისგან შეძრულ ფეხბურთელს მხოლოდ შორი კადრით აჩვენებდნენ. აჩვენებდნენ "არსენალის" ფეხბურთელების სახეებსაც, რომელთაც უჭირდათ იმის დაჯერება, რაც მათ თვალწინ მოხდა. თამაში დაახლოებით ათი წუთით შეწყდა. სწორედ ეს დრო აღმოჩნდა საჭირო იმისთვის, რომ ფეხბურთელი მინდვრიდან გასაყვანად მოემზადებინათ. მას დაუყოვნებლივ ჟანგბადის ნიღაბი გაუკეთეს. ედუარდო მოედნიდან საოპერაციოში გადაიყვანეს. მან სეზონი დაასრულა და შესაძლოა, წლის ბოლომდე ვერ ითამაშოს. ინგლისელმა მიმომხილველებმა შაბათ საღამოს მომხდარი უსიამოვნო ინციდენტი 1996 წელს, „ქოვენთრისა" და „მანჩესტერ იუნაიტედის" მატჩისას მომხდარს შეადარეს. იმ შეხვედრაში "ქოვენთრის" მცველმა **დეივ ბასტმა** დაახლოებით ანალოგიური ტრავმა მიიღო და კარიერის დასრულება მოუხდა.

ედუარდო ბირმინგემელმა მცველმა **მარტინ ტეილორმა** დაამტვრია. ნამატჩევს **არსენ ვენგერმა** თქვა, ამის ჩამდენს ფეხბურთი საერთოდ აღარ უნდა ათამაშოო. ტეილორს დაუყოვნებლივ წითელი ბარათი აუფრიალეს, მაგრამ ეს ვერაფერი შეღავათია 24 წლის ედუარდოსთვის, რომელსაც ევროპის ჩემპიონატის გამოტოვება მოუხდება. „ბირმინგემის" თავკაცმა **ალექს მაკლიშმა** ჟურნალისტებს აუწყა, რომ ტეილორი მომხდარით თავადაც გაოგნებული იყო: *"ის არ არის უხეში ფეხბურთელი. მას ეს განზრახ არ ჩაუდენია. მარტინი შეშფოთებულია და ძალიან წუხს."* ვენგერის აზრით, ეს როდესლაც უნდა მომხდარიყო, რადგან "არსენალის" წინააღმდეგ უხეშად თამაში ჩვეულებრივ მოვლენად იქცა.

ედუარდო რიო დე ჟანეიროში დაიბადა. 15 წლისა იყო, როცა ხორვატიაში გაემგზავრა და ზაგრების "დინამოს" ახალგაზრდულ გუნდში მოეწყო. მერე ის ისევ სამშობლოში გაანათხოვრეს. 2003 წლის ზაფხულში ედუარდოს ხორვატიის მოქალაქეობა მიანიჭეს, ის "დინამოში" დაბრუნდა და ერთი წლის შემდეგ ხორვატიის ეროვნული გუნდის მაისურაც მოირგო. ფორვარდი "არსენალში" გასულ ზაფხულს გადავიდა და ძირითად შემადგენლობაში სტაბილურად ასპარეზობდა.

ორიოდე სიტყვას თამაშზეც მოგახსენებთ. ანგარიში "ბირმინგემმა" გახსნა (მაკფადენი). გუნდმა, რომელიც რიცხობრივ უმცირესობაში თამაშობდა, პირველი ტაიმი მოიგო. შესვენების შემდეგ **თეო უოლკოტს** ხუთი წუთი დასჭირდა, რათა წონასწორობა აღედგინა და კიდევ ხუთი წუთი, რათა დუბლი გამოეცხო. საინტერესო დეტალი: უოლკოტი პირველი ინგლისელია, რომელმაც 2007 წლის იანვრის შემდეგ "არსენალის" შემადგენლობაში გოლი შეაგდო. ზუსტად ერთი წლისა და ერთი თვის წინათ ეს **ჯასტინ ჰოიტმა** გააკეთა.

თამაშის მიწურულს **ჯეიმს მაკფადენმაც** მეორე გოლი გაიტანა. ბოლო წუთზე მან პენალტი შეაგდო. 11-მეტრიანი **გაელ კლიშის** უხეშობისთვის დაინიშნა. მან საკუთარ საჯარიმოში **სტიუარტ პერნაბი** წააქცია. "არსენალს" უსახური კვირა გამოუვიდა. მან სამი მატჩი ჩაატარა და ვერც ერთი ვერ მოიგო. ერთი კვირის წინათ "მეთოფეებმა" "მანჩესტერ იუნაიტედთან" დიდი ანგარიშით წააგეს (0:4) და ასოციაციის თასს გამოეთიშნენ, შუა კვირაში ჩემპიონთა ლიგაში "მილანთანაც" ვერაფერს გახდნენ (0:0) და აი, კიდევ ერთი ფრე. მოსიე ვენგერის გუნდს პრემიერლიგაში 11-მატჩიანი წაუგებელი სერია აქვს.

"არსენალის" წაფორხილებით დაუყოვნებლივ ისარგებლა "მანჩესტერ იუნაიტედმა" და სხვაობა სამ ქულამდე შეამცირა. "ეშმაკებმა" მინასთან გაასწორეს "ნიუკასლი", თანაც მეორედ ბოლო თვენახევარში. 12 იანვარს, "ოლდ ტრაფორდზე" ჯორდებმა 0:6 წააგეს. **კრისტიანო რონალდომ** ორი გოლი გაიტანა. ამ სეზონში მის ანგარიშზე 29 გოლია. დუბლი შეასრულა **უეინ რუნიმაც**. მეხუთე გოლი **ლუის საამ** მიითვალა. საბრალო "ნიუკასლმა" **აბდულაიე ფაიეს** პრესტიჟის გოლით უპასუხა. ჯორდებს 10 მატჩია, არ მოუგიათ. მათ ამ ხნის განმავლობაში 30 შესაძლებლიდან მხოლოდ სამი ქულა მიითვალეს. ნამატჩევს **კევინ კიგანმა** აღიარა, რომ მის გუნდს მიმდინარე სეზონში პრემიერლიგაში ადგილის შენარჩუნებისთვის მოუწევს ბრძოლა. ნიუკასლური მატჩი **სერ ბობი რობსონის** მისალმებით დაიწყო. გასულ ორშაბათს ჯორდების ყოფილ თავკაცს 75 წელი შეუსრულდა. იმავე დღეს "სენტ ჯეიმს პარკზე" მისი ბიუსტი გახსნეს.

მოიგო "ლივერპულმაც". **ფერნანდო ტორესმა** "მიდლსბროს" სამი გოლი უძღვნა. ის მერსისაიდელთა პირველი თავდამსხმელია ბოლო ხუთი წლის განმავლობაში, რომელმაც სეზონში 20-ზე მეტი გოლის გატანა მოახერხა. ესპანელი გოლეადორის ანგარიშზეა 21 გოლი. შეგახსენებთ, ის ინგლისში სადებიუტო სეზონს ატარებს. ტორესი "ლივერპულში" გასულ ზაფხულს, მადრიდის "ატლეტიკოდან" 20 მილიონ გირვანქად გადავიდა.

"ფულჰემი"-"ვესტ ჰემის" მატჩის წინ მაყურებელმა წუთიერი დუმილით პატივი მიაგო ლეგენდარული ინგლისელი ფეხბურთელის, **ბობი მურის** ხსოვნას. შაბათს მისი გარდაცვალებიდან ზუსტად 15 წელი შესრულდა. მური "ფულჰემისა" და "ვესტ ჰემის" ყოფილი ფეხბურთელი იყო. საინტერესო კი ის გახლავთ, რომ "ფულჰემმა" "ჩაქუჩებს" უკანასკნელად იმ 1966 წელს მოუგო, როცა მურმა მსოფლიოს ჩემპიონის თასი აღმართა. ისტორიული კანონზომიერება არ დარღვეულა. "ფულჰემმა" თანაქალაქელი ისევ ვერ დაამარცხა, 1:2.

**მომდევნო ტური**

**1 მარტი. არსენალი-ასტონ ვილა, ბირმინგემი-ტოტენჰემი, ბოლტონი-ლივერპული, დერბი-სანდერლენდი, ევერტონი-პორტსმუთი, ფულჰემი-მანჩესტერ იუნ, მანჩესტერ სიტი-ვიგანი, მიდლსბრო-რედინგი, ნიუკასლი-ბლექბერნი, ვესტ ჰემი-ჩელსი.**

ინგლისის ლიგის თასი. ფინალი

# რამოსი, სათასო საქმის ოსტატი

## ტოტენჰემმა 1999 წლის შემდეგ პირველი ტიტული მოიხვეჭა

**ტოტენჰემი-ჩელსი 1:1 დ.დ. 2:1**

ტოტენჰემი: რობინსონი, ვუდგეიტი, ლედლი კინგი, შიმბონდა (61. ჰადლსტონი), ჰატონი, ჯენასი, მალბრანკი (75. ტაინიო), ზოკორა, ლენონი, რობი კინი (102. კაბული), ბერბატოვი.

ჩელსი: ჩეხი, ბელეტი, ბრიჯი, ტერი, კარვალიო, რაიტ-ფილიპსი (72. კალუ), ლემპარდი, ესიენი (88. ბალაკი), ობი მიკელი (98. ჯო კოული), ანელკა, დროგბა.

გოლები: 0:1 დროგბა (39), 1:1 ბერბატოვი (70-პენ), 2:1 ვუდგეიტი (94).

გაფრთხილება: 2-2; დარტყმა: 14(7)-16(11); ჯარიმა: 19-16; კუთხური: 5-8; ბურთის ფლობა: 48%-52%.

მაყურებელი: 87 660

"ტოტენჰემმა" ცხრაწლიანი პაუზის შემდეგ პირველი ტიტული დაისაკუთრა. "მამლებმა" 1999 წელსაც ინგლისის ლიგის თასი მოიგეს. მათ ფინალში "ლესტერ სიტის" მინიმალური ანგარიშით სძლიეს. ამჯერად "ტოტენჰემს" გაცილებით რთული მეტოქე ჰყავდა. მას "ჩელსისთან" ბოლო 18 წლის განმავლობაში მხოლოდ ორჯერ ჰქონდა მოგებული. ამ პერიოდში გუნდები 42-ჯერ შეხვდნენ ერთმანეთს. სტატისტიკის თანახმად, "არისტოკრატები" უპირობო ფავორიტები იყვნენ.

"ტოტენჰემის" ორიდან ერთი გამარჯვება 2002 წლით თარიღდებოდა. გუნდები მაშინაც ლიგის თასზე გადაეყარნენ ერთმანეთს. "მამლებმა" მეტოქე მინასთან გაასწორეს, 5:1. იმ სალამოს "ტოტენჰემის" ნახევარდაცვაში **გუსტავო პოიეტი** თამაშობდა. "ტოტენჰემში" ჩარიცხვამდე ურუგვაელმა ვარსკვლავმა ოთხი სეზონი "ჩელსიში" გაატარა. ახლა ის, მოგეხსენებათ, "მამლების" მეორე მწვრთნელია.

ლიგის თასი "ჩელსისთვის", შესაძლოა, ყველაზე უმნიშვნელო ტიტული იყო, მაგრამ **ავრამ გრანტს** მისი მოგება გულით სურდა. 80 წლის მამაც კი საგანგებოდ ჩაიყვანა "უემბლიზე". ხუმრობა ხომ არ არის: ეს მისი პირველი ინგლისური ჯილდო უნდა ყოფილიყო (ისევე, როგორც პირველია **ხუანდე რამოსისთვის**). ოთხშაბათს, "ოლიმპიაკოსთან" ჩემპიონთა ლიგის მატჩში მან კაპიტანი **ჯონ ტერი** არ ათამაშა, ხოლო **ფრენკ ლემპარდი** მხოლოდ ოთხი წუთით შეუშვა მინდორზე. გრანტმა ისინი "ტოტენჰემისათვის" შემოინახა, მაგრამ...

რამოსმა კარის დაცვა **პოლ რობინსონს** ანდო. სამი დღით ადრე რობინსონმა პრაღის "სლავიასთან" უეფას თასზე საკმაოდ ღამაჯერებლად ითამაშა. იქამდე ათი მატჩის განმავლობაში, პოლი თადარიგში იყო გამწესებული. მის ნაცვლად **რადეკ ჩერნი** თამაშობდა. ნუხელ რობინსონმა დამატებულ დროში სამი ურთულესი ბურთი მოიგერია. ეს ყველაფერი **ჯონათან ვუდგეიტის** მეორე გოლის შემდეგ ხდებოდა. "ჩელსი" ანგარიშის გათანაბრებას ცდილობდა. მათ მცდელობას "ტოტენჰემის" გოლკიპერი აღუდგა წინ.

"არისტოკრატებმა" ანგარიში პირველი ტაიმის მიწურულს გახსნეს. **დიდიე დროგბამ** საჯარიმო გაიტანა. "მამლებმა" 70-ე წუთზე, 11-მეტრიანით გაათანაბრეს. **დიმიტარ ბერბატოვმა** **უეინ ბრიჯის** ხელით თამაშისთვის დანიშნული პენალტი გაიტანა. "ტოტენჰემმა" გადამწყვეტი გოლი დამატებულ დროში შეაგდო: 94-ე წუთზე "ჩელსის" კარის სიახლოვეს საჯარიმო დაინიშნა. **ჯერმეინ ჯენასმა** ბურთი მეკარის საჯარიმოში ჩაჰკიდა. ვუდგეიტმა მას თავი დაჰკრა. **პეტრ ჩეხმა** მოიგერია. მაგრამ მისდა სამწუხაროდ, ბურთი ისევ ვუდგეიტს მოხვდა და კარში შევარდა. რამოსმა დაამტკიცა, რომ ის სათასო ტურნირების ოსტატად მარტო ესპანეთში არ ითვლებოდა. გავიხსენოთ, რომ ლიგის თასის ნახევრფინალში მისმა გუნდმა "არსენალი" გაანადგურა, 5:1.



რამოსი შამპანურის ზღვაში

**ბირმინგემი-არსენალი 2:2**

**ბირმინგემი:** მაიკ ტეილორი, მარტინ ტეილორი, რიჯველი, დევიდ მერფი, კელი, დემიენ ჯონსონი, კაპო (59. სარატე), ლარსონი (66. ნაფტი), მუამბა, მაკფადენი, ფორსელი (15. პერნაბი).

**არსენალი:** ალმუნია, გალასი, სენდეროსი, კლიში, სანია, გლები (89. ჟილბერტო), ფაბრეგასი, ფლამინი, ადებაიორი, ედუარდო (3. ბენდტნერი), უოლკოტი (89. დენილსონი).

**გოლები:** 0:1 მაკფადენი (28), 1:1 უოლკოტი (50), 1:2 უოლკოტი (55), 2:2 მაკფადენი (90-პენ).

**გაძევება:** მარტინ ტეილორი (3. ბირმინგემი)

**გაფრთხილება:** 0-2; **დარტყმა:** 2(1)-26(13); **ჯარიმა:** 9-13; **კუთხური:** 1-7; **ბურთის ფლობა:** 41%-59%.

**მაყურებელი:** 27 195

**ნიუკასლი-მანჩესტერ იუნ 1:5**

**ნიუკასლი:** გივენი (46. სტივ ჰარპერი), სტივენ ტეილორი, ბეიე, დაფი, ბატი, ფაიე, მილნერი (84. ჯერემი), ბარტონი (61. ქეროლი), ნზოგბია, სმიტი, ოუენი.

**იუნაიტედი:** ვან დერ სარი, რიო ფერდინანდი, ბრაუნი, ევრა (46. ოში), ვიდიჩი (74. სქოულზი), ქერიკი, ფლეტჩერი, რონალდო (67. საა), ნანი, რუნი, ტევესი.

**გოლები:** 0:1 რუნი (25), 0:2 რონალდო (45), 0:3 რონალდო (56), 1:3 ფაიე (79), 1:4 რუნი (80), 1:5 საა (90).

**გაფრთხილება:** 4-0; **დარტყმა:** 10(5)-16(10); **ჯარიმა:** 13-12; **კუთხური:** 7-4; **ბურთის ფლობა:** 50%-50%.

**მაყურებელი:** 52 291

**ლივერპული-მიდლსბრო 3:2**

**ლივერპული:** რეინა, ჰიიპია, ფინენი, აურელიო, არბელოა, ჯერარდი, მასკერანო, ლუკასი, კუიტი (73. რიისე), ტორესი (90. კრაუჩი), ბაბელი (62. ბენაიუნი).

**მიდლსბრო:** შვარცერი, ლუკ იანგი, პოგატეცი, ვიტერი, გრაუნდსი, ონილი (59. მიდო), არკა, როშემბაკი, დაუნინგი, ალიადიერი, თუნჯაი (69. აფონსო ალვეში).

**გოლები:** 0:1 თუნჯაი (9), 1:1 ტორესი (28), 2:1 ტორესი (29), 3:1 ტორესი (61), 3:2 დაუნინგი (83).

**გაძევება:** ალიადიერი (85. მიდლსბრო)

**გაფრთხილება:** 2-5; **დარტყმა:** 13(8)-6(3); **ჯარიმა:** 8-11; **კუთხური:** 6-2; **ბურთის ფლობა:** 57%-43%.

**მაყურებელი:** 43 612

**ფულჰემი-ვესტ ჰემი 0:1**

**ფულჰემი:** ნიემი, კონჩესკი, აარონ ჰიუზი, სტალტერი, ჰანგელანდი, ანდრეასენი, ბულარდი, დენი მერფი, დემპსი (76. ჯონსონი), მაკბრაიდი, დიომანსი კამარა.

**ვესტ ჰემი:** გრინი, ნილი, აპსონი, მაკარტნი, ანტონ ფერდინანდი, მულინსი, ლიუნგბერგი (90. სპექტორი), ნობლი, ფობერი (63. სოლანო), ბოა მორტე, კარლტონ კოული (80. ეშტონი).

**გოლი:** 0:1 სოლანო (87).

**გაძევება:** ანდრეასენი (88.ფულჰემი)

**გაფრთხილება:** 3-0; **დარტყმა:** 18(14)-12(6); **ჯარიმა:** 12-17; **კუთხური:** 5-8; **ბურთის ფლობა:** 43%-57%.

**მაყურებელი:** 25 280

**პორტსმუთი-სანდერლენდი 1:0**

**პორტსმუთი:** ჯეიმსი, კემპბელი, პრეიდარსონი, დესტენი, გლენ ჯონსონი, დიოპი, მუნტარი, კრანჩარი, ლასანა დიარა, დეფო, ბაროში (64. კანუ).

**სანდერლენდი:** გორდონი, ნოსვორთი, კოლინსი, ბერდსლი, ევანსი, ეტუჰუ, რიდი (70. ჩოპრა), უაითჰედი, ლიდბიტერი (79. იორკი), დერილ მერფი (84. პრიცა), ჯოუნსი.

**გოლი:** 1:0 დეფო (69-პენ)

**გაფრთხილება:** 1-2; **დარტყმა:** 17(10)-5(2); **ჯარიმა:** 13-13; **კუთხური:** 5-3; **ბურთის ფლობა:** 57%-43%.

**მაყურებელი:** 20 139

**ვიგანი-დერბი 2:0**

**ვიგანი:** კერკლანდი, ბოისი, მელხიოტი, ედმანი (90. კუმასი), შარნერი, მაიკლ ბრაუნი, კილბეინი, ვალენსია, პალასიოსი, მარლონ კინგი (85. სიბირსკი), ჰესკი (90. მარკუს ბენტი).

**დერბი:** ქეროლი, მური, სტაბსი, ლიკოკი (46. ტოდი), მაკევილი, პირსონი (57. ვილია), სევიჯი, გალი (62. სტერჟოვსკი), ბარნესი, მილერი, ფეგანი.

**გოლები:** 1:0 შარნერი (60), 2:0 ვალენსია (84).

**გაფრთხილება:** 0-1; **დარტყმა:** 22(18)-5(3); **ჯარიმა:** 10-12; **კუთხური:** 14-2; **ბურთის ფლობა:** 59%-41%.

**მაყურებელი:** 20 176

**რედინგი-ასტონ ვილა 1:2**

**რედინგი:** ჰანემანი, მერტი, შორი, სონკო, ჰარპერი, ჰანტი, ოსტერი (58. კებე), კალიფა სისე (71. ინგიმარსონი), მატეიოვსკი, კიტსონი, დოილი (71. ლონგი).

**ვილა:** კარსონი, ლაურსენი, ბუმა, კერტის დევისი, მელონი (73. ჰერვუდი), ბერი, რეო-კოკერი (86. ოსბორნი), კრეიგ გარდნერი, ქერიუ, იანგი, აგბონლაორი.

**გოლები:** 0:1 იანგი (45), 0:2 ჰერვუდი (83), 1:2 შორი (90).

*33-ე წუთზე ბერიმ ვერ გაიტანა პენალტი*

**გაფრთხილება:** 2-1; **დარტყმა:** 9(6)-19(11); **ჯარიმა:** 10-15; **კუთხური:** 11-7; **ბურთის ფლობა:** 39%-61%.

**მაყურებელი:** 23 889

**ბლექბერნი-ბოლტონი 4:1**

**ბლექბერნი:** ფრიდელი, ხიზანიშვილი, უორნოკი, სამბა, რიდი, დევიდ დანი (77. მოკოენა), პედერსენი, ემერტონი, ბენტლი, მაკარტი (82. რობერტსი), სანტა კრუსი.

**ბოლტონი:** იაასკელაინენი, ობრაიენი, სტეინსონი, კაჰილი, მეტიუ ტეილორი, რიკარდო გარდნერი, ნოლანი (76. კოენი), კამპო (76. ჯოი ობრაიენი), გუტრი (46. რასიაკი), კევინ დევისი, დოუფი.

**გოლები:** 1:0 მაკარტი (25-პენ), 1:1 კევინ დევისი (50), 2:1 მაკარტი (67-პენ), 3:1 ბენტლი (71), 4:1 პედერსენი (90).

**გაფრთხილება:** 2-4; **დარტყმა:** 11(6)-15(9); **ჯარიმა:** 17-21; **კუთხური:** 5-4; **ბურთის ფლობა:** 54%-46%.

**მაყურებელი:** 23 995

**მანჩესტერ სიტი-ევერტონი** დღეს

**ტოტენჰემი-ჩელსი** გადაიდო

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. არსენალი | 27 | 19 | 7 | 1 | 56-20 | 64 |
| 2. მანჩესტერ იუნ | 27 | 19 | 4 | 4 | 55-15 | 61 |
| 3. ჩელსი | 26 | 16 | 7 | 3 | 38-17 | 55 |
| 4. ლივერპული | 26 | 12 | 11 | 3 | 43-19 | 47 |
| 5. ევერტონი | 26 | 14 | 5 | 7 | 41-23 | 47 |
| 6. ასტონ ვილა | 27 | 13 | 8 | 6 | 50-35 | 47 |
| 7. პორტსმუთი | 27 | 12 | 8 | 7 | 37-26 | 44 |
| 8. მანჩესტერ ს | 26 | 12 | 8 | 6 | 34-29 | 44 |
| 9. ბლექბერნი | 27 | 11 | 9 | 7 | 36-34 | 42 |
| 10. ვესტ ჰემი | 26 | 11 | 7 | 8 | 31-23 | 40 |
| 11. ტოტენჰემი | 26 | 8 | 8 | 10 | 48-41 | 32 |
| 12. მიდლსბრო | 27 | 7 | 8 | 12 | 25-41 | 29 |
| 13. ნიუკასლი | 27 | 7 | 7 | 13 | 30-52 | 28 |
| 14. ვიგანი | 27 | 7 | 5 | 15 | 26-42 | 26 |
| 15. სანდერლენდი | 27 | 7 | 5 | 15 | 26-46 | 26 |
| 16. ბოლტონი | 27 | 6 | 7 | 14 | 27-39 | 25 |
| 17. ბირმინგემი | 27 | 5 | 8 | 14 | 27-40 | 23 |
| 18. რედინგი | 27 | 6 | 4 | 17 | 31-55 | 22 |
| 19. ფულჰემი | 27 | 3 | 10 | 14 | 25-45 | 19 |
| 20. დერბი | 27 | 1 | 6 | 20 | 13-57 | 9 |

**ბომბარდირები:** 21 - რონალდო (მანჩესტერ იუნ); 19 - ადებაიორი (არსენალი); 15 - ფერნანდო ტორესი (ლივერპული); 13 - ბენჯანი (მანჩესტერ სიტი); 12 - კინი (ტოტენჰემი); 11 - სანტა კრუსი (ბლექბერნი), ტევესი (მანჩესტერ იუნ), ანელკა (ჩელსი); 10 - ბერბატოვი (ტოტენჰემი); 9 - აიეგბენი (ევერტონი); 8 - ჯერარდი (ლივერპული).

**ჩემპიონატი**

XXXIV ტური

**ბლეკპული-ჩარლტონი 5:3**

**გოლები:** 1:0 მაკფი (16), 2:0 გორკსი (26), 2:1 ემბროუზი (28), 2:2 ემბროუზი (30), 3:2 ტეილორ-ფლეტერი (59), 4:2 დიკოვი (62), 5:2 ტეილორ-ფლეტჩერი (69), 5:3 ფორჩუნი (74)

**კოლჩესტერი-ბრისტოლი 1:2**

**გოლები:** 1:0 პლატი (50), 1:1 ადებოლა 52), 1:2 მაკინდოე (58)

**ქოვენთრი-ლესტერი 2:0**

**გოლები:** 1:0 უორდი (32-პენ), 2:0 ბესტი (79)

**კრ. პალასი-ვულვზი 0:2**

**გოლები:** 0:1 გრეი (76), 0:2 კაილი (89)

**ნორვიჩი-ბარნსლი 1:0**

**გოლი:** 1:0 კარეტონი (26)

**პლიმუტი-ბარნლი 3:1**

**გოლები:** 1:0 ნალისი (12), 1:1 ო'კონორი (19), 2:1 ჰალმოში (35), 3:1 ჰალმოში (76)

**ქუინზ პარკი-შეფილდი 1:1**

**გოლები:** 1:0 ბალანტა (19), 1:1 მორგანი (78)

**სკანთორფი-საუთჰემპტონი 1:1**

**გოლები:** 1:0 კროსბი (41), 1:1 ვინიალი (88-პენ)

**უენსდი-კარდიფი 1:0**

**გოლი:** 1:0 ტადგეი (41)

**სტოკი-იფსვიჩი 1:0**

**გოლი:** 1:0 ლოურენსი (42)

**უოტფორდი-პრესტონი 0:0**

**ვესტ ბრომვიჩი-ჰალი 1:2**

**გოლები:** 0:1 ფ. კემპბელი (29), 1:1 ბედნარი (42), 1:2 ფოლანი (82)

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. სტოკი | 34 | 17 | 11 | 6 | 59-43 | 62 |
| 2. ბრისტოლი | 34 | 17 | 10 | 7 | 42-40 | 61 |
| 3. უოტფორდი | 34 | 17 | 9 | 8 | 54-40 | 60 |
| 4. ვესტ ბრომვიჩი | 33 | 16 | 7 | 10 | 67-42 | 55 |
| 5. პლიმუტი | 34 | 14 | 10 | 10 | 45-33 | 52 |
| 6. ჩარლტონი | 34 | 14 | 10 | 10 | 49-41 | 52 |
| 7. იფსვიჩი | 34 | 14 | 9 | 11 | 51-42 | 51 |
| 8. ჰალი | 33 | 13 | 11 | 9 | 41-37 | 50 |
| 9. ბარნლი | 33 | 12 | 11 | 10 | 45-44 | 47 |
| 10. ვულვზი | 33 | 12 | 11 | 10 | 32-34 | 47 |
| 11. კრ. პალასი | 34 | 11 | 13 | 10 | 38-35 | 46 |
| 12. ნორვიჩი | 34 | 12 | 9 | 13 | 33-41 | 45 |
| 13. კარდიფი | 33 | 11 | 11 | 11 | 42-41 | 44 |
| 14. ბლეკპული | 34 | 10 | 12 | 12 | 46-45 | 42 |
| 15. ქუინზ პარკი | 33 | 10 | 10 | 13 | 43-50 | 40 |
| 16. ბარნსლი | 33 | 10 | 10 | 13 | 37-50 | 40 |
| 17. შეფილდი | 33 | 9 | 13 | 11 | 35-37 | 40 |
| 18. ქოვენთრი | 32 | 11 | 6 | 15 | 36-46 | 39 |
| 19. საუთჰემპტონი | 34 | 10 | 9 | 15 | 43-56 | 39 |
| 20. ლესტერი | 34 | 8 | 13 | 13 | 33-33 | 37 |
| 21. უენსდი | 32 | 10 | 5 | 17 | 34-40 | 35 |
| 22. პრესტონი | 33 | 9 | 7 | 17 | 31-40 | 34 |
| 23. სკანთორფი | 34 | 7 | 11 | 16 | 32-50 | 32 |
| 24. კოლჩესტერი | 33 | 6 | 14 | 13 | 46-54 | 32 |

**ბომბარდირები:** 16 - ფილიპსი (ვესტ ბრომვიჩი); 14 - ფულერი (სტოკი); 13 - შ. ჯონი (საუთჰემპტონი), მორისონი (კრ. პალასი), ბიტი (შეფილდი), ებენქს-ბლეიკი (პლიმუტი); 12 - უოლტერსი (იფსვიჩი), პატერსონი (სკანთორფი), აგიემანგი (ქუინზ პარკი), ლოურენსი (სტოკი); 11 - გრეი (ბარნლი), ჰენდერსონი (უოტფორდი).

**I დივიზიონი**

XXXIV ტური

**ჰარტლპული-ნორთჰემპტონი 0:1; სუონსი-ლუტონი 1:0; ბორნმუთი-ჩელტენემი 2:2; ბრაიტონი-ოლდჰემი 1:0; როვერსი-ტრანმერი 1:1; კარლაილი-დონკასტერი 1:0; ჯილინგემი-ჰადერსფილდი 1:0; ლიდსი-ქრიუ 1:1; ლეიტონი-ნოტინგემი 0:1; მილუოლი-პორტ ვეილი 3:0; სუინდონი-უოლსოლი 0:3; იეოვილი-საუთენდი 0:3.**

**II დივიზიონი**

XXXIV ტური

**აკრინგტონი-სტოკპორტი 0:2; ბარნეტი-მილტონი 0:2; ბერი-დარლინგტონი 1:2; ჩესტერფილდი-ბრენტფორდი 1:0; დაგენჰემი-მორეკამბი 2:0; მაკლსფილდი-პიტერბრო 0:3; მენსფილდი-ჩესტერი 1:3; ნოტსი-ბრედფორდი 1:3; როჩდეილი-უიკომბი 0:1; როტერჰემი-ლინკოლნი 3:2; შრიუსბერი-ჰერეფორდი 1:2; რექსჰემი-გრიმსბი 0:0.**

**კონფერენსი**

XXXIII ტური

**კემბრიჯი-ფორესტ გრინი 2:0; ექსეტერი-ფარსლი 2:1; ჰალიფაქსი-სტეფორდი 0:0; კიდერმინსტერი-სალისბერი 1:2; სტევენეიჯი-გრეისი 0:0; უეიმაუთი-ჰისტონი 0:1; უოკინგი-ნორთვიჩი 2:3.**



ბაიერნი-ჰამბურგი. ლუკა ტონის ბასტიან რაინჰარდტი მეურვეობდა

გერმანია. ბუნდესლიგა. XXI ტური

# ჰამბურგმა ბაიერნი გააჩერა

## მაგრამ რეკორდმაისტერსა და ვერდერს შორის სხვაობა მაინც გაიზარდა...

მიმოხილვა შაბათის ცენტრალური მატჩით დავიწყოთ, რომელიც ლევერკუზენში, "ბაი არენაზე" შედგა და რომელშიც ადგილობრივმა "ბაიერმა" **ლევან კობიაშვილის** "შალკეს" უმასპინძლა. შუა კვირაში ორივე გუნდმა ევროტურნირებზე ("შალკემ" ჩემპიონთა ლიგაში, "ბაიერმა" კი უეფას თასზე) იასპარეზა და არცაა გასაკვირი, შაბათს ორივეს დაღლა რომ ეტყობოდა. ყოველ შემთხვევაში, პირველი ტაიმი ისე დამთავრდა, ფეხბურთელებს მოედანზე ღირებული არაფერი შეუქმნიათ - არანაირი მომენტები, არც სწრაფი ტემპი და არც მონდომება - თითქოს იმითაც კმაყოფილები იყვნენ, რომ ტაბლოზე 0:0 ენთო. მოკლედ, თამამად შეიძლება ითქვას, რომ ლევერკუზენელებსა და გელზენკირხენელებს პირველ ტაიმში არ უთამაშიათ. მეორე ნახევარში კი ოდნავ გამოსწორდნენ, მაგრამ საფეხბურთო თვალსაზრისით მაყურებელს თვალსასეირო ფაქტობრივად ვერაფერი შესთავაზეს. დაახლოებით მე-60 წუთიდან უკვე ნათელი გახლდათ, რომ თამაშს ის მოიგებდა, ვინც პირველი გაიტანდა. ვერ ვიტყვით, რომ რომელიმე გუნდმა მეტოქე დაჯაბნა, მაგრამ ფაქტია, რომ ბოლოს "ლევერკუზენს" გაუმართლა - მატჩის ერთადერთი გოლი **მანუელ ფრიდრიხის** ანგარიშზეა. გერმანიის ნაკრების მცველმა 85-ე წუთზე "ხუმარების" მეკარე **ნოიერის** საჯარიმოში ჩაწოდება სცადა, მაგრამ დარტყმა გამოუვიდა და ბურთიც "შალკეს" კარის დარაჯის ბადეში ჩაეშვა. ამრიგად, "ლევერკუზენი" (მინიმუმ) ჩემპიონთა ლიგის საგზურისთვის ბრძოლას აგრძელებს, "შალკეს" კი წაგებამ ამ თვალსაზრისით ძალიან ბევრი დააკარგვინა. როგორც ჩანს, **მირკო სლომკას** გუნდს ძალების ორ ფრონტზე გადანაწილება ძალიან უჭირს - ვერ ვიტყვით, რომ დამთხვევაა ის, რომ "შალკე" ჩემპიონთა ლიგის მატჩების შემდეგ ბუნდესლიგაში ძალიან ცუდად გამოიყურება ხოლმე.

"აინტრახტმა" ერთტურიანი პაუზის შემდეგ წარმატებული სვლა გააგრძელა. საერთოდ, ფრანკფურტული კლუბი დღესდღეობით ბუნდესლიგაში ერთ-ერთი ყველაზე სიმპათიური გუნდია, რაც **ფრიდჰელმ ფუნკელის** ბიჭებმა თვით ბრემენის "ვერდერთან" დაამტკიცეს - გუნდთან, რომელიც გერმანიაში ყველაზე შემტევ და ლაღ ფეხბურთს თამაშობს. მოკლედ, "აინტრახტმა" "ვერდერს" 1:0 მოუგო და ეს ერთადერთი გოლი (საერთოდ, ტური არცთუ ისე უხვგოლიანი გამოვიდა) **იოანის ამანატიდისმა** გაიტანა, რომლისთვისაც ეს რიგით მე-8 გოლია მიმდინარე სეზონში. ბრემენელებს კი ცუდად იმიტომ წაუვიდათ საქმე, რომ პირველი ტაიმის მიწურულს მსაჯმა არასპორტული საქციელისთვის მოედნიდან **დიეგო** გააძევა. ალბათ შეხსენებას აღარ საჭიროებს ის ფაქტი, რომ "ვერდერი" დიეგოსთან ერთად და მის გარეშე ორი, ერთმანეთისგან აბსოლუტურად განსხვავებული ცნებებია. ასე რომ, "ვერდერმა" ვერ მიაღწია მიზანს და კვირის მატჩების წინ "ბაიერნი" წნეხის ქვეშ ვერ მოაქცია.

როგორც გამოჩნდა, შტუტგარტელები "კარლსრუეს" ტყუილად არ ემუქრებოდნენ. **თომას ჰიტცლშპერგერმა** და კომპანიამ დანაპირები აასრულეს და ბადენური კლუბი შვაბენლანდიდან დამარცხებული გაუშვეს. აკი, თამაშის წინ ამბობდნენ კიდეც, "კარლსრუეს" წარმატებები ეყოფა, ახლა ჩვენი ჯერიაო. **არმინ ფეჰს** გუნდმა პირველი ტაიმი 2:0 მოიგო, რაც უკვე სერიოზული განაცხადი გახლდათ. გოლები **მარიო გომესმა** (5) და **რობერტო ჰილბერტმა** (26) გაიტანეს. მე-80 წუთზე **ტამაშ ჰაინალის** გოლმა მატჩს ინტრიგა დაუბრუნა და "კარლსრუეც" უკანმოუხედავ იერიშებზე გადავიდა, მაგრამ სულ მალე **კაკაუმ** მესამედ დალაშქრა **მილერის** კარი, რითაც **ალექსანდრე იაშვილი** და მისი თანაგუნდელები საბოლოოდ დაამშვიდა და დააშოშმინა. ისე, დააკვირდით: გერმანიის მოქმედ ჩემპიონს 21 თამაშიდან 10 მოგება აქვს, 1 ფრე და 10 (!) წაგება...

"ვოლფსბურგი" და "ჰერტა" დაცვითი ფეხბურთის მიმდევარი გუნდები არიან და მათი დაპირისპირებიდან ლაღ ფეხბურთსა და გოლების წვიმას არც არავინ ელოდა. ტრადიცია არც ამჯერად დარღვეულა - ფეხბურთი ფაქტობრივად არ იყო და შესაბამისად, არ იყო გოლებიც - 0:0. თუმცა მომენტები ორივე გუნდს ჰქონდა, მაგრამ კარგად თამაშობდა როგორც ერთი, ასევე მეორე გუნდის მეკარე (**ბენალიო** და **დრობნი**). აქვე გეტყვით, რომ დორტმუნდის "ბორუსიამ" როსტოკის "ჰანზასთან" დაგეგმილი სამი ქულა აიღო, თუმცა ამის გაკეთება ძალიან კი გაუჭირდა. ვესტფალიელებმა მეკლენბურგელებს მხოლოდ ერთი გოლი გაუტანეს - ეს შეცვლაზე შესულმა **დიეგო კლიმოვიჩმა** გააკეთა, რომელმაც **ანტონიო რუკავინას** პასით იხეირა.

"დუისბურგი" ბილეფელდის "არმინიას" სტუმრობდა და "ზებრების" საკითხი ასე იყო დამდგარი: ყველაფერი, ან არაფერი. და დუისბურგელებმაც ბოლო ძალები მოიკრიბეს და უშუალო კონკურენტი მისსავე მოედანზე, **იშიაკუსა** და **შრიოტერის** გოლებით დაამარცხეს. ცხადია, ამით MSV ჯერ არ გადარჩენილა, მაგრამ **რუდი ბომერის** გუნდმა მდგომარეობის გამოსწორებისკენ დიდი ნაბიჯი გადადგა.

ტურის ცენტრალური მატჩი კი კვირას, მიუნხენის "ალიანს არენაზე" შედგა - "ბაიერნმა" "ჰამბურგი" მიიღო და დაუზავდა: 1:1. ვერ ვიტყვით, რომ მატჩმა იმედები გაამართლა, მაგრამ დაძაბულობა პირველიდან ბოლო წუთამდე იგრძნობოდა. როგორც მოსალოდნელი იყო, "ბაიერნის" ძირითად შემადგენლობაში ვერ ვიხილეთ **ფრანკ რიბერი**, "ჰამბურგისაში" კი **რაფაელ ვან დერ ვაარტი**. ანუ, გუნდებმა თამაში თავიანთი დირიჟორების გარეშე დაიწყეს, თუმცა მეორე ტაიმში მოედანზე ორივე მათგანი შევიდა. შეიძლება ითქვას, რომ მიუნხენელებმა უკეთესი შთაბეჭდილება დატოვეს და თუ ვინმე გამარჯვებას იმსახურებდა, პირველ რიგში, ეს რეკორდმაისტერზე ითქმის.

გოლები მეორე ტაიმში გავიდა: მე-60 წუთზე "ჰამბურგი" **ივიცა ოლიჩმა** დააწინაურა, რომელსაც საგოლე პასი **დავიდ იაროლიმმა** გაუკეთა. სხვათა შორის, ბოლო დროს ჩეხი საყრდენი დიდი შედეგიანობით გამოირჩევა (წინა ტურში სულაც დუბლი შეასრულა) და HSV-ს რიგებში ერთ-ერთი საუკეთესოა. ბავარიელებმა წონასწორობა 6 წუთში აღადგინეს - რიბერის პასით **ზე რობერტომ** იხეირა. მატჩის შემდეგ **ოტმარ ჰიტცფელდს** უკმაყოფილება არ ეტყობოდა, თუმცა თავისი შეგირდები კი გააკრიტიკა, დღეს ისე არ იბრძოლეს, როგორც მოვთხოვეო.

კვირის მეორე მატჩი კი შეგვიძლია ასე დავასათაუროთ: ბრძოლა გადარჩენისთვის. "ნიურნბერგმა" "კოტბუსს" უმასპინძლა და ვერ მოუგო (1:1). უფრო სწორი იქნება, თუ ამ წინადადებას ასეთ ინტერპრეტაციას მივცემთ: "ნიურნბერგმა" "კოტბუსსაც" კი ვერ მოუგო. ეს კი იმაზე მიგვანიშნებს, რომ ფრანკების მდგომარეობა უკვე საგანგაშოა. გუნდს, რომელმაც წინა სეზონში გერმანიის თასი მოიგო და სეზონის აღმოჩენად იქცა, წელს მეორე ბუნდესლიგაში დაქვეითების საფრთხე ემუქრება.

ფრის შედეგად, "ნიურნბერგიცა" და "კოტბუსიც" გასავარდნ ზონაში დარჩნენ. აღსანიშნავია, რომ ფრანკები უკეთ გამოიყურებოდნენ და გარდა **მარკო ენგელჰარდტის** გოლისა, კიდევ რამდენიმე მომენტი ჰქონდათ, მაგრამ ვერ ივარგეს. **ფონ ჰეეზენის** შეგირდებს თითქოს ეგონათ, რომ თამაშს აკონტროლებდნენ და სწორედ ამ დროს გაიტანა **დენის სიორენსენმა** (რიკოშეტი) და მთელი "ნიურნბერგი" შოკში ჩააგდო.

### მომდევნო ტური

29 თებერვალი. ჰერტა-დუისბურგი. 1 მარტი. კოტბუსი-შტუტგარტი, შალკე-ბაიერნი, ჰანოვერი-ნიურნბერგი, ვერდერი-ბორუსია (დ), ჰანზა-არმინია, კარლსრუე-ვოლფსბურგი. 2 მარტი. ბოხუმი-ლევერკუზენი, ჰამბურგი-აინტრახტი.

### ბოხუმი-ჰანოვერი 2:1

**ბოხუმი:** ლასტუვკა-3, პფერტცელი-2.5, იაია-3, მალტრიტცი-2.5, ბიონიგი-3.5 (67. მაიხელბეკი-3.5), იომჰოფი-3.5, ჟდებელი-2.5, დ. ფუხსი-3.5 (75. ო. შრიოდერი), ონო-4, აუერი-3, სესტაკი-2 (86. ეპალე).

**ჰანოვერი:** ენკე-3, ჩერუნდოლო-4, ვინიციუსი-4, ფარენჰორსტი-4.5, ტარნატი-3.5, ბალიტში-4.5, კ. შულცი-4, როზენტალი-4.5 (46. ლაუთი-5), ბრუგინკი-4.5 (46. ჰაშემიანი-4), კრებსი-3.5 (71. შტაინერი), ჰანკე-3.

**გოლები:** 1:0 ჩერუნდოლო (30-საკ. კარში), 1:1 ჰანკე (47), 2:1 აუერი (52).

**გაფრთხილება:** 3-3.

**მაყურებელი:** 19 902.

### ვოლფსბურგი-ჰერტა 0:0

**ვოლფსბურგი:** ბენალიო-2.5, რიკარდო კოშტა-3.5 (54. დეჟაგა-4), შიმუნეკი-4, მადლუნგი-2.5, მ. შეფერი-4, გენტნერი-3, ჰასებე-4, ჟოსუე-3.5, მარსელინიო-4.5 (80. ლიუბოჟა), ჯეკო-4.5, გრაფიტე-5.

**ჰერტა:** დრობნი-3, ა. ფრიდრიხი-3, შიმუნიჩი-2.5, ფათი-4 (46. ფონ ბერგენი-3), ჩაჰედი-3, ლუსტენბერგერი-3, კაჩარი-4 (76. მინეირო), შკაჩელი-3, რაფაელი-3, ებერტი-3 (85. ოკორონკვო), პანტელიჩი-3.

**გაფრთხილება:** 3-3.

**მაყურებელი:** 23 659.

### ლევერკუზენი-შალკე 1:0

**ლევერკუზენი:** ფერნანდესი-3.5, კასტრო-2.5, მ. ფრიდრიხი-2, ჰაგი-3.5, შარპეი-3.5, ვიდალი-4.5 (72. ფრაიერი), როლფესი-3, ბ. შნაიდერი-3.5 (87. კალსენ-ბრაკერი), ბარბარესი-4.5 (63. გეკასი-3.5), ბარნეტა-3.5, კისლინგი-3.

**შალკე:** ნოიერი-5, რაფინია-3, ბორდონი-2.5, კრსტაიჩი-3.5, ვესტერმანი-4, ფ. ერნსტი-4, ჯონსი-4, რაკიტიჩი-4.5 (59. შტრაიტი-3.5), კობიაშვილი-3.5 (87. ჰალილ ალთინთოფი), კურანი-4.5, ასამოა-5 (46. ლოვენკრანდსი-5.5).

**გოლი:** 1:0 მ. ფრიდრიხი (85).

**გაძევება:** ჯონსი (90.შალკე).

**გაფრთხილება:** 3-3.

**მაყურებელი:** 22 500.

### ბორუსია (დ)-ჰანზა 1:0

**ბორუსია (დ):** ციგლერი-3.5, რუკავინა-2.5, ამედიკი-3, კოვაჩი-4, ბაკლი-3, კრუსკა-4.5, კრინგე-4 (57. კლიმოვიჩი-2.5), ტინგა-4, ფედერიკო-3.5 (72. ჰუმელსი), პეტრიჩი-3.5, ფრაი-4 (83. ვალდესი).

**ჰანზა:** ვეხტერი-3, ლუკიმია-4, სებასტიანი-4, ორესტესი-4.5, მ. შტაინი-3.5, ბიულოვი-4 (80. დორნი), რათგები-3.5, იელენი-4.5 (53. ბარტელსი-4), კერნი-4, რანი-4, შაპურზადე-4.

**გოლი:** 1:0 კლიმოვიჩი (67).

**გაფრთხილება:** 2-3.

**მაყურებელი:** 70 700.

### არმინია-დუისბურგი 0:2

**არმინია:** ჰაინი-2.5, კორზინიტცი-4, მიატოვიჩი-4, გაბრიელი-5 (52. აიგლერი-4), შულერი-5, კაუფი-4.5, კუჩერა-4.5, კამპერი-3.5, ბიომე-4 (68. ჰალფარი-4), ვიხნიარეკი-3.5, ზუმა-5.5.

**დუისბურგი:** შტარკე-3.5, გრლიჩი-3.5, ფერნანდო-3.5, შლიკე-4, ვებერი-3, ტარარაჩე-3.5, ვილი-3.5, შრიოტერი-2.5 (86. გეორგიევი), ტიფერტი-3, ნიკულესკუ-3.5 (91. ვრუჩინა), იშიაკუ-2.5 (75. მიოლდერსი).

**გოლები:** 0:1 შრიოტერი (8), 0:2 იშიაკუ (48).

**გაფრთხილება:** 1-1.

**მაყურებელი:** 19 200.

### აინტრახტი-ვერდერი 1:0

**აინტრახტი:** ნიკოლოვი-2, პ. ოხსი-4, გალინდო-3.5, კირიაკოსი-3, შპიხერი-4, ინამოტო-3.5 (46. კაიო-3), მ. ფინკი-3 (71. რუსი), კრისი-3, კიოლერი-4.5, ამანატიდისი-2.5 (89. მანციოსი), ფენინი-5.

**ვერდერი:** ვიზე-3.5, ოვომოიელა-3.5 (79. კ. ფრიტცი), მერტეზაკერი-3, ნალდო-2.5, ბოენიში-4.5, ბაუმანი-3.5, ვრანიეში-4 (74. ჰარნიკი), ბოროვსკი-4, დიეგო-5, სანოგო-4.5, კლასნიჩი-3.

**გოლი:** 1:0 ამანატიდისი (56).

**გაძევება:** დიეგო (40).

**გაფრთხილება:** 4-2.

**მაყურებელი:** 51 500.

### შტუტგარტი-კარლსრუე 3:1

**შტუტგარტი:** ულრაიხი-3.5, ბეკი-3.5, მეირა-3, დელპიერი-4, მანინი-3.5, პარდო-2.5, ჰილბერტი-2.5, ჰიტცლშპერგერი-2.5, ბაშთურქი-3.5 (65. და სილვა-2.5), გომესი-2 (78. ხედირა), მარიკა-3 (68. კაკაუ-2.5).

**კარლსრუე:** მილერი-3.5, ა. გიორლიტცი-3, ეგიმანი-5, ფრანცი-4, აიხნერი-4, მუტცელი-4.5, ადუბე-3.5 (55. ფრაისი-4), ტიმი-4, ჰაინალი-2.5, იაშვილი-4 (72. კარნელი), კენედი-4.5 (72. კაპლანი).

**გოლები:** 1:0 გომესი (5), 2:0 ჰილბერტი (26), 2:1 ჰაინალი (81), 3:1 კაკაუ (88).

**გაფრთხილება:** 1-1.

**მაყურებელი:** 55 000.

### ნიურნბერგი-კოტბუსი 1:1

**ნიურნბერგი:** ბლაჟეკი-5, დ. რაინჰარდტი-4, ა. ვოლფი-3.5, გლაუბერი-3, პინოლა-2.5, მნარი-3.5, გალაშეკი-3.5, ხარისტეასი-4, მინტალი-4.5, ენგელჰარდტი-2.5 (79. კრისტიანსენი), კოლერი-3.

**კოტბუსი:** ტრემელი-2, რადელიჩი-4.5, მიტრესკი-3.5, კვიტანოვიჩი-2.5, ციბიგი-3.5, ბასილა-3.5, ს. ანჯელოვი-4.5, ტ. როსტი-4, სკელა-4 (86. იელიჩი), დ. სიორენსენი-3, პაპადოპულოსი-5 (71. ვასილიევიჩი).

**გოლები:** 1:0 ენგელჰარდტი (58), 1:1 დ. სიორენსენი (59).

**გაფრთხილება:** 1-2.

**მაყურებელი:** 40 900.

### ბაიერნი-ჰამბურგი 1:1

**ბაიერნი:** კანი-3.5, ლელი-4, ლუსიო-4.5, ვან ბუიტენი-3.5, ლამი-3, ვან ბომელი-5, ზე რობერტო-2.5, ჰამით ალთინთოფი-2.5, შვაინშტაიგერი-4.5 (60. რიბერი-2.5), კლოზე-4.5 (74. პოდოლსკი), ტონი-3.5.

**ჰამბურგი:** ფ. როსტი-2.5, დემელი-3.5, ბ. რაინჰარდტი-3, მატიისენი-3, ბენჯამინი-4, კომპანი-3, დე იონგი-3.5, იაროლიმი-2.5 (82. ბოატენგი), ტროხოვსკი-4.5, ოლიჩი-3 (78. ვან დერ ვაარტი), გერერო-3.5 (86. ზიდანი).

**გოლები:** 0:1 ოლიჩი (60), 1:1 ზე რობერტო (66).

**გაძევება:** ვან ბომელი (92. ბაიერნი).

**გაფრთხილება:** 1-4.

**მაყურებელი:** 69 000.

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბაიერნი | 21 | 12 | 8 | 1 | 38-11 | 44 |
| 2. ვერდერი | 21 | 12 | 4 | 5 | 46-28 | 40 |
| 3. ლევერკუზენი | 21 | 11 | 5 | 5 | 39-21 | 38 |
| 4. ჰამბურგი | 21 | 10 | 8 | 3 | 30-16 | 38 |
| 5. შალკე | 21 | 9 | 8 | 4 | 34-23 | 35 |
| 6. კარლსრუე | 21 | 9 | 6 | 6 | 26-28 | 33 |
| 7. აინტრახტი | 21 | 8 | 8 | 5 | 25-25 | 32 |
| 8. შტუტგარტი | 21 | 10 | 1 | 10 | 32-35 | 31 |
| 9. ვოლფსბურგი | 21 | 8 | 6 | 7 | 35-32 | 30 |
| 10. ჰანოვერი | 21 | 8 | 5 | 8 | 31-36 | 29 |
| 11. ბორუსია (დ) | 21 | 8 | 4 | 9 | 34-36 | 28 |
| 12. ჰერტა | 21 | 8 | 3 | 10 | 23-28 | 27 |
| 13. ბოხუმი | 21 | 7 | 5 | 9 | 32-35 | 26 |
| 14. ჰანზა | 21 | 6 | 3 | 12 | 19-30 | 21 |
| 15. არმინია | 21 | 5 | 3 | 13 | 20-44 | 18 |
| 16. ნიურნბერგი | 21 | 4 | 5 | 12 | 23-34 | 17 |
| 17. დუისბურგი | 21 | 5 | 2 | 14 | 22-34 | 17 |
| 18. კოტბუსი | 21 | 3 | 8 | 10 | 23-36 | 17 |

**ბომბარდირები:** 13 - ტონი (ბაიერნი); 11 - პეტრიჩი (ბორუსია დ), გომესი (შტუტგარტი); 10 - დიეგო (ვერდერი), ოლიჩი (ჰამბურგი), ვან დერ ვაარტი (ჰამბურგი); 9 - პანტელიჩი (ჰერტა), სესტაკი (ბოხუმი), ჰანკე (ჰანოვერი), კლოზე (ბაიერნი); 8 - ვიხნიარეკი (არმინია), ამანატიდისი (აინტრახტი), გეკასი (ლევერკუზენი), კურანი (შალკე), გრაფიტე (ვოლფსბურგი).

### II ბუნდესლიგა

XXI ტური

**ჰოფენჰაიმი-ფრაიბურგი 2:0**

გოლები: 1:0 ტებერი (36), 2:0 ბა (52).

**კიოლნი-მიუნხენი 0:0**

**მაინცი-კარლ ცაისი 2:2**

გოლები: 1:0 ფოილნერი (28), 2:0 კარჰანი (56-პენ), 2:1 შიმაკი (59), 2:2 ალაგუი (83).

**ოსნაბრიუკი-ბორუსია (მ) 2:2**

გოლები: 0:1 ფრინდი (9), 1:1 შუონი (30), 1:2 ფრინდი (32), 2:2 კიხონი (76-პენ).

**ზტ. პაული-ფიურტი 1:1**

გოლები: 0:1 ლანიგი (45), 1:1 შნიტცლერი (58).

**აუე-პადერბორნი 6:0**

გოლები: 1:0 ნემეცი (13), 2:0 ორაჰოვიჩი (41), 3:0 კური (45), 4:0 გრეხი (51), 5:0 პეტრუსი (62), 6:0 ორაჰოვიჩი (73).

**აუგსბურგი-ოფენბახი 1:1**

გოლები: 0:1 ტიურკერი (21), 1:1 ლუცი (90).

**ალემანია-ვეენი 2:3**

გოლები: 1:0 ფილი (5), 1:1 კიონიგი (9), 1:2 გლიბო (44), 2:2 მ. ლემანი (55), 2:3 დიაკიტე (60).

**კაიზერსლაუტერნი-კობლენცი დღეს**

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბორუსია (მ) | 21 | 10 | 8 | 3 | 41-26 | 38 |
| 2. მაინცი | 21 | 10 | 6 | 5 | 36-21 | 36 |
| 3. ფიურტი | 21 | 10 | 6 | 5 | 34-24 | 36 |
| 4. კიოლნი | 21 | 10 | 5 | 6 | 38-28 | 35 |
| 5. ფრაიბურგი | 21 | 9 | 7 | 5 | 31-26 | 34 |
| 6. ჰოფენჰაიმი | 21 | 9 | 7 | 5 | 33-29 | 34 |
| 7. მიუნხენი | 21 | 8 | 8 | 5 | 31-23 | 32 |
| 8. ვეენი | 21 | 8 | 8 | 5 | 34-30 | 32 |
| 9. ალემანია | 21 | 7 | 7 | 7 | 31-31 | 28 |
| 10. აუგსბურგი | 21 | 7 | 6 | 8 | 28-30 | 27 |
| 11. ზტ. პაული | 21 | 6 | 8 | 7 | 25-29 | 26 |
| 12. ოსნაბრიუკი | 21 | 6 | 7 | 8 | 31-38 | 25 |
| 13. კობლენცი | 20 | 5 | 9 | 6 | 23-28 | 24 |
| 14. ოფენბახი | 21 | 5 | 8 | 8 | 22-35 | 23 |
| 15. აუე | 21 | 6 | 4 | 11 | 30-36 | 22 |
| 16. კაიზერსლაუტ. | 20 | 4 | 7 | 9 | 20-24 | 19 |
| 17. კარლ ცაისი | 21 | 3 | 6 | 12 | 30-43 | 15 |
| 18. პადერბორნი | 21 | 2 | 9 | 10 | 15-32 | 15 |

**ბომბარდირები:** 16 - ნოვაკოვიჩი (კიოლნი); 14 - რაიხენბერგერი (ოსნაბრიუკი); 12 - ფრინდი (ბორუსია მ); 10 - ბორხა (მაინცი); 9 - რაიზინგერი (ფიურტი), კოპადო (ჰოფენჰაიმი), ჰელმესი (კიოლნი), ტიურკერი (ოფენბახი); 8 - ნოივილი (ბორუსია მ), კიონიგი (ვეენი).

### რეგიონალლიგა (ჩრდ)

XXIII ტური

უნიონი-ემდენი 1:0, როტ ვაისი-ბორუსია (დ)II 0:0, ვუპერტალი-ალენი 0:4, ვერდერი II-დიუსელდორფი 2:0, კოტბუსი II-ობერჰაუზენი 0:0, ჰამბურგი II-ლიუბეკი 3:0, დრეზდენი-მაგდებურგი 1:0, ერფურტი-ვოლფსბურგი II 5:0, ბაბელსბერგი-ბრაუნშვაიგი 1:2.

ესპანეთი. პრიმერა დივიზიონი. XXV ტური

# ლიგა გაცოცხლდა!

## შუსტერს ყოფილმა კლუბმა სასტიკი სიურპრიზი მოუწყო

"ოსასუნა" და "ატლეტიკო" აბსოლუტურად განსხვავებული მიზნისთვის იბრძვიან. პამპლონელები ამ შეხვედრამდე მხოლოდ და მხოლოდ 26 ქულას ფლობდნენ და პრიმერა დივიზიონის ერთ-ერთ აუტსაიდერებად რჩებოდნენ. "ატლეტიკო" კი ჩემპიონთა ლიგის საგზურის მაძიებელი გახლავთ. თითქოს მადრიდელებს გასვლით შეხვედრაშიც არ უნდა გასჭირვებოდათ სასურველი შედეგის მიღწევა, მაგრამ პამპლონურმა მატჩმა კიდევ ერთხელ დაგვარწმუნა, რომ "როხიბლანკოს" სერიოზული კრიზისი აქვს. **ხავიერ აგირეს** ბიჭები განსაკუთრებით დაცვაში მოიკოჭლებდნენ. ამით შეძრწუნებულმა მექსიკელმა სპეციალისტმა პირველი ტაიმის შემდეგ **პერნია** და **ელერი** შეცვალა. თამამად შეიძლება ითქვას, რომ ეს ცვლილებები დაგვიანებული იყო, რადგან "ოსასუნამ" შეხვედრის ბედი ფაქტობრივად, სადებიუტო ხუთ წუთში გადაწყვიტა. მეორე წუთზე **კიკე სოლამ ველას** პასის შემდეგ ცაციათი ანგარიში გახსნა. მალე მოვლენათა ეპიცენტრში ისევ ველა მოექცა. მან ასისტენტობა არ იკმარა და **პლასილის** მიერ მიწოდებულ ბურთს მეტოქის კარში მიუჩინა ადგილი. დაგვეთანხმებით, სულ რაღაც ხუთ წუთში ერთბაშად ორი გოლის მილება შოკისმომგვრელია. ამ შოკს "ატლეტიკოც" ვერ გაექცა. დედაქალაქელებმა მომდევნო წუთებშიც მრავალი შეცდომა დაუშვეს. ნავარელებს ოდნავ მეტად რომ გამართლებოდათ, უპირატესობას კიდევ უფრო გაზრდიდნენ. გაირკვა, რომ "ატლეტიკოს" **სერხიო აგუეროს, სიმაო საბროსასა** და **რაულ გარსიას** გარეშე პრაქტიკულად არაფრის ძალა არ შესწევს. სტუმართაგან ერთადერთი **დიეგო ფორლანი** გამოირჩეოდა. სიმბოლურია, რომ გოლი სწორედ მან შეაგდო. თუმცა ურუგვაელის ეს ბურთი მადრიდელებს ვერაფერში დაეხმარა. მეორე ტაიმში უპირატესობას ისევ და ისევ "ოსასუნა" ფლობდა. რამდენიმე გამოუყენებელი იერიშის შემდეგ მასპინძლებმა კვლავ შეაგდეს. გოლი ამჯერად **ექტორ ფონტის** ანგარიშზე ჩაიწერა. აშკარაა, "ატლეტიკო" კრიზისმა მოიცვა. გუნდმა ზედიზედ მეორე პირიმერადივიზიონური ორთაბრძოლა წააგო. გარდა ამისა, ისიც უნდა ითქვას, "როხიბლანკომ" "ბოლტონთან" ორმატჩიანი დუელი ვერ დაძლია და უეფას თასის გათამაშებას გამოემშვიდობა. მოგონებად იქცა ესპანეთის სამეფო თასიც. მადრიდელები ჩემპიონთა ლიგის ზონაშიც მხოლოდ იმის გამო რჩებიან, რომ "ესპანიოლი" უმოწყალოდ ფლანგავს ქულებს. სამაგიეროდ, "სევილიამ" წამოყო თავი და უნდა ვივარაუდოთ, რომ "ატლეტიკო" ასეთი ამაზრზენი თამაშით მეოთხე ადგილს დიდ ხანს ველარ შეინარჩუნებს. ამ ყველაფრით შეშფოთებულმა ხავიერ აგირემ პრესკონფერენციაზე ასეთი რამ განაცხადა: *"საშინელი კვირა გვქონდა. უეფას თასიდან გამოვვარდით, პრიმერა დივიზიონში მეორე წრის დაწყების შემდეგ კი უკვე მეოთხე მარცხი ვიწვნიეთ. ვფიქრობ, დადგა დრო, როცა კარგად უნდა დავფიქრდეთ და გავაცნობიეროთ, რა გვჭირს. მთავარი პასუხისმგებელი, რა თქმა უნდა, მე ვარ. დაუღალავად ვმუშაობ იმისთვის, რომ შედეგები გამოსწორდეს. აქამდე არაფერი გამოგვდიოდა, მაგრამ მჯერა და იმედი მაქვს, რომ მომავალი ტურიდან სულ სხვა გუნდს ვიხილავთ. უფლება არ გვაქვს, ჩემპიონთა ლიგის საგზური დავკარგოთ. ეს ჩვენი ბოლო შანსია იმისათვის, რომ გულშემატკივრებისთვის თვალებში შეხედვის არ შეგვრცხვეს. გუნდი მზად არის, უფრო მეტი იმუშაოს. გადავწყვიტე, მნიშვნელოვანი ცვლილებები განვახორციელო. ეს ცვლილებები არა მარტო ტაქტიკას, არამედ მოსამზადებელ მეთოდოლოგიასაც შეეხება."*

სანტანდერის "რასინგმა" მეორე ტურის დაწყების შემდეგ პირველი გამარჯვება მოიპოვა. მასპინძლებმა ამ წარმატებას **ჩიტეს** გოლის წყალობით მიაღწიეს. სხვათა შორის, ჩიტეს მიერ შეგდებული ბურთი სხვა რამითაც არის გამოსარჩევი. საქმე ის არის, რომ "რასინგის" ფორვარდმა "ალმერიას" მეკარის, **დიეგო ალვეშის** ხანგრძლივ უგოლო სერიას დაუსვა წერტილი. ბრაზილიელ გოლკიპერს ცოტა დააკლდა იმისათვის, რომ **პაკო ბუიოსა** და **სანტიაგო კანისარესის** სარეკორდო მაჩვენებელი გაეუმჯობესებინა. "რეალის" ყოფილ მეკარეებს 709 წუთის განმავლობაში არ ჰქონდათ გაშვებული. ალვეშის წარმატებული სვლა კი 679-ე წუთზე შეწყდა.

"ვალიადოლიდმა" ორი კვირის წინ "სანტიაგო ბერნაბეუზე" განცდილი ფიასკოს შემდეგ (0:7) თვალებში გამოიხედა. კასტილიელები მადრიდული კრახის შემდეგ მშობლიურ "ხოსე სორილიაზე" "მალიორკას" დაუზავდნენ. ახლა კი "მურსია" გასვლით შეხვედრაში დაამარცხეს. შედეგიც სახეზეა. "ვალიადოლიდი" ზუსტად ორი კვირის წინ გასავარდნი ზონის სიახლოვეს იმყოფებოდა, ახლა კი მეათე ადგილზეა და ამ ეტაპისთვის არანაირი საფრთხე არ ემუქრება. ვინ თუ არა **ლორენტე**? გამარჯვების ბურთი ისევ და ისევ ვალიადოლიდელთა ბასკი ფორვარდის ანგარიშზე ჩაიწერა. "მურსიას" მდგომარეობის გამოსასწორებლად თითქმის ერთი საათი ჰქონდა, მაგრამ მასპინძლები იმდენად უსუსურად თამაშობდნენ, რომ მეტოქის კართან ერთი საგოლე მომენტიც ვერ შექმნეს. ამის შედეგად, "ვალიადოლიდმა" "მურსიას" გასვლითი პრიმერადივიზიონური შეხვედრა 1984-85 წლების სეზონის შემდეგ პირველად მოუგო.

ტურის ყველაზე მოულოდნელი შედეგი, ალბათ, "სანჩეს პისხუანზე" დაფიქსირდა. რა თქმა უნდა, "სევილიის" გამარჯვება წარმოუდგენელი სულაც არ იყო, პირიქით, მასპინძლები ფავორიტებადაც მიიჩნეოდნენ, მაგრამ ძნელად თუ ვინმე იფიქრებდა, რომ "სარაგოსა" ასეთი კატასტროფული ანგარიშით დამარცხდებოდა. არაგონელებს მართლაც შავი დღე დაადგათ. თუნდაც ის ფაქტი რად ღირს, რომ **რობერტო ფაბიან აიალამ** და **კარლოს დიოგომ** ავტოგოლები მიითვალეს. დიოგომ საერთოდ იმდენი მოახერხა, რომ მსაჯს თავი გააგდებინა. რაოდენ გასაოცარიც არ უნდა იყოს, დიდი შემტევი პოტენციალის მქონე "სარაგოსამ" თავდასხმაში აბსოლუტურად ვერაფერი გააკეთა. სამაგიეროდ, ანდალუსიელები ბრწყინავდნენ. **ლუიშ ფაბიანუმ, კაპელმა, ნავასმა** და **ალვეშმა** არაგონელებს სისხლი გაუშრეს. სტუმართა დამრიგებელმა, **ხავიერ ირურეტამ** აღიარა, რომ "სევილიამ" მისი გუნდი პირწმინდად დაჩაგრა. ბოლოს ბასკმა სპეციალისტმა გულშემატკივრებს სამარცხვინო თამაშისთვის ბოდიში მოუხადა.

"ვალენსიას" **დავიდ ალბელდასა** და **ხუან ბაუტისტა სოლერის** სასამართლო პროცესი აქვს, რაც კიდევ ერთი ნათელი დადასტურებაა იმისა, რომ გუნდში საშინლად არაჯანსაღი სიტუაციაა. მიუხედავად ამისა, გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ "ღამურებმა" "რეკრეატივოსთან" სეზონის საუკეთესო შეხვედრა ჩაატარეს. თუმცა ეს ფაქტი არ აღმოჩნდა საკმარისი იმისთვის, რომ **რონალდ კუმანის** ბიჭებს გამარჯვება მოეპოვებინათ. რეალობა ისევ დამთრგუნველია. მიმდინარე სეზონში "მესტალიაზე" გუნდს მხოლოდ 14 ქულა აქვს მოპოვებული. დაგვეთანხმებით, 12 მატჩში ასეთი მონაგარი ძალიან ცოტაა. მთლიანობაში მათ საკუთარ სტადიონზე ექვსი ორთაბრძოლა წააგეს, მხოლოდ ოთხი მოიგეს და ორიც ფრედ ითამაშეს. რა უნდა ითქვას? ეს ღრმა კრიზისია და სხვა არაფერი!

როგორც მოსალოდნელი იყო, "ბარსელონამ" "ლევანტე" მიწასთან გაასწორა. გაუთვალისწინებელი აქ არაფერი მომხდარა. კატალონიელებმა ძალიან ლამაზად ითამაშეს და დამაჯერებლად გაიმარჯვეს. ალბათ, ყველაზე მეტად ხაზგასასმელი **რონალდინიოს** გამოცოცხლებაა. ბრაზილიელმა ვარსკვლავმა ჯერ კიდევ გლაზგოში, "სელტიკთან" მატჩში გაგვახსენა ძველი დრო. ახლა კი "ლევანტეს" დამარცხების ერთ-ერთ შემომქმედად მოგვევლინა. და ეს მიუხედავად იმისა, რომ გაუჩოს არ გაუტანია. ბრაზილიელი ძალიან აქტიური იყო. ბურთს უდიერად აღარ ეპყრობოდა და მწვავე პასებით შეხვედრის გამწვავებას ახერხებდა. კატალონიელი გულშემატკივრებისთვის სასიხარულოდ, **სამუელ ეტოო** ძირითად შემადგენლობაში მთელი ბრწყინვალებით დაბრუნდა. მან ჰეთ ტრიკი შეასრულა. ტრიუმფალური გამარჯვების შემდეგ ბარსელონელებმა შხაპი ჩვეულზე სწრაფად გადაივლეს, რათა ტელევიზორებთან მოკალათებულიყვნენ და "რეალისა" და "ხეტაფეს" დაპირისპირება ეხილათ...

მადრიდულმა ორთაბრძოლამ მათ მოლოდინს გადააჭარბა. **ბერნდ შუსტერს** მისმა ყოფილმა კლუბმა საშინელი სიურპრიზი მოუწყო. "ხეტაფემ" გასვლით მატჩში სამი ქულა მოიპოვა. სამეფო კლუბმა კი მიმდინარე სეზონში "სანტიაგო ბერნაბეუზე" პირველად წააგო. "რეალის" დამარცხება ფრიად კურიოზულმა ეპიზოდმა განაპირობა. მადრიდელები დიდი ძალებით უტევდნენ. მრავალი მცდელობის შემდეგ **რობენმა** გაიტანა, მაგრამ მსაჯმა არ ჩათვალა. უნდა ითქვას, სრულიად სამართლიანადაც, რადგან მისთვის პასისმიმწოდებელი **რაული** თამაშგარეში იმყოფებოდა. მასპინძლებს ბადის შერხევა იმდენად გაუხარდათ, რომ მსაჯის სასტვენი ვერ გაიგეს და არარსებული გოლის აღნიშვნა დაიწყეს. ამასობაში კი, ხეტაფელებმა თავისუფალი გაათამაშეს და რამდენიმე სვლიანი კომბინაციის შემდეგ **უჩე კასილიასთან** პირისპირ აღმოჩნდა. აფრიკელმა შანსი ხელიდან არ გაუშვა. ლიგა გაცოცხლდა მეგობრებო! ზოგს ეს უზომოდ ახარებს, ზოგს კი პირიქით გულს უკლავს. ფაქტი კი ერთია, "რეალი" "ბარსელონას" მხოლოდ ორი ქულითღა უსწრებს. ეს კი უფრო კარგ სანახაობას გვპირდება.

### მომდევნო ტური

2 მარტი. ლევანტე-სარაგოსა, ატლეტიკო-ბარსელონა, ვილიარეალი-ოსასუნა, ალმერია-ბილბაო, ვალიადოლიდი-რასინგი, ბეტისი-მურსია, ხეტაფე-მალიორკა, რეკრეატივო-რეალი, ესპანიოლი-ვალენსია, დეპორტივო-სევილია.



ლუიშ ფაბიანო 20 გოლამდე ავიდა

### ვალენსია-რეკრეატივო 1:1

**ვალენსია:** ჰილდებრანდი, კანეირა, ალბიოლი, მარჩენა (38. არისმენდი), მორეტი, ბანეგა, მადურო, სილვა (81. ბარახა), ხოაკინი, ჟიგიჩი, მატა (74. ვისენტე).

**რეკრეატივო:** სორენტინო, ედა მოია, იაგო ბუსონი, კიკე ალვარესი, დანი ბაუტისტა, კამუნასი, კარლოს მარტინსი (80. ვარელა), ზესუს ვასკესი, აიტორი, ხერარდი (70. საინოსი), სინამა პონგოლე (71. რუბენი)

**გოლები:** 1:0 მატა (38), 1:1 კარლოს მარტინსი (51)

**გაფრთხილება:** 1-6; **დარტყმა:** 23(11)-7(4); **კუთხური:** 7-3; **თამაშგარე:** 10-2; **ჯარიმა:** 13-23; **ბურთის ფლობა:** 65%-35%

**მაყურებელი:** 34 000

### სევილია-სარაგოსა 5:0

**სევილია:** პალოპი, დანიელ ალვეში, მოსკერა, ესკუდე, ადრიანო, ხესუს ნავასი (67. დე მული), კეიტა (71. რენატო), მარესკა, დიეგო კაპელი, ლუიშ ფაბიანო (58. კონე), კანუტე.

**სარაგოსა:** სესარ სანჩესი, დიოგო, სერხიო (19. პავონი), აიალა, ხუანფრანი, საპატერი (46. სელადესი), ლუქსენი, სერხიო გარსია, რიკარდო ოლივეირა (54. ჩუს ერერა), გაბი, დიეგო მილიტო.

**გოლები:** 1:0 ლუიშ ფაბიანო (19), 2:0 ლუიშ ფაბიანო (24), 3:0 აიალა (43-საკ. კარში), 4:0 დიოგო (50-საკ. კარში), 5:0 კეიტა (68)

**გაძევება:** დიოგო (53. სარაგოსა)

**გაფრთხილება:** 0-4; **დარტყმა:** 20(8)-6(1); **კუთხური:** 7-3; **თამაშგარე:** 5-3; **ჯარიმა:** 12-17; **ბურთის ფლობა:** 56%-44%

**მაყურებელი:** 25 000

### ოსასუნა-ატლეტიკო 3:1

**ოსასუნა:** რიკარდო, სესარ კრუჩაგა, ხოსეტო, ხავი გარსია, ნაჩო მონრეალი, სოლა (77. პანდიანი), პუნიალი, პლასილი, ხუანფრანი (70. ექტორ ფონტი), ასპილიკუეტა, კარლოს ველა (87. დელპორტი).

**ატლეტიკო:** აბიატი, ანტონიო ლოპესი, პერნია (46. ვალერა), პერეა, ელერი (46. ზე კასტრო), რეიესი, ლუის გარსია, მაქსი როდრიგესი, ხურადო, კლებერ სანტანა (65. მისტა), ფორლანი.

**გოლები:** 1:0 სოლა (1), ველა (5), 2:1 ფორლანი (5), 3:1 ექტორ ფონტი (76)

**გაფრთხილება:** 1-3; **დარტყმა:** 18(10)-7(2); **კუთხური:** 5-2; **თამაშგარე:** 4-1; **ჯარიმა:** 23-22; **ბურთის ფლობა:** 38%-62%

**მაყურებელი:** 18 000

### ბილბაო-ვილიარეალი 1:2

**ბილბაო:** არმანდო, აიტორ ოსიო, ირაოლა, ამორებიეტა, კოიკილი, აიტორ რამოსი (46. ადურისი), იესტე, მუნიოსი (68. დავიდ ლოპესი), ხავიერ მარტინესი, სუსაეტა (83. იგორ გაბილონდო), ფერნანდო ლორენტე.

**ვილიარეალი:** დიეგო ლოპესი, კაპდევილა, ანხელ ლოპესი, გონსალო, გოდინი, კანი, მარკოს სენა, მატიას ფერნანდესი (74. სანტი კასორლა), ეგურენი, ნიჰათი (71. ტომასონი), ფრანკო (89. ბრუნო).

**გოლები:** 1:0 ფერნანდო ლორენტე (5), 1:1 ფრანკო (65), 1:2 კაპდევილა (83)

**გაფრთხილება:** 5-2; **დარტყმა:** 11(2)-14(3); **კუთხური:** 4-3; **თამაშგარე:** 1-3; **ჯარიმა:** 25-8; **ბურთის ფლობა:** 41%-59%

**მაყურებელი:** 40 000

### რასინგი-ალმერია 1:0

**რასინგი:** ტონიო, ლუის ფერნანდესი, სესარი, პაბლო პინილიოსი, გარაი, დუშერი (58. პაბლო ალვარესი), ხორხე ლოპესი, კოლსა, ოსკარ სერანო (64. მორატონი), სმოლიარეკი (84. პედრო ალვარესი), ჩიტე.

**ალმერია:** დიეგო ალვესი, ბრუნო, ხუანიტო; კარლოს გარსია, აკასიეტე, კალუ უჩე (64. ხოსე ორტისი), სორიანო, ხუან ორტისი (81. კორონა), მანე, დომინგო, ნეგრედო (64. პაუნოვიჩი).

**გოლი:** 1:0 ჩიტე (61)

**გაძევება:** დომინგო (78. ალმერია), პაუნოვიჩი (90. ალმერია)

**გაფრთხილება:** 1-1; **დარტყმა:** 16(6)-4(0); **კუთხური:** 10-5; **თამაშგარე:** 7-5; **ჯარიმა:** 11-21; **ბურთის ფლობა:** 47%-53%

**მაყურებელი:** 20 600

### მურსია-ვალიადოლიდი 0:1

**მურსია:** ნოტარიო, დე კოსი, ალვარო მეხია, არსო, პაკო პენია, პაბლო გარსია, რიჩი, აბელი, როსინეი (59. ხოფრე), გოიტომი (46. ინიგო), ბაიანო (72. ივან ალონსო).

**ვალიადოლიდი:** ასენხო, სიფუენტესი, ბეა, გარსია კალვო, მარკოსი, ბორხა (90. ბარახა), ალვარო რუბიო, აგირე (82. ოსკარ სანჩესი), ვივარ დორადო, სესმა, ხოსება ლორენტე (74. სისი).

**გოლი:** 0:1 ხოსება ლორენტე (41)

**გაფრთხილება:** 2-1; **დარტყმა:** 7(1)-9(2); **კუთხური:** 8-1; **თამაშგარე:** 2-2; **ჯარიმა:** 25-20; **ბურთის ფლობა:** 57%-43%

**მაყურებელი:** 18 334

### მალიორკა-ბეტისი 1:1

**მალიორკა:** მოია, ვარელა (74. იონას გუტიერესი), ბალესტეროსი, სკალონი, ფერნანდო ნავარო, რამისი, იბაგასა, ბასინასი, არანგო (80. ტრეხო), ვალერო, ნუისა.

**ბეტისი:** რიკარდო, მელი, ხუანიტო, ფერნანდო ვეგა, კაპი (63. სობისი), რივერა, არსუ, მარკ გონსალესი (83. ხუანდე), დამია, ედუ, პავონე (90. ოდონკორი).

**გოლები:** 1:0 ვარელა (56), 1:1 ედუ (70)

**გაფრთხილება:** 1-4; **დარტყმა:** 19(4)-9(2); **კუთხური:** 3-3; **თამაშგარე:** 1-5; **ჯარიმა:** 16-16; **ბურთის ფლობა:** 54%-46%

**მაყურებელი:** 15 000

### დეპორტივო-ესპანიოლი 2:0

**დეპორტივო:** ავატე, ლოპო, კოლოჩინი, მანუელ პაბლო, პაბლო ამო, ფილიპე, ვილჰელმსონი (90. ვალერონი), სერხიო, დე გუსმანი, ჩისკო (80. ბოდიპო), ლაფიტა (84. ხუან როდრიგესი).

**ესპანიოლი:** კამენი, დავიდ გარსია, ხარკე, ფრანსისკო ჩიკა ტორესი (63. კორო), ტორეხონი, რიერა, ვალდო, ურტადო, ანხელი (75. რუფეტე), ევერტონი (64. ჯონათანი), ლუის გარსია.

**გოლები:** 1:0 კოლოჩინი (17), 2:0 ლაფიტა (24)

**გაფრთხილება:** 3-1; **დარტყმა:** 16(9)-11(2); **კუთხური:** 8-1; **თამაშგარე:** 1-1; **ჯარიმა:** 17-14; **ბურთის ფლობა:** 44%-56%

**მაყურებელი:** 15 000

### ბარსელონა-ლევანტე 5:1

**ბარსელონა:** ვიქტორ ვალდესი, სილვინიო, ძამბროტა, პუიოლი, გ. მილიტო (67. ტიურამი), ჩავი, ინიესტა, იაია ტურე, ეტო'ო, რონალდინიო (74. კრკიჩი), მესი (81. ჯოვანი).

**ლევანტე:** კუიოვიჩი, დავიდ კასტედო, ალვარო, დესკარგა, ხოსე სერანო, ლორან კურტუა, რიგა, მიგელ ანხელი (69. პედრო ლეონი), ხუანმა, ბერსონი (23. ხავი ფუეგო), გეიხო (81. საული).

**გოლები:** 1:0 ჩავი (14), 1:1 რიგა (41-პენ), 2:1 მესი (44), 3:1 ეტო'ო (56), 4:1 ეტო'ო (62), 5:1 ეტო'ო (87)

**გაფრთხილება:** 0-0; **დარტყმა:** 21(8)-8(4); **კუთხური:** 8-4; **თამაშგარე:** 4-5; **ჯარიმა:** 11-8; **ბურთის ფლობა:** 76%-24%

**მაყურებელი:** 76 000

### რეალი-ხეტაფე 0:1

**რეალი:** კასილიასი, პაინცე, კანავარო, სერხიო რამოსი, მიგელ ტორესი (83. სოლდადო), რობენი, გუტი (75. იგუაინი), ჟულიო ბაპტიშტა (62. დრენტე), გახო, ვან ნისტელროი, რაული.

**ხეტაფე:** აბონდანსიერი, ბელენგერი, კორტესი (9. მარიო), ლიხტი, დიასი, სელესტინი, კასკერო, მარიო კოტელო, პაბლო, უჩე, მანუ (67. ტენა).

**გოლი:** 0:1 უჩე (64)

**გაფრთხილება:** 3-3; **დარტყმა:** 19(4)-10(4); **კუთხური:** 5-4; **თამაშგარე:** 3-1; **ჯარიმა:** 13-18; **ბურთის ფლობა:** 60%-40%

**მაყურებელი:** 80 000

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. რეალი | 25 | 18 | 2 | 5 | 54-21 | 56 |
| 2. ბარსელონა | 25 | 16 | 6 | 3 | 49-17 | 54 |
| 3. ვილიარეალი | 25 | 14 | 4 | 7 | 43-35 | 46 |
| 4. ატლეტიკო | 25 | 12 | 5 | 8 | 40-28 | 41 |
| 5. სევილია | 25 | 12 | 3 | 10 | 51-33 | 39 |
| 6. ესპანიოლი | 25 | 11 | 6 | 8 | 35-32 | 39 |
| 7. რასინგი | 25 | 10 | 8 | 7 | 24-25 | 38 |
| 8. ალმერია | 25 | 10 | 6 | 9 | 21-22 | 36 |
| 9. ვალენსია | 25 | 10 | 5 | 10 | 28-35 | 35 |
| 10. ხეტაფე | 25 | 9 | 5 | 11 | 29-32 | 32 |
| 11. ვალიადოლიდი | 25 | 8 | 7 | 10 | 32-42 | 31 |
| 12. მალიორკა | 25 | 6 | 12 | 7 | 34-36 | 30 |
| 13. ოსასუნა | 25 | 8 | 5 | 12 | 28-31 | 29 |
| 14. ბილბაო | 25 | 7 | 8 | 10 | 23-26 | 29 |
| 15. სარაგოსა | 25 | 7 | 8 | 10 | 36-43 | 29 |
| 16. ბეტისი | 25 | 7 | 8 | 10 | 27-36 | 29 |
| 17. რეკრეატივო | 25 | 7 | 8 | 10 | 24-34 | 29 |
| 18. დეპორტივო | 25 | 7 | 6 | 12 | 28-37 | 27 |
| 19. მურსია | 25 | 5 | 8 | 12 | 20-34 | 23 |
| 20. ლევანტე | 25 | 4 | 4 | 17 | 20-47 | 16 |

**ბომბარდირები:** 20 - ლუიშ ფაბიანო (სევილია); 15 - დ. მილიტო (სარაგოსა); 14 - ლორენტე (ვალიადოლიდი); 12 -ვან ნისტელროი (რეალი); 11 - რაული (რეალი), გუისა (მალიორკა), როსი (ვილიარეალი), ნიჰათი (ვილიარეალი); 10 - ტამუდო (ესპანიოლი), რიკარდო ოლივეირა (სარაგოსა), ფორლანი (ატლეტიკო); 9 - კანუტე (სევილია), მესი (ბარსელონა), აგუერო (ატლეტიკო); 8 - რობინიო (რეალი).

### II დივიზიონი

XXVI ტური

**ალბასეტე-სპორტინგი 1:2**

გოლები: 0:1 ლუკასი (19), 0:2 ნოგეროლი (79-საკ. კარში), 1:2 ალუსტისა (90)

**კორდობა-კადისი 2:2**

გოლები: 1:0 ალვარესი (5), 2:0 პინედა (40), 2:1 ნატალიო (43), 2:2 დე ლა კუესტა (75)

**ელჩე-სოსიედადი 0:0**

**ლას პალმასი-სელტა 1:0**

გოლი: 1:0 ტრაშორასი (9)

**კასტელონი-სევილია A 0:0**

**ნუმანსია-ერკულესი 2:1**

გოლები: 1:0 ტოჩე (57), 1:1 ხაუმე (63), 2:1 ალვარესი (68)

**ალავესი-გრანადა 2:2**

გოლები: 0:1 ოგუდე (5), 1:1 აგანსო (51-პენ), 1:2 დიასი (76-პენ), 2:2 რაული (77)

**ეიბარი-მალაგა 1:1**

გოლები: 0:1 ბაა (58), 1:1 ალტუნა (84)

**ეხიდო-ხიმნასტიკი 1:1**

გოლები: 0:1 კალე (29), 1:1 კიკე (90)

**სალამანკა-ტენერიფე 1:0**

გოლი: 1:0 მარტინი 929-პენ),

**ხერესი-ფეროლი 0:2**

გოლები: 0:1 ალვარო (31), 0:2 ჯონათანი (32)

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ნუმანსია | 26 | 16 | 6 | 4 | 39-20 | 54 |
| 2. მალაგა | 26 | 14 | 7 | 5 | 39-23 | 49 |
| 3. სპორტინგი | 26 | 12 | 6 | 8 | 38-27 | 42 |
| 4. სოსიედადი | 26 | 11 | 9 | 6 | 30-21 | 42 |
| 5. ელჩე | 26 | 11 | 7 | 8 | 31-26 | 40 |
| 6. სევილია B | 26 | 10 | 10 | 6 | 27-25 | 40 |
| 7. სელტა | 26 | 10 | 8 | 8 | 35-30 | 38 |
| 8. კასტელონი | 26 | 10 | 8 | 8 | 27-22 | 38 |
| 9. გრანადა | 26 | 9 | 9 | 8 | 29-30 | 36 |
| 10. ტენერიფე | 26 | 8 | 11 | 7 | 31-30 | 35 |
| 11. ერკულესი | 26 | 8 | 10 | 8 | 35-31 | 34 |
| 12. სალამანკა | 26 | 8 | 10 | 8 | 31-28 | 34 |
| 13. კადისი | 26 | 9 | 7 | 10 | 26-26 | 34 |
| 14. ეიბარი | 26 | 9 | 7 | 10 | 28-33 | 34 |
| 15. კორდობა | 26 | 6 | 13 | 7 | 32-37 | 31 |
| 16. ფეროლი | 26 | 8 | 6 | 12 | 29-34 | 30 |
| 17. ლას პალმასი | 26 | 8 | 6 | 12 | 27-38 | 30 |
| 18. ალავესი | 26 | 7 | 8 | 11 | 27-32 | 29 |
| 19. ხიმნასტიკი | 26 | 6 | 10 | 10 | 28-33 | 28 |
| 20. ალბასეტე | 26 | 6 | 7 | 13 | 19-28 | 25 |
| 21. ხერესი | 26 | 4 | 10 | 12 | 26-42 | 22 |
| 22. ეხიდო | 26 | 5 | 7 | 14 | 21-39 | 22 |

## საფრანგეთი

XXVI ტური

### კაენი-სტ. ეტიენი 1:3

**კაენი:** პლანტე, ენგბარტი, რ. გომისი, სორბონი, სეობი, პრომანი, დერუანი, ნივე (72. ტუდიჩი), ელუჩანსი (53. ფლორენტენი), კომპანი, გუფრანი (78. ლემაეტრი).

**სტ. ეტიენი:** ვივიანი, ტიენე, ტაველარიდისი, სალი, პერენი, მატუიდი, ლანდრესი, პეიე, დერნისი, ფეინდუნო (62. ილანი), ბ. გომისი (90+1. გარენი).

**გოლები:** 0:1 დერნისი 919), 0:2 გომისი (27), 0:3 დერნისი (37), 1:3 კომპანი (63)

**გაფრთხილება:** 2-2

**მაყურებელი:** 20 713

### ნიცა-ოსერი 1:2

**ნიცა:** ლორისი, ჟონეშამი, კანტე, სიდი, აპამი, ეშუაფნი, ბალმონი (71. ბამოგო), ედერსონი, ელებუიკი, ბ. კონე, ლასლანდი (38. მოდესტე).

**ოსერი:** რე. რიუ, ტამაში, ს. ტრაორე, გრიშტინგი, ჟორესი, პედრეტი, ტომასი, შაფნი, ლეჟონი (71. მუნტეანუ), ოლიეში (77. კერსია), ნიკულაე (87. პოპოვი).

**გოლები:** 1:0 კონე (46), 1:1 ნიკულაე (67), შაფნი (70)

**გაძევება:** ტამაში (85. ოსერი)

**გაფრთხილება:** 3-3

**მაყურებელი:** 10 140

### ვალანსი-ლე მანი 1:2

**ვალანსი:** პენეტო, დუკურტუა, უადუ, მარტინესი, მატერი (65. ოდელი), დუმენგი, ბელმადი (35. საესი), სანჩესი, სავიდანი (77. სებო), რუდე, პუჟოლი).

**ლე მანი:** ი. პელე, სედრანი, ბუპურსი, კალვე, ბასა, რომარიკი, კუტადორი, სესენონი (61. იებდა), დე მელო (70. მაეგა), ლე ტალეკი, ბაალი (89. იბ. კამარა).

**გოლები:** 0:1 ბასა (1), 0:2 ლე ტალეკი (14), 1:2 სავიდანი (45)

**გაძევება:** მარტინესი (45+2. ვალანსი), ლე ტალეკი (45+2. ლე მანი)

**გაფრთხილება:** 1-3

**მაყურებელი:** 12 689

### ნანსი-ლანსი 2:1

**ნანსი:** ბრასილიანო, შრეტიენი, ანდრე ლუისი, პუიგრენიე, ბიანკალანი (54. ი. დია), ბერენგერი, ჰაჯი, გავანონი (46. ნ'გემო), კიმი (65. ზერკა), ფორტუნე.

**ლანსი:** რუნიე, ლორენტი, პილტონი, ბიშევაცი, ბელაჯი, მანგანი, კარიერი, კოვაჩევიჩი, ლ. რემი (57. ბუკარი), მონე-პაკე (82. დემონი), დინდანე (80. მაულიდა).

**გოლები:** 0:1 მანგანი (40), 1:1 ბერენგერი (73), 2:1 ჰაჯი (75)

**გაფრთხილება:** 2-2

**მაყურებელი:** 17 951

### რენი-ლორიანი 2:0

**რენი:** ლუზი, ფანი, ჰანსონი, მენსა, დ. ტრაორე, მბია, ლემუანი, ჟ. ლერუა, ს. მარვო (69. სორლენი), პაჟისი, ბრიანი (89. მორეირა).

**ლორიანი:** ოდარი, ჟალე, მარშალი, სიანი, მორელი, ევოლო (74. მანსური), აბრიელი, ოტკოერი, ჟუფრე (61. ფ. რობერი), ლე პენი, საიფი (71. ვაირუა).

**გოლები:** 1:0 ბრიანი (43), 2:0 ჟ. ლერუა (66)

**გაფრთხილება:** 2-1

**მაყურებელი:** 24 633

### ლიონი-მეცი 2:0

**ლიონი:** კუპე, კლერკი, სკილაჩი, ბუმსონგი, რევეიერი, ტულალანი, ბოდმერი, კალსტრიომი (73. ჟუნინიო), გოვუ (73. ბენ არფა), ბენზემა (87. კ. კეიტა), ფრედი.

**მეცი:** მარიშე, კუბილიე, დელომო, მ. დიოპი, კორალესი (67. . კეიე), ფრანსუა, ბარბოსა (78. ჟიგაქსი), აგუაზი, პიანიჩი, რენუარი, ბ. გეიე (71. შაპუი).

**გოლები:** 1:0 ფრედი (10), 2:0 ფრედი (69)

**გაფრთხილება:** 1-1

**მაყურებელი:** 37 280

### პსჟ-მონაკო 1:1

**პსჟ:** ლანდრო, სეარა, ზ. კამარა, იეპესი, მ. სახო, ჟ. კლემანი, შანტომი (71. ბურილიონი), სოუზა, როტენი, დიანე, პაულეტა.

**მონაკო:** რომა, ადრიანო, მოდესტო, ბოლივარი, მურატორი, პოკრივაცი, მერიემი, ალმირონი, ნენე, გაკპე (72. ბაკარი), მენეზი (46. პიკიონი).

**გოლები:** 1:0 დიანე (42), 1:1 ალმირონი (72)

**გაფრთხილება:** 1-2

**მაყურებელი:** 35 000

### სტრასბური-სოშო 0:2

**სტრასბური:** კასარი, ლაკური, ბელაედი, პესლეი, დოს სანტოსი, როდრიგო, კოადი (53. პენტერია), აბდესადკი (69. გამეირო), მულუნგუი, მულენგა (73. იოჰანსონი), ა. სანტოსი.

**სოშო:** რიშერი, აფოლაბი, პერკისი, ბრეშე, პიშო, ნ'დავი, ს. დალმა, ისაბეი, მორის-ბელეი (85. დრამე), გრაქსი (82. დაგანო), ერდინგი (46. პიტო).

**გოლები:** 0:1 ისაბეი (13), 0:2 ერდინგი (35)

**გაფრთხილება:** 3-0

**მაყურებელი:** 17 107

### ტულუზა-მარსელი 0:0

**ტულუზა:** დუშე, არიბაჟე, სეტო, ებონდო, ილუნგა, დიოზი, ემანა, პაულო სეზარი, სირიეი, ელმანდერი, მანსარე (78. არაში).

**მარსელი:** მანდანდა, ბონარი, ჟივე, ტაივო, გრანდენი (65. ვალბუენა), კანა, ბენ. შეირუ, მ'ბამი, ნასრი, ზენდენი (46. ჯ. სისე), აკალე (65. ნიანგი).

**გაფრთხილება:** 2-2

**მაყურებელი:** 30 000

### ბორდო-ლილი 0:0

**ბორდო:** რამე, შალმე, სულ. დიავარა, ენრიკე, ჟურიეტი (84. ტრემულინა), ალონსო, ალუ დიარა, მიკუ, ვენდელი, ბელიონი (58. შამახი), კავენაგი.

**ლილი:** სილვა, ბერია, ფრანკარი, ლიხტშტაინერი, რამი, ტაფორო, ბასტოსი (73. მირალა), კაბეიე, რიუ მავუბა, ობრანიაკი, ფრო (60. იულა).

**გაფრთხილება:** 1-2

**მაყურებელი:** 25 000

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ლიონი | 26 | 16 | 4 | 6 | 50-24 | 52 |
| 2. ბორდო | 26 | 14 | 7 | 5 | 43-26 | 49 |
| 3. ნანსი | 26 | 11 | 11 | 4 | 29-18 | 44 |
| 4. ლე მანი | 26 | 12 | 4 | 10 | 32-34 | 40 |
| 5. მარსელი | 26 | 10 | 9 | 7 | 35-27 | 39 |
| 6. ნიცა | 26 | 9 | 11 | 6 | 24-20 | 38 |
| 7. მონაკო | 26 | 10 | 6 | 10 | 29-28 | 36 |
| 8. ლორიანი | 26 | 9 | 9 | 8 | 23-27 | 36 |
| 9. ვალანსი | 26 | 10 | 5 | 11 | 32-27 | 35 |
| 10. სტ. ეტიენი | 26 | 10 | 5 | 11 | 30-28 | 35 |
| 11. ოსერი | 26 | 10 | 5 | 11 | 24-33 | 35 |
| 12. კაენი | 26 | 9 | 8 | 9 | 28-34 | 35 |
| 13. რენი | 26 | 9 | 6 | 11 | 27-33 | 33 |
| 14. ლილი | 25 | 6 | 14 | 5 | 26-22 | 32 |
| 15. სტრასბური | 26 | 8 | 8 | 10 | 26-27 | 32 |
| 16. ლანსი | 25 | 8 | 7 | 10 | 28-30 | 31 |
| 17. პსჟ | 26 | 7 | 10 | 9 | 24-24 | 31 |
| 18. ტულუზა | 26 | 6 | 10 | 10 | 23-30 | 28 |
| 19. სოშო | 26 | 6 | 9 | 11 | 23-32 | 27 |
| 20. მეცი | 26 | 2 | 6 | 18 | 14-46 | 12 |

**ბომბარდირები:** 16 - ბენზემა (ლიონი); 12 - ნიანგი (მარსელი); 11 - ბელიონი (ბორდო), დე მელო (ლე მანი); 10 - ნიკულაე (ოსერი), ბ. გომისი (სტ. ეტიენი), ელმანდერი (ტულუზა); 9 - ბ. კონე (ნიცა), ჯ. სისე (მარსელი), სავიდანი (ვალანსი); 8 - საიფი (ლორიანი), კავენაგი (ბორდო).

#### II დივიზიონი

XXV ტური

| | |
|---|---|
| ამიენი-აიაჩო | 4:0 |
| ანჟერსი-ნიორი | 1:1 |
| ბასტია-ლიბურნი | 2:1 |
| ბრესტი-გრენობლი | 1:0 |
| შატორუ-ბულონი | 1:0 |
| კლერმონი-გეგნონი | 1:0 |
| მონპელიე-გინგამი | 0:0 |
| რეიმსი-ტრუა | 0:1 |
| ჰავრი-დიჟონი | 1:0 |
| სედანი-ნანტი | დღეს |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ჰავრი | 25 | 15 | 8 | 2 | 43-21 | 53 |
| 2. ნანტი | 24 | 14 | 6 | 4 | 37-19 | 48 |
| 3. ტრუა | 25 | 13 | 8 | 4 | 33-20 | 47 |
| 4. ბასტია | 24 | 12 | 6 | 6 | 34-22 | 42 |
| 5. კლერმონი | 25 | 9 | 12 | 4 | 34-25 | 39 |
| 6. გრენობლი | 25 | 10 | 8 | 7 | 31-24 | 38 |
| 7. მონპელიე | 25 | 9 | 9 | 7 | 27-20 | 36 |
| 8. სედანი | 24 | 9 | 9 | 6 | 29-26 | 36 |
| 9. ანჟერსი | 25 | 9 | 9 | 7 | 24-22 | 36 |
| 10. აიაჩო | 25 | 9 | 8 | 8 | 27-30 | 35 |
| 11. ბრესტი | 25 | 8 | 7 | 10 | 21-30 | 31 |
| 12. გინგამი | 25 | 7 | 9 | 9 | 23-24 | 30 |
| 13. რეიმსი | 24 | 8 | 5 | 11 | 28-38 | 29 |
| 14. ამიენი | 25 | 7 | 8 | 10 | 31-33 | 29 |
| 15. შატორუ | 25 | 7 | 8 | 10 | 24-28 | 29 |
| 16. ბულონი | 25 | 7 | 6 | 12 | 26-35 | 27 |
| 17. ნიორი | 25 | 6 | 5 | 14 | 22-31 | 23 |
| 18. დიჟონი | 25 | 4 | 11 | 10 | 18-35 | 23 |
| 19. ლიბურნი | 25 | 4 | 8 | 13 | 27-41 | 20 |
| 20. გეგნონი | 25 | 2 | 8 | 15 | 25-40 | 14 |

## საბერძნეთი

XXII ტური

| | |
|---|---|
| ვერია-არისი | 1:0 |
| ასტერასი-აპოლონი | 1:1 |
| პაოკ-ოლიმპიაკოსი | 1:1 |
| პანიონიოსი-ერგოტელისი | 2:1 |
| ქსანთი-ლარისა | 1:1 |
| ოფი-ატრომიტოსი | 0:1 |
| ირაკლისი-აეკ | 0:1 |
| პანათინაიკოსი-ლევადია | 1:0 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. პანათინაი. | 21 | 15 | 4 | 2 | 30-7 | 49 |
| 2. ოლიმპიაკოსი | 22 | 14 | 6 | 2 | 39-15 | 48 |
| 3. აეკ | 21 | 15 | 0 | 6 | 42-13 | 45 |
| 4. არისი | 22 | 10 | 5 | 7 | 22-15 | 35 |
| 5. ასტერასი | 22 | 8 | 9 | 5 | 19-14 | 33 |
| 6. ქსანთი | 21 | 9 | 5 | 7 | 27-20 | 32 |
| 7. პანიონიოსი | 22 | 9 | 4 | 9 | 26-33 | 31 |
| 8. პაოკ | 22 | 9 | 3 | 10 | 25-22 | 30 |
| 9. ლარისა | 22 | 6 | 11 | 5 | 18-18 | 29 |
| 10. ატრომიტოსი | 21 | 7 | 4 | 10 | 17-23 | 25 |
| 11. ოფი | 22 | 6 | 5 | 11 | 27-34 | 23 |
| 12. ირაკლისი | 22 | 5 | 8 | 9 | 16-24 | 23 |
| 13. ლევადია | 22 | 6 | 3 | 13 | 18-38 | 21 |
| 14. ვერია | 22 | 5 | 5 | 12 | 15-30 | 20 |
| 15. აპოლონი | 22 | 4 | 8 | 10 | 22-38 | 20 |
| 16. ერგოტელისი | 22 | 2 | 8 | 12 | 14-33 | 14 |

## ჩეხეთი

XVIII ტური

| | |
|---|---|
| ლიბერეცი-ტეპლიცე | 4:0 |
| ბანიკი-ზლინი | 2:1 |
| კლადნო-ბოლესლავი | 0:1 |
| ბოჰემიანსი-პლზენი | 2:2 |
| ბუდეიოვიცე-იაბლონეცი | 0:0 |
| მოსტი-სიგმა | 1:1 |
| სპარტა-ვიქტორია | 6:1 |
| ბრნო-სლავია | დღეს |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. სლავია | 17 | 11 | 5 | 1 | 27-9 | 38 |
| 2. სპარტა | 18 | 11 | 3 | 4 | 37-16 | 36 |
| 3. ტეპლიცე | 18 | 10 | 3 | 5 | 25-17 | 33 |
| 4. ბანიკი | 18 | 8 | 7 | 3 | 27-19 | 31 |
| 5. პლზენი | 18 | 8 | 5 | 5 | 21-18 | 29 |
| 6. ბრნო | 17 | 7 | 5 | 5 | 26-24 | 26 |
| 7. ბოლესლავი | 18 | 5 | 8 | 5 | 20-19 | 23 |
| 8. ბუდეიოვიცე | 18 | 6 | 5 | 7 | 21-21 | 23 |
| 9. ზლინი | 18 | 6 | 5 | 7 | 17-22 | 23 |
| 10. სიგმა | 18 | 4 | 10 | 4 | 12-15 | 22 |
| 11. ლიბერეცი | 18 | 5 | 6 | 7 | 18-18 | 21 |
| 12. ვიქტორია | 18 | 5 | 4 | 9 | 23-35 | 19 |
| 13. იაბლონეცი | 18 | 3 | 7 | 8 | 11-18 | 16 |
| 14. კლადნო | 18 | 4 | 4 | 10 | 22-30 | 16 |
| 15. ბოჰემიანსი | 18 | 3 | 6 | 9 | 12-24 | 15 |
| 16. მოსტი | 18 | 2 | 7 | 9 | 20-34 | 13 |

## ჰოლანდია

XXVI ტური

### სპარტა-უტრეხტი 2:1

**გოლები:** 1:0 ემნესი (39), 1:1 კრუისი (56), 2:1 ბუხარი (57)

### ალკმაარი-ტვენტე 0:0

### ექსელსიორი-ვილემი 0:0

### ჰერაკლ.-ფეიენოორდი 3:3

**გოლები:** 1:0 ევერტონი (2), 1:1 ბაია (17), 2:1 ლაკიჩი (23), 2:2 ლანდზაატი (31), 2:3 ჰოფსი (57), 3:3 ლაკიჩი (60-პენ).

### ვიტესი-როდა 1:1

**გოლები:** 1:0 იანსენი (67), 1:1 საეიისი (87)

### ბრედა-აიაქსი 2:3

**გოლები:** 0:1 ჰუნტელაარი (20), 1:1 ამოა (50), 2:1 პენდერსი (58), 2:2 ემანუელსონი (76), 2:3 ჰეიტინგა (82)

### ვენლო-გრონინგენი 2:5

**გოლები:** 0:1 ლოვრე (16), 0:2 ბერგი (45), 0:3 პაუელი (47), 1:3 ლეემანსი (50), 2:3 ოოსტი (59), 2:4 ბერგი (85), 2:5 ნიილანდი (89)

### ეინდჰოვ.-გრააფსხაპი 4:1

**გოლები:** 0:1 შიონი (7), 1:1 ლაზოვიჩი (8), 2:1 ბაკალი (51), 3:1 სიმონსი (82-პენ), 4:1 ლაზოვიჩი (90)

### ჰერენვეენი-ნიიმეგენი 2:3

**გოლები:** 1:0 ბეერენსი (2), 2:0 როორდა (29), 2:1 ლენსი (63), 2:2 ჰოლმანი (73), 2:3 აკშაუი (90)

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ეინდჰოვენი | 26 | 18 | 5 | 3 | 56-19 | 59 |
| 2. აიაქსი | 26 | 14 | 8 | 4 | 70-37 | 50 |
| 3. ფეიენოორდი | 26 | 14 | 6 | 6 | 48-27 | 48 |
| 4. გრონინგენი | 26 | 14 | 5 | 7 | 47-40 | 47 |
| 5. ბრედა | 26 | 14 | 5 | 7 | 33-29 | 47 |
| 6. ჰერენვეენი | 26 | 13 | 6 | 7 | 68-34 | 45 |
| 7. როდა | 26 | 11 | 8 | 7 | 45-39 | 41 |
| 8. ტვენტე | 26 | 10 | 10 | 6 | 38-27 | 40 |
| 9. ვიტესი | 26 | 10 | 6 | 10 | 33-40 | 36 |
| 10. უტრეხტი | 26 | 10 | 5 | 11 | 48-45 | 35 |
| 11. ალკმაარი | 26 | 8 | 6 | 12 | 38-45 | 30 |
| 12. გრააფსხაპი | 26 | 7 | 5 | 14 | 28-50 | 26 |
| 13. ნიიმეგენი | 26 | 7 | 6 | 13 | 31-44 | 24 |
| 14. სპარტა | 26 | 6 | 6 | 14 | 37-58 | 24 |
| 15. ჰერაკლესი | 26 | 6 | 6 | 14 | 28-52 | 24 |
| 16. ვენლო | 26 | 5 | 8 | 13 | 32-58 | 23 |
| 17. ექსელსიორი | 26 | 6 | 5 | 15 | 28-57 | 23 |
| 18. ვილემი | 26 | 5 | 6 | 15 | 27-33 | 21 |

**ბომბარდირები:** 24 - ჰუნტელაარი (აიაქსი); 19 - ნ'კუფო (ტვენტე); 15 - ბერგი (გრონინგენი); 14 - ნელისე (უტრეხტი); 13 - ბრედლი (ჰერენვეენი), მაკაი (ფეიენოორდი); 12 - კოვერმანსი (ეინდჰოვენი), დენ ოუდენი (ექსელსიორი); 11 - აფონსო ალვეში (ჰერენვეენი), სუარესი (აიაქსი), პერესი (აიაქსი); 10 - ლაზოვიჩი (ეინდჰოვენი).

#### II დივიზიონი

XXIX ტური

დენ ჰააგი-ომნივორლდი 1:1; ემენ-ტოპ ოსი 2:1; დენ ბოში-იგლზი 3:1; დორდრეხტი-ჰაარლემი 1:1; ცვოლე-მაასტრიხტი 7:0; ფორტუნა-ეინდჰოვენი II 3:0; ჰელმონდი-როსენდალი 2:0; ვაალვიკი-ვოლენდამი 2:3; ტელსტარი-აპელდოორნი 4:4; ვეენდამი-კამბური 4:4.

## ბელგია

XXIII ტური

### გენკი-სტ. ტრუიდენი 0:1

**გოლი:** 0:1 ა. კულიბალი (68)

### სერკლი-რუზელარე 0:0

### შარლერუა-ბეერსხოტი 0:0

### ბრიუსელი-მონსი 1:1

**გოლები:** 0:1 დამანი (25), 1:1 გორიუსი (90)

### დენდერი-ვესტერლო 2:0

**გოლები:** 1:0 ვან დერ ენდე (16-საჯ. კარში), 2:0 სილა (88)

### მუსკრონი-მეხელენი 0:1

**გოლი:** 0:1 დუნკოვიჩი (13)

### სტანდარდი-გენტი 0:0

### ლოკერენი-ბრიუგე 0:1

**გოლი:** 0:1 სტერკელე (60-პენ)

### ვარეგემი-ანდერლეხტი 1:0

**გოლი:** 1:0 ლეიე (14)

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბრიუგე | 23 | 15 | 6 | 2 | 33-15 | 51 |
| 2. სტანდარდი | 23 | 13 | 10 | 0 | 42-14 | 49 |
| 3. სერკლი | 23 | 13 | 6 | 4 | 52-22 | 45 |
| 4. ბეერსხოტი | 23 | 12 | 6 | 5 | 33-19 | 42 |
| 5. ანდერლეხტი | 23 | 11 | 7 | 5 | 33-24 | 40 |
| 6. გენტი | 23 | 10 | 8 | 5 | 44-30 | 38 |
| 7. ვესტერლო | 23 | 8 | 8 | 7 | 33-24 | 32 |
| 8. ვარეგემი | 23 | 9 | 5 | 9 | 29-36 | 32 |
| 9. გენკი | 23 | 8 | 7 | 8 | 33-36 | 31 |
| 10. შარლერუა | 23 | 7 | 6 | 10 | 23-29 | 27 |
| 11. რუზელარე | 23 | 6 | 9 | 8 | 28-36 | 27 |
| 12. ლოკერენი | 23 | 5 | 11 | 7 | 20-23 | 26 |
| 13. დენდერი | 23 | 7 | 4 | 12 | 24-37 | 25 |
| 14. მეხელენი | 23 | 6 | 7 | 10 | 27-35 | 25 |
| 15. მუსკრონი | 23 | 6 | 5 | 12 | 25-33 | 23 |
| 16. მონსი | 23 | 4 | 6 | 13 | 23-36 | 18 |
| 17. სტ. ტრუიდენი | 23 | 4 | 6 | 13 | 19-38 | 18 |
| 18. ბრიუსელი | 23 | 3 | 3 | 17 | 18-52 | 12 |

**ბომბარდირები:** 11 - ბარდა (გენკი), იოვანოვიჩი (სტანდარდი), მალკი (ბეერსხოტი); 10 - დე სუტერი (სერკლი), იაშჩუკი (სერკლი), ტომუ (მუსკრონი), დისა (რუზელარე); 9 - ლეიე (ვარეგემი), რუის გონსალესი (გენტი); 8 - აკპალა (შარლერუა), გომბამი (სერკლი), ფოლეი (გენტი), ლოსადა (ბეერსხოტი), დე სმეტი (სერკლი), სტერკელე (ბრიუგე).

#### II დივიზიონი

XXV ტური

ანტვერპენი-ტუბიკე 0:0; დაინცე-ეუპენი 0:0; გეელი-ტინენი 2:2; ლიერსი-ოსტენდე 3:1; ნამენი-ტურნე 0:2; ვაასლანდი-ოლიმპიკ შარლერუა 0:0; ვირტონი-კორტრიიკი 2:2; ჰევერლე-ლომელი 1:4; სტ. ჟილი-ბევერენი 2:2.

## პორტუგალია

XX ტური

### გიმარაეში-ნავალი 1:0

**გოლი:** 1:0 დესმარეტსი (21)

### ამადორა-ლეირია 4:2

**გოლები:** 0:1 სეზარი (18), 0:2 ფერეირა (40), 1:2 მენდონკა (61), 2:2 ანსელმო (75), 3:2 ედერი (86-საჯ. კარში), 4:2 ანსელმო (88)

### ბელენენსეში-მარიტიმუ 1:3

**გოლები:** 1:0 ველდონი (15), 1:1 ბრუნო (32-პენ), 1:2 მარსინიო (48), 1:3 მოსორო (74)

### პორტუ-ფერეირა 3:0

**გოლები:** 1:0 ლ. გონსალესი (45), 2:0 ლ. ლოპესი (53), 3:0 მ. გონსალესი (90)

### ნასიონალი-ლეიქსოეში 1:0

**გოლი:** 1:0 სპადასიო (84)

### სეტუბალი-სპორტინგი 1:0

**გოლი:** 1:0 რიბეირო (18)

### ბენფიკა-ბრაგა 1:1

**გოლები:** 0:1 მანუელი (5),1 1:1 ლუიზაო (21)

### აკადემიკა-ბოავიშტა დღეს

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. პორტუ | 20 | 16 | 2 | 2 | 38-7 | 50 |
| 2. ბენფიკა | 20 | 11 | 7 | 2 | 32-11 | 38 |
| 3. გიმარაეში | 20 | 10 | 4 | 6 | 23-23 | 34 |
| 4. სპორტინგი | 20 | 9 | 6 | 5 | 27-17 | 33 |
| 5. სეტუბალი | 20 | 7 | 10 | 3 | 27-20 | 31 |
| 6. მარიტიმუ | 20 | 9 | 2 | 9 | 25-21 | 29 |
| 7. ბელენენსეში | 20 | 7 | 8 | 5 | 20-20 | 29 |
| 8. ნასიონალი | 20 | 7 | 7 | 6 | 14-13 | 28 |
| 9. ბრაგა | 20 | 6 | 8 | 6 | 23-25 | 26 |
| 10. ბოავიშტა | 19 | 5 | 8 | 6 | 23-30 | 23 |
| 11. ამადორა | 20 | 4 | 9 | 7 | 23-25 | 21 |
| 12. აკადემიკა | 19 | 4 | 8 | 7 | 19-28 | 20 |
| 13. ლეიქსოეში | 20 | 3 | 11 | 6 | 19-23 | 20 |
| 14. ნავალი | 20 | 5 | 4 | 11 | 14-30 | 19 |
| 15. ფერეირა | 20 | 4 | 4 | 12 | 19-32 | 16 |
| 16. ლეირია | 20 | 1 | 5 | 14 | 16-37 | 8 |

**ბომბარდირები:** 17 - ლისანდრო ლოპესი (პორტუ); 10 - როლანდ ლინცი (ბრაგა); 8 - ჟოაო პაოლო (ლეირია); 7 - მაკუკულა (მარიტიმუ), კარდოსო (ბენფიკა), ვესლი (ფერეირა); 6 - ედინიო (სეტუბალი), ნუნუ გომეში (ბენფიკა), მარსელინიო (ნავალი), ლიტო (აკადემიკა), მარსელაო (ბოავიშტა).

#### II დივიზიონი

XX ტური

ეშტორილი-პენაფიელი 2:2; პორტიმონენსე-სანტა კლარა 1:1; რიუ ავე-ვიზელა 1:0; ვარზიმი-ავეში 2:1; გონდომარი-ფატიმა 1:1; ტროფენსე-ფრეამუნდე 1:2; ფეირენსე-ჟილ ვისენტე 0:1; ბეირა მარი-ოლანენსე 2:0.

## შოტლანდია

XXVII ტური

### დანდი იუნ-ფალკირკი 0:0

### ჰიბერნიანი-ინვერნესი 2:0

**გოლები:** 1:0 ნიში (3), 2:0 ს. ფლეტჩერი (5)

### მაზერველი-ჰართსი 0:1

**გოლი:** 0:1 კონოლი (12-საჯ. კარში)

### სტ. მირენი-სელტიკი 0:1

**გოლი:** 0:1 ნაკამურა (87)

### კილმარნოკი-აბერდინი 3:1

**გოლები:** 1:0 ბრისონი (14), 2:0 რაიტი (41), 3:0 ბრისონი (75), 3:1 კომბი (86-საჯ. კარში)

### რეინჯერსი-გრეტნა 4:2

**გოლები:** 1:0 კუზენი (13), 2:0 ნეისმიტი (22), 3:0 ბურკი (60), 3:1 დოჩერი (71), 4:1 ბოიდი (88), 4:2 დოჩერი (89)

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. რეინჯერსი | 25 | 20 | 2 | 3 | 60-19 | 62 |
| 2. სელტიკი | 25 | 18 | 4 | 3 | 62-18 | 58 |
| 3. მაზერველი | 25 | 14 | 2 | 9 | 38-31 | 44 |
| 4. დანდი იუნ | 27 | 12 | 5 | 10 | 39-33 | 41 |
| 5. ჰიბერნიანი | 26 | 10 | 8 | 8 | 39-33 | 38 |
| 6. ფალკირკი | 27 | 10 | 6 | 11 | 38-40 | 36 |
| 7. ჰართსი | 27 | 9 | 6 | 12 | 37-43 | 33 |
| 8. ინვერნესი | 27 | 10 | 3 | 14 | 34-43 | 33 |
| 9. აბერდინი | 27 | 9 | 6 | 12 | 31-44 | 33 |
| 10. სტ. მირენი | 25 | 7 | 5 | 13 | 17-42 | 26 |
| 11. კილმარნოკი | 27 | 6 | 7 | 14 | 27-39 | 25 |
| 12. გრეტნა | 26 | 3 | 4 | 19 | 24-61 | 13 |

**ბომბარდირები:** 18 - მაკდონალდი (სელტიკი); 12 - ფლეტჩერი (ჰიბერნიანი), რობსონი (სელტიკი); 11 - ველიჩკა (ჰართსი), ბოიდი (რეინჯერსი), კლარკსონი (მოზერველი), ჰანტი (დანდი იუნ); 10 - ვენეგორ ოფ ჰესელინკი (სელტიკი); 9 - ნიში (კილმარნოკი), კუზენი (რეინჯერსი), პორტერი (მოზერველი); 8 - მილერი (აბერდინი), მაკორმაკი (მოზერველი).

#### I დივიზიონი

XXVI ტური

კლაიდი-დანფერმლაინი 1:2; ჰამილტონი-ლივინგსტონი 3:1; მორტონი-სტ. ჯონსტონი 1:2; პარტიკი-ქუინი 0:0; სტირლინგი-დანდი 1:6.

#### II დივიზიონი

XXVII ტური

ეირდრი-ბირუიკი გადაიდო; ალოარეითი 2:0; ეირი-ბრეჩინი 0:3; კოუდენბითი-პიტერჰედი 0:4; როსი-ქუინზ პარკი 3:2.

#### III დივიზიონი

XXVII ტური

დამბარტონი-არბროა 2:1; ისტ ფაიფი-ელჯინი 2:0; ფორფარი-ისტ სტირლინგი 1:0; მონროუზი-სტრანრარი 0:2; სტენჰაუზმური-ალბიონი 2:2.

## უნგრეთი

XVI ტური

| | |
|---|---|
| დებრეცენი-დიოშდიორი | 3:0 |
| დიორი-ნირეძიაზა | 5:0 |
| უიპეშტი-შიოფოკი | 3:0 |
| ჰონვედი-რეაკ | 1:1 |
| პაკში-ზალაეგერსეგი | 0:3 |
| ტატაბანია-ვაშაში | 0:2 |
| სოპრონი-კაპოშვარი | გადაიდო |
| ფეჰერვარი-მტკ | დღეს |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. მტკ | 15 | 10 | 4 | 1 | 38-13 | 34 |
| 2. დებრეცენი | 16 | 9 | 5 | 2 | 35-16 | 32 |
| 3. უიპეშტი | 16 | 9 | 5 | 2 | 35-17 | 32 |
| 4. ჰონვედი | 16 | 9 | 4 | 3 | 32-19 | 31 |
| 5. დიორი | 16 | 7 | 7 | 2 | 33-19 | 28 |
| 6. ზალაეგერსეგი | 16 | 8 | 3 | 5 | 33-22 | 27 |
| 7. კაპოშვარი | 15 | 7 | 5 | 3 | 22-20 | 26 |
| 8. ნირეძიაზა | 16 | 6 | 4 | 6 | 12-19 | 22 |
| 9. ფეჰერვარი | 15 | 6 | 2 | 7 | 24-21 | 20 |
| 10. ვაშაში | 16 | 4 | 5 | 7 | 18-25 | 17 |
| 11. რეაკ | 16 | 4 | 3 | 9 | 14-26 | 15 |
| 12. შიოფოკი | 16 | 3 | 6 | 7 | 16-22 | 15 |
| 13. პაკში | 16 | 3 | 5 | 8 | 23-34 | 14 |
| 14. დიოშდიორი | 16 | 2 | 7 | 7 | 16-31 | 13 |
| 15. SOPRON | 15 | 2 | 5 | 8 | 10-28 | 11 |
| 16. ტატაბანია | 16 | 1 | 2 | 13 | 19-48 | 5 |

## პოლონეთი

XVIII ტური

| | |
|---|---|
| ლკს-იაგელონია | 0:0 |
| კორონა-ვისლა | 1:1 |
| კრაკოვია-პოლონია | 1:1 |
| გროცლინი-ლეგია | 1:0 |
| სოსნოვეცი-რუხი | 0:0 |
| ვიძევი-ოდრა | 4:3 |
| ზაგლებე-ბელხატოვი | 1:0 |
| გურნიკი-ლეხი | 0:1 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ვისლა | 18 | 15 | 3 | 0 | 45-10 | 48 |
| 2. ლეგია | 18 | 12 | 1 | 5 | 28-8 | 37 |
| 3. ლეხი | 18 | 11 | 3 | 4 | 32-20 | 36 |
| 4. გროცლინი | 18 | 11 | 2 | 5 | 28-18 | 35 |
| 5. კორონა | 18 | 10 | 3 | 5 | 25-23 | 33 |
| 6. ზაგლებე | 18 | 8 | 5 | 5 | 24-19 | 29 |
| 7. ბელხატოვი | 18 | 7 | 6 | 5 | 20-17 | 27 |
| 8. გურნიკი | 18 | 7 | 3 | 8 | 22-26 | 24 |
| 9. იაგიელონია | 18 | 6 | 6 | 6 | 18-25 | 24 |
| 10. ოდრა | 18 | 5 | 4 | 9 | 19-25 | 19 |
| 11. რუხი | 18 | 4 | 6 | 8 | 19-26 | 18 |
| 12. კრაკოვია | 18 | 5 | 2 | 11 | 12-22 | 17 |
| 13. ვიძევი | 18 | 3 | 8 | 7 | 18-25 | 17 |
| 14. პოლონია | 18 | 4 | 3 | 11 | 10-27 | 15 |
| 15. ლკს | 18 | 2 | 6 | 10 | 8-15 | 12 |
| 16. სოსნოვეცი | 18 | 2 | 3 | 13 | 13-35 | 9 |

## ავსტრია

XXV ტური

| | |
|---|---|
| შტურმი-ლინცერი | 1:2 |
| აუსტრია (ვ)-ზალცბურგი | 3:1 |
| მატერსბურგი-ტიროლი | 2:1 |
| რიდი-აუსტრია (კ) | 3:0 |
| ალტახი-რაპიდი | 2:1 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ლინცერი | 25 | 11 | 8 | 6 | 40-30 | 41 |
| 2. აუსტრია (ვ) | 25 | 10 | 11 | 4 | 33-23 | 41 |
| 3. ზალცბურგი | 25 | 11 | 7 | 7 | 41-29 | 40 |
| 4. რაპიდი | 25 | 11 | 6 | 8 | 40-31 | 39 |
| 5. შტურმი | 25 | 9 | 10 | 6 | 44-28 | 37 |
| 6. მატერსბურგი | 25 | 8 | 11 | 6 | 42-35 | 35 |
| 7. რიდი | 25 | 9 | 5 | 11 | 31-36 | 32 |
| 8. ალტახი | 25 | 6 | 9 | 10 | 27-40 | 27 |
| 9. ტიროლი | 25 | 5 | 8 | 12 | 23-40 | 23 |
| 10. აუსტრია (კ) | 25 | 5 | 5 | 15 | 19-48 | 20 |

## ხორვატია

XX ტური

| | |
|---|---|
| ინკერი-ზაგრები | 1:1 |
| სიბალია-მედიმურიე | 2:0 |
| შიბენიკი-ოსიეკი | 1:0 |
| ზადარი-სლავენი | 1:0 |
| დინამო-ვარტექსი | 1:2 |
| ჰაიდუკი-რიეკა | 1:1 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. დინამო | 20 | 16 | 1 | 3 | 57-23 | 49 |
| 2. რიეკა | 20 | 11 | 5 | 4 | 32-18 | 38 |
| 3. ჰაიდუკი | 20 | 9 | 7 | 4 | 33-22 | 34 |
| 4. სლავენი | 20 | 10 | 3 | 7 | 31-20 | 33 |
| 5. ზადარი | 20 | 8 | 4 | 8 | 33-33 | 28 |
| 6. სიბალია | 20 | 7 | 5 | 8 | 25-28 | 26 |
| 7. ოსიეკი | 20 | 7 | 4 | 9 | 23-24 | 25 |
| 8. ზაგრები | 20 | 6 | 5 | 9 | 29-29 | 23 |
| 9. შიბენიკი | 20 | 5 | 8 | 7 | 23-34 | 23 |
| 10. ინკერი | 20 | 6 | 4 | 10 | 19-38 | 22 |
| 11. ვარტექსი | 20 | 6 | 3 | 11 | 25-37 | 21 |
| 12. მედიმურიე | 20 | 2 | 5 | 13 | 20-44 | 11 |

## უელსი

XXVII ტური

| | |
|---|---|
| აბერისტვითი-კონაკი | 6:1 |
| კაერსვსი-პორტმადოგი | 2:4 |
| ჰევერფორდვესტი-კარნარფონი | 1:1 |
| უელშპული-რილი | 1:0 |
| ეირბასი-ნიუთი | 2:1 |
| ნეთი-კარმართენი | 3:1 |
| ბანგორი-პორტ ტალბოტი | 0:0 |
| ნიუ სეინტსი-ლანგეფნი | 7:1 |
| ლანელი-ნიუთაუნი | გადაიდო |

## შვეიცარია

XXII ტური

| | |
|---|---|
| გრასჰოპერსი-ქსამაქსი | 2:0 |
| სტ. გალენი-ტუნი | 3:0 |
| ბაზელი-არაუ | 2:1 |
| ლუცერნი-ციურიხი | 2:1 |
| იანგ ბოიზი-სიონი | 3:1 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბაზელი | 22 | 14 | 4 | 4 | 44-23 | 46 |
| 2. იანგ ბოიზი | 22 | 11 | 7 | 4 | 52-37 | 40 |
| 3. ციურიხი | 22 | 10 | 7 | 5 | 44-23 | 37 |
| 4. გრასჰოპერსი | 22 | 8 | 6 | 8 | 35-38 | 30 |
| 5. ლუცერნი | 22 | 6 | 11 | 5 | 30-35 | 29 |
| 6. არაუ | 22 | 6 | 9 | 7 | 32-32 | 27 |
| 7. ქსამაქსი | 22 | 6 | 7 | 9 | 30-35 | 25 |
| 8. სიონი | 22 | 6 | 5 | 11 | 26-34 | 23 |
| 9. სტ. გალენი | 22 | 6 | 4 | 12 | 28-49 | 22 |
| 10. ტუნი | 22 | 4 | 6 | 12 | 19-34 | 18 |

#### ჩელენჯლიგა

XX ტური

ივერდონი-ვოლენი 0:1; კიასო-ბელინცონა 1:1; გოსაუ-ჩამი 3:2; ლოკარნო-ლუგანო 1:3; ვადუცი-ლოზანა 2:1; ვილი-კრინსი 2:1; დელემონი-ფონდსი 2:0; სერვეტი-კონკორდია 3:1; შაფჰაუზენი-ვინტერტური დღეს.

## თურქეთი

XXIII ტური

| | |
|---|---|
| დენიზლი-ბეშიქთაში | 1:2 |
| გაზიანთეპი-ოფთასი | 1:1 |
| გენჩლერი-კონია | 6:1 |
| ფენერბაჩე-ბურსა | 0:2 |
| ანკარა-კაისერი | 0:3 |
| ისტანბული-ანკარაგიუჯუ | 1:2 |
| სივასი-რიზე | 0:0 |
| ტრაბზონი-მანისა | 2:2 |
| გალათასარაი-კასიმფაშა | 0:1 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. გალათასარაი | 23 | 15 | 6 | 2 | 46-18 | 51 |
| 2. ფენერბაჩე | 23 | 15 | 5 | 3 | 48-25 | 50 |
| 3. ბეშიქთაში | 23 | 15 | 4 | 4 | 36-23 | 49 |
| 4. სივასი | 22 | 14 | 3 | 5 | 31-17 | 45 |
| 5. კაისერი | 23 | 12 | 8 | 3 | 38-18 | 44 |
| 6. ტრაბზონი | 22 | 9 | 5 | 8 | 33-26 | 32 |
| 7. დენიზლი | 23 | 8 | 5 | 10 | 29-30 | 29 |
| 8. ოფთასი | 23 | 7 | 7 | 9 | 24-25 | 28 |
| 9. ანკარაგიუჯუ | 23 | 7 | 7 | 9 | 23-31 | 28 |
| 10. გენჩლერი | 23 | 7 | 6 | 10 | 34-33 | 27 |
| 11. ბურსა | 23 | 6 | 9 | 8 | 24-26 | 27 |
| 12. გაზიანთეპი | 23 | 7 | 5 | 11 | 26-36 | 26 |
| 13. ისტანბული | 23 | 6 | 7 | 10 | 29-32 | 25 |
| 14. კონია | 23 | 7 | 4 | 12 | 26-44 | 25 |
| 15. ანკარა | 23 | 5 | 8 | 10 | 23-29 | 23 |
| 16. რიზე | 23 | 6 | 4 | 13 | 24-46 | 22 |
| 17. მანისა | 23 | 5 | 6 | 12 | 32-43 | 21 |
| 18. კასიმფაშა | 23 | 4 | 3 | 16 | 17-41 | 15 |

## არგენტინა

#### კლაუსურა

III ტური

| | |
|---|---|
| ესტუდიანტესი-ნიუელსი | 5:2 |
| ლანუსი-კოლონი | 5:1 |
| რასინგი-ხიმნასია (ხ) | 0:0 |
| არგ. ხუნიორსი-ხიმნასია (ლ-პ) | 2:0 |
| ველესი-ბანფილდი | 3:0 |
| როსარიო-ინდეპენდიენტე | 2:0 |
| ტიგრე-ურაკანი | 1:2 |
| რივერი-სან ლორენსო | 2:0 |
| სან მარტინი-ბოკა | გვ. დასრულდა |
| არსენალი-ოლიმპო | გვ. დასრულდა |

## ჩილე

#### აპერტურა

VI ტური

| | |
|---|---|
| პალესტინო-რეინჯერსი | 0:2 |
| დ. კონსეპსიონი-უნ. კატოლიკა | 2:1 |
| ოსორნო-უნ. კონსეპსიონი | 1:3 |
| ლა სერენა-ევერტონი | 1:0 |
| კობრესალი-უნ. ესპანიოლა | 3:0 |
| უაჩიპატო-აუდაქსი | 1:4 |
| მელიპილა-უნ. ჩილე | 0:3 |
| ანტოფაგას.-კობრელოა | გვ. დასრულდა |
| ს. მორნინგი-ო'ჰიგინსი | გვ. დასრულდა |
| კოლო კოლო-ატ. ნუბლენ. | გვ. დასრულდა |

## ურუგვაი

#### კლაუსურა

II ტური

| | |
|---|---|
| ფენიქსი-სერო | 0:1 |
| ხუვენტუდი-პროგრესო | 3:1 |
| რივერ პლეიტი-პენიაროლი | 2:2 |
| დეფენსორი-ტაკუარემბო | 2:0 |
| სენტრალი-ლივერპული | 1:3 |
| ბელა ვისტა-რამპლა | 0:0 |
| უონდერერსი-ნასიონალი | 1:3 |

## მექსიკა

#### კლაუსურა

VII ტური

| | |
|---|---|
| ვერაკრუსი-ტოლუკა | 2:3 |
| ხაგუარესი-ტეკოსი | 2:0 |
| გვადალახარა-სან ლუისი | 2:2 |
| პაჩუკა-კრუს აზული | 1:4 |
| ატლანტე-ტიგრესი | 1:1 |
| პუმასი-ნეკაქსა | 0:3 |
| ამერიკა-ს. ლაგუნა | გვ. დასრულდა |
| მონტერეი-ატლასი | გვ. დასრულდა |
| პუებლა-მორელია | გვ. დასრულდა |

ერთა თასი

# ძნელი მოგება ესტადიოს ტალახში

## ტიმ ლეინის ზედიზედ მესამე გამარჯვება



ბურთით რეზო გიგაური

პირველი გვერდიდან

**სტატისტის** როლის შესრულებას ამ მატჩში არც ჩვენი უკანახაზელები აპირებდნენ და თამაშის დასაწყისშივე თქვეს თავიანთი სიტყვა. მე-2 წუთზე პორტუგალიელებს საკუთარ ლელოდან ხუთ მეტრში დერეფანში აგდებული ბურთი ჩვენმა ფლანკერმა **რატი ურუშაძემ** აართვა. შერკინებამ მოლით სცადა მიწოლა, მაგრამ **ირაკლი აბუსერიძემ** ბურთი მოულოდნელად მოკლე ფრთაზე **ლაშა მალაღურაძეს** გაუტანა, ამან კიდევ უფრო მარცხნივ კიდესკენ გარემარბ **ირაკლი ჩხიკვაძეს** მიაწოდა, რომელმაც ეროვნულ ნაკრებში თავისი პირველი ლელო მიითვალა. თითქმის გვერდითი ხაზიდან დარტყმული გარდასახვა **ოთარ ბარკალაიამ** ვერ გაიტანა - 5:0.

ეს ანგარიში ტაიმის ბოლომდე შენარჩუნდა. დროის ამ მონაკვეთში საქართველოს ნაკრებმა სამი კარში დასარტყმელი საჯარიმო აუტში გადაიტანა. ჩვენები სამივეჯერ დერეფნიდან აგორებული მოლით ცდილობდნენ ლელოში შეღწევას, მაგრამ არბიტრმა ბლოკირებისთვის ბურთი ჩამოართვა.

ქართველი მორაგბეები თითქმის უშეცდომოდ თამაშობდნენ. პორტუგალიელები გამუდმებით ცდილობდნენ ბურთის ფეხით ზურგს უკან დაკიდებას. რასაც ერთხელ ჩვენთვის ლამის სავალალო შედეგი მოჰყვა. ერთ-ერთი ასეთი დაკიდებული ბურთი მალაღურაძეს მხარში მოხვდა და უკან გადავარდა. ბურთს მასპინძელთა გარემარბი **ანტონიო აგილარი** დაეუფლა. ლელომდე ალარაფერი უკლდა, აბუსერიძეს რომ არ ეყოჩალა. ბოჭვისას აგილარს ბურთი წინ გაუვარდა და საფრთხე არიდებული იქნა.

თუმცა ტაიმის ბოლოს შერკინებაში ჩასვლისას მატჩის არბიტრმა მაინც გვიპოვა ხინჯი და მასპინძელთა სასარგებლოდ საჯარიმო დაინიშნა, რომელიც ფულბეკმა **პედრო კაბრალმა** ზუსტად დაარტყა 3:5.

მეორე ნახევარი ჩვენი გუნდისთვის მძიმედ დაიწყო. მსაჯი ხშირად გვაჯარიმებდა და ერთ-ერთ ეპიზოდში შერკინებიდან ბურთის გამოტანის დროს აბუსერიძე ათი წუთით გააძევა. კაცნაკლულმა ბორჯღალოსნებმა მეტოქეს ქულების მიმატება არ დაანებეს.

მას შემდეგ, რაც კაპიტანი მოედანს დაუბრუნდა, ქართველებმა თამაშის მეტოქის მოედანზე გადატანა შეძლეს. 66-ე წუთზე მოწინააღმდეგის მოედანზე დერეფანი ისევ მოიგეს. შერკინების რამდენიმე მოკლე დარტყმის შემდეგ აბუსერიძემ ბურთი **მალაღურაძეს** გაუტანა, რომელმაც არეკნით ბურთი პორტუგალიელთა კარის ძელებს შორის გაატარა - 8:3.ოთხ წუთში ჩვენმა ფულბეკმა ოთარ ბარკალაიამ თითქმის ცენტრიდან გაიტანა საჯარიმო - 11:3.

თამაშის დამთავრებამდე ექვსი წუთით ადრე პორტუგალიელებმა ანგარიშის შემცირება შეძლეს. საჯარიმო ახლო მანძილიდან იმავე კაბრალმა გაიტანა 6:11. დარჩენილ დროში მასპინძლებს თითქოს გარდატეხა უნდა შეეტანათ თამაშში, მაგრამ პირიქით კი მოხდა. ლელოს გატანის შანსი მატჩის მიწურულს ქართველ მორაგბეებს ჰქონდათ.

ერთი სიტყვით, მძიმე, მაგრამ მაინც დამსახურებული გამარჯვება მოიპოვეს ბორჯღალოსნებმა. თამაშში მესამეხაზელ **სიმონ მაისურაძის** დებიუტი შედგა, რომელიც შეხვედრაში მეორე ტაიმში ჩაერთო. ვერაფრით დავუძვერით ტრავმებს, **დავით ქუბრიაშვილმა** ნეკნი იტკინა, ხოლო **ირაკლი აბუსერიძემ** მუხლი. სამწუხაროდ რაგბის ქომაგებმა მატჩის ტელერეპორტაჟი ვერ იხილეს, რადგან სულ რაღაც 5 ათასი ევროს მოძიება გახდა შეუძლებელი.

**23 თებერვალი. მადრიდი**

**ესპანეთი-რუმინეთი 11:17**

ესპანეთი: (15-9) სემპერე, მოტა, კანოსა, ნავა, მარტინი, გრატონი, ფეიხოო; (1-8) ინსაუსტი, ბორხესი, სალასარი, არამბურუ, ბერნასკონი, კამაჩო, ჰიხარი, კრიადო; (16-22) სერანო, ფერერასი, ებეტი, ტურტულუ, არენასი, მატა, მასო - *ლ (კამაჩო), 2 ს (ნავა)*

რუმინეთი: (15-9) ფერკუ, ბიჯუ, გალი, ვლადი, ჩუნტუ, დიმოფტე, კალაფეტყანუ, (1-8) ნერე, მიჰალაკე, პაულიცა, კოსტე, პოპარლანი, მერსოიუ, კარპო, პეტრე; (16-22) რადოი, დობრე, ისტრატე, გრიგორე, ანდრეი, დუმბრავა, მარინი - *3ლ (კოსტე, პოპარლანი, პეტრე), გ (კალაფეტიანუ)*

სინბინი (პაულიცა, 25), (მერსოიუ, 77)

მსაჯი: სტეფანო მარამა (იტალია)

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. საქართველო | 7 | 6 | 0 | 1 | +151 | 12 |
| 2. რუსეთი | 5 | 4 | 0 | 1 | +80 | 8 |
| 3. რუმინეთი | 7 | 4 | 0 | 3 | +62 | 8 |
| 4. ესპანეთი | 7 | 3 | 0 | 4 | +17 | 6 |
| 5. პორტუგალია | 7 | 3 | 0 | 4 | +3 | 6 |
| 6. ჩეხეთი | 7 | 0 | 0 | 7 | -313 | 0 |

**1 მარტი**

რუსეთი-პორტუგალია

**8 მარტი**

რუმინეთი-პორტუგალია

რუსეთი-ესპანეთი

**15 მარტი**

რუსეთი-რუმინეთი

**22 მარტი**

რუმინეთი-ჩეხეთი

**29 მარტი**

ჩეხეთი-საქართველო

**12 აპრილი**

რუსეთი-საქართველო

**19 აპრილი**

ჩეხეთი-რუსეთი

**26 აპრილი**

საქართველო-ესპანეთი

**10 მაისი**

ესპანეთი-პორტუგალია



გიორგი ნიჟარაძე

# ახალი პრეზიდენტი, ნიჟარაძე

საქართველოს რაგბის კავშირს დღეიდან ახალი პრეზიდენტი ჰყავს. ქართულ რაგბს ამიერიდან, ყოფილი ვიცე პრეზიდენტი **გიორგი ნიჟარაძე** უთავკაცებს.

ყრილობაზე, რომელიც "ქორთიარდ მარიოტში" გაიმართა, ნიჟარაძის ერთადერთ კანდიდატურას მხარი ერთხმად დაუჭირეს. კანდიდატმა ყრილობას მომავალ ოთხწლედში კავშირის სამოქმედო გეგმა გააცნო. დასახა პრიორიტეტები: ბავშვთა რაგბი, ეროვნული ჩემპიონატი, ინფრასტრუქტურა და ერთიანი სანაკრებო პოლიტიკა.

გაირკვა, რომ გენერალურ სპონსორ "კვარცითან" ერთად რაგბის კავშირს დეველოპერული კომპანია "ლიბო" და "სილქ როუდ ბანკი" დაეხმარებიან. "ლიბო" ეროვნული ნაკრების მეოხი იქნება, სოლიდური იქნება "სილქ როუდის" დახმარებაც.

ყრილობამ აირჩია რაგბის კავშირის ახალი გამგეობა, რომლის რაოდენობაც 9 კაცით განისაზვრა: **გიორგი ნიჟარაძე, გოჩა სვანიძე, ვასილ კევლიშვილი, გიორგი გეგენავა, თემურ ბენდიაშვილი, ირაკლი კიზირია, იოსებ დიაკონიძე, კახა მხეიძე, ვალერი გიორგობიანი.**

**ბესიკ ჯანგავაძე**



საქართველოს ჩემპიონატი

# ჯენტლმენებო, ჩართეთ ძრავები!

**კვირას**, 24 თებერვალს, საქართველოს ავტოფედერაციამ, ოფიციალურად გახსნა ავტოსპორტის ჩემპიონატი, რომელსაც დაერქვა "რომპეტროლი 2008". რბოლებს დღეიდან ეწოდება "კასტროლის გრან პრი", არ აქვს მნიშვნელობა, იქნება ეს აღმართის ჩქაროსნული დაძლევა, რალი თუ წრიული რბოლა. ორგანიზატორები და პარტნიორი ფირმები იმედოვნებენ, რომ ჩემპიონატის ყოველ ეტაპზე მაყურებელს საინტერესო სანახაობები დახვდება და ასევე საინტერესო და დაძაბული იქნება ავტომრბოლების პაექრობაც. აქვე, შეჯიბრზე, აღინიშნა, რომ ეს იყო საქართველოს მე-16 ჩემპიონატის პირველი ეტაპი სამთო რბოლაში ანუ აღმართის ჩქაროსნულ დაძლევაში.

კუს ტბის ასასვლელთან მრავალ სპორტულ და ხაგზაო მანქანებს, მაყურებელს შეამჩნევდით. სპორტსმენებს შორის ჭარბობდნენ ძველი სახეები, მაგრამ იყვნენ დებიუტანტებიც, რომელთაც, წინ გავუსწრებ მოვლენებს და მოგახსენებთ, რომ ძალიან სურდათ არ ჩამორჩენოდნენ გამოცდილ კოლეგებს.

როგორც იცით, ამ სიტუაციაში შეცდომებიც იჩენს თავს. სწორედ ასე მოხდა პირველი კვალიფიკაციის დროს. ერთ-ერთი მონაწილე (სულ 16 იყო) ურთულეს ტრასაზე შეცდა, საჭე ვერ დაიმორჩილა და მანქანა იქვე მდგომ მაყურებელთა ჯგუფში შევარდა, თუმცა საბედნიეროდ, ამ და კიდევ ორ ინციდენტს, მსხვერპლი არ მოჰყოლია.

მართალი გითხრათ, შეჯიბრის მონაწილეთა შორის **არჩილ ბიძინაშვილის** (ჰონდა სივიკი) გამოჩენა გამიკვირდა. შარშანდელი სეზონის ნამდვილ ჩემპიონს ხომ ლიცენზია ჩამოართვეს სხვა ფედერაციასთან თანამშრომლობის გამო და ქულებიც გაუუქმეს, რის შემდეგაც **ოთარ თავართქილაძე** (სუბარუ იმპრეზა) გაჩემპიონდა. თუმცა აქვე მსურს აღვნიშნო, რომ მეგობრების, კერძოდ კი პილოტების ძალისხმევით, ბიძინაშვილს ლიცენზია დაუბრუნეს და ის თანახმაა კიდევ ერთხელ დაუმტკიცოს ყველას, მათ შორის, "მთის რბოლის" უბადლო ოსტატ ოთარ თავართქილაძეს, რომ ჩემპიონობის ღირსი იყო და არის კიდეც. რაც შეეხება ტურნირის მესამე ფავორიტს, **ზურაბ ბეჟაშვილს,** ის წელს "სუბარუ იმპრეზათი" გამოდის და, როგორც თვითონ თქვა, მანქანას ნელ-ნელა ეჩვევა. უნდა აღინიშნოს, რომ ზურაბი უკვე შეეჩვია ტექნიკას ამაში მას დიდი გამოცდილება ეხმარება



ავარიის შემდეგ

არ უნდა გამოვრიცხოთ **დათა ქაჯაიაც** (ჰონდა CRX), **ალეკო ჩიქოვანი** (სიტროენ საქსო). რბოლაში ვერ გამოვიდა **მევლუდ მელაძე** (ჰონდა სივიკი) ტექნიკური მიზეზების გამო, თუმცა მთავარ სტარტერობას ჩინებულად გაართვა თავი.

საქართველოს ავტოფედერაციის შეძახილით: "ჯენტლმენებო ჩართეთ ძრავები!" შეჯიბრი დაიწყო. ის ორი საკვალიფიკაციოსა და ორი მთავარი რბოლისგან შედგებოდა. იუნიორთა ჯგუფს, რომელიც "სუძუკი სვიფტის" მოდელით ასპარეზობდა, საკუთარი ჩათვლა ჰქონდა.

წესების მიხედვით, როცა ჯამდება კვალიფიკაციის შედეგები, ავტომრბოლები სტარტზე ნაჩვენები დროის მიხედვით გადიან, მაგრამ ამჯერად ასე არ მოხდა. რა იყო ამის მიზეზი, ვერ გეტყვით, მაგრამ პელოტონს ყოველთვის წინ ოთარ თავართქილაძე მიუძღოდა, შემდეგ მოდიოდნენ **ზურაბ ბეჟაშვილი, დათა ქაჯაია, სანდრო ლომაძე, არჩილ ბიძინაშვილი** და ა.შ. მოკლედ, არ ჰქონდა მნიშვნელობა, ვისი იყო უსწრაფესი დრო.

თავართქილაძის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მან დაადასტურა "მთის რბოლის" ოსტატის სტატუსი, ძველი სცენარით წარმართა შეჯიბრება და საერთო გამარჯვებაც მოიპოვა. მეორე ადგილზე არჩილ ბიძინაშვილი გავიდა, მესამეზე კი - ზურაბ ბეჟაშვილი. ფავორიტები ისევ ფავორიტებად რჩებიან.

რაც შეეხება "იუნიორთა ჯგუფს", აქ პირველი ადგილი **გიორგი კოდუამ** დაიკავა, მეორე - **დიმიტრი ქობულიამ,** მესამე კი - **დავით მენთეშაშვილმა.**

მომდევნო ეტაპი გაიმართება 9 მარტს. ტაბახმელაში გულშემატკივარი რალიში შეჯიბრებას იხილავს.

**დავით ჩუბინიძე**

## ჭიდაობა

### პირველი-მესამე ირანში

**თავისუფალი ჭიდაობა.** ამავე უქმეებზე საქართველოს ნაკრებმა კიევის საერთაშორისო ტურნირში იჭიდავა და თითო ოქროსა და ბრინჯაოს მედლები მოიპოვა. 96-ის ფინალში მსოფლიო ჩემპიონმა **გიორგი გოგშელიძემ** ყოველმხრივ დაჩაგრა ირანელი **ამირ განჯი** და ჩემპიონი დამსახურებულად გახდა. ბრინჯაოს მედალი ჩვენი გუნდის მეორე მსოფლიო ჩემპიონმა **რევაზ მინდორაშვილმა** (84) მოიპოვა.

### მეორე-მესამე სერბეთში

**ანტიკური ჭიდაობა.** სერბეთში, საერთაშორისო ტურნირზე წარმატებით გამოვიდნენ ქართველი ფალავნები - **გენადი გოგიშვილი** (74) მეორე ადგილზე გავიდა, **მანუჩარ ცხადაია** (66) - მესამეზე. აღსანიშნავია, რომ სერბეთში ჩვენგან სხვები არც ჭიდაობდნენ, რადგან ძირითადი გუნდი მსოფლიო თასისა და "ოქროს დიდი პრიზის" მეორე ტურნირისთვის ემზადება, რომლებიც თებერვალ-მარტის მიჯნაზე, ერთმანეთის მიყოლებით, უნგრულ სომბათჰეიში გაიმართება. ჩვენი ნაკრები უნგრეთში ხვალ გაფრინდება.

### მესამე ბელარუსში

**სამბო.** ამ უქმეებზე მინსკში დამთავრდა ბელარუსის პრეზიდენტ ალექსანდრ ლუკაშენკოს სახელობის საერთაშორისო ტურნირი სამბოში, რომელშიც საქართველო მეორე ნაკრებით მონაწილეობდა. ალბათ, უფრო ამით უნდა ავხსნათ ის ფაქტი, რომ ჩვენებმა მინსკში ერთადერთი მედალი და ისიც ბრინჯაო მოიპოვეს - მას **ლევან ქოჩიევი** (62) დაეუფლა. მწირი მონაგარის მიუხედავად, ეს შედეგი მწვრთნელებისთვის მაინც საყურადღებოა, რადგან ეს წონა ერთ-ერთი იმათგანია, სადაც ევროპაზე მოსახვედრად გუნდში კონკურენცია კანდიდატებს შორის ჯერ კიდევ გრძელდება.

**ირაკლი თავაძე**

## ხელბურთი




სერგო დათუკაშვილი

ლეგიონერი

### სერგომ მოუმატა, ლიუბეკე ჩაიძირა

თუკი წინა 4 მატჩში **სერგო დათუკაშვილს** ორზე მეტი გოლი ვერ გაჰქონდა, ამჯერად ოთხჯერ გაუტანა "ვეტცლარს". თუმცა, მისმა "ლიუბეკემ" მაინც წააგო საკუთარი გულშემატკივრის თვალწინ (24:30), რითაც კიდევ უფრო გაირთულა ისედაც მძიმე სატურნირო მდგომარეობა.

ამჟამად "ლიუბეკეს" 23 მატჩში მხოლოდ 11 ქულა აქვს და გერმანიის 18-გუნდიან ბუნდესლიგაში 17-18-ე ადგილებს იყოფს "ესენთან" ერთად.

რაც შეეხება დათუკაშვილის პირად სტატისტიკას, ოთხმა გოლმა იგი 3 საფეხურით ზემოთ აწია და ახლა ბუნდესლიგის მეგოლეთა სიაში 11-ე ადგილზეა. ქართველ ხელბურთელს 120 ბურთი აქვს გატანილი.

**კობა ხატისაშვილი**

## ძიუდო

ჰამბურგის სუპერთასი

### ჰამბურგში უმედლოდ, წინ პრაღაა

ჩვენმა ძიუდოისტებმა ჰამბურგის სუპერთასი უმედლოდ და უსახელოდ ჩაამთავრეს. ამაში გასაკვირი არაფერია - გერმანიაში ახალგაზრდული შემადგენლობა გააგზავნეს, რომლებსაც მედლებზე უფრო გამოცდილების მიღებას სთხოვდნენ. გული უფრო იმაზე თუ დაგვწყდება, რომ რამდენიმე, შედარებით გამოცდილმა ფალავანმა ვერ აჩვენა ისეთი შედეგი, სამომავლოდ, რეზერვის თვალსაზრისით, გული რომ დაგვემშვიდებინა.

პარასკევის შედეგებზე გაცნობეთ, მაგრამ შეგახსენებთ, რომ იმ დღეს სამივე ჩვენებური ისე გავარდა, სანუგეშოშიც კი ვერავინ გადავიდა. ამ უქმეებზეც იგივე მოხდა - ტატამზე ისევ სამმა ქართველმა იჭიდავა, მაგრამ დამამშვიდებლამდე კვლავაც ვერც ერთმა მიაღწია.

81-ში ჩვენგან ორი ფალავანი ჭიდაობდა - უკვე საკმაოდ გამოცდილი **გრიგოლ შინჯიკაშვილი** და შედარებით ახალბედა **ხვიჩა ხუციშვილი**. შინჯიკაშვილმა თავიდან ორი იპონი მიითვალა - ახალზელანდიელ **რაიან დელ-რუსელთან** და ესპანელ **იორგ ბენავენტესთან**, მაგრამ მერე თავადაც წმინდად წააგო იაპონელ **მასაჰირო ტაკამაცუსთან**. შეგახსენებთ, რომ ტაკამაცუს ათენის ოლიმპიადაზე **დავით ქევხიშვილმა** იპონით მოუგო პირველივე წრეში. ჩვენდა სამწუხაროდ, მეოთხედფინალში იაპონელიც დამარცხდა მომავალ ჩემპიონთან, კორეელ **კიმ ჯა-ბუმთან** და შინჯიკაშვილიც გავარდა.

ხუციშვილმა მონგოლ **რეგდელ ანკბაატართან** სუფთა მოგებას ჩეხ **ირჟი პოკორნისთან** ასევე წმინდა მარცხი მიაყოლა და გავარდა.

**ნოდარ მეტრეველმა** (100) ტურნირი ისე დაიწყო, ვიფიქრეთ, ეგება და მედალსაც გამოჰკრას ხელიო. ეს მართლაც ნიჭიერი სპორტსმენი, რომელიც ბოლო თვეებში როგორღაც დამუხრუჭდა და ღირებულს ვერაფერს აკეთებს, გერმანიაში არასტაბილურად გამოვიდა - უტიტულო უზბეკ **ოტკიირ კურბანოვთან** წმინდად გამარჯვების შემდეგ ძალიან ძლიერი მეტოქე, უნგრელი ევროპის ჩემპიონი და მსოფლიოს პრიზიორი **დანიელ ჰადფიც** ასევე დააიპონა (თან, მანამ კოკაც აართვა), მაგრამ მერე ბერძენ **დიონისიოს ილიადისთან** წააგო. დაგვეთანხმებით, ჰადფისა და ილიადისის შედარებაც არ შეიძლება და მეტრეველის ამ მარცხმა ძალზე გაგვაკვირვა. ილიადისი იმ დონის მოჭიდავეც არაა, ლიცენზიაზე იბრძოლოს და საამისოდ აქ ბიძაშვილად შეძენილ **ილიას ილიადისს** (**ჯარჯი ზვიადაურს**) აჭიდავებენ. ცხადია, მისგან კიდევ ერთი ბარიერის დაძლევა დიდი მოულოდნელობა იქნებოდა. მით უფრო, მომდევნო შეხვედრაში ჰოლანდიელი ევროპის ჩემპიონი **ელკო ფან დერ ხესტი** ელოდა. აქ უკვე ყველაფერი ლოგიკურად მოხდა - ჰოლანდიელმა მოიგო და მეტრეველიც დაემშვიდობა მედალზე ოცნებას.

1-2 მარტს პრაღაში სეზონის ბოლო სალიცენზიო მსოფლიო თასია, სადაც ჩვენები უძლიერესი შემადგენლობით გამოვლენ: **ნესტორ ხერგიანი** და **მინდია ხომიზური** (66), **ზაზა კედელაშვილი** და **ზურაბ დილებაშვილი** (73), **გიორგი შინჯიკაშვილი** და **საბა გავაშელიშვილი** (81), **ირაკლი ცირეკიძე** და **ზურაბ ზვიადაური** (90), **ლომერ ჟორჟოლიანი** (100), **ლაშა გუჯეჯიანი** (+100). ეს გუნდი დღეს გაფრინდება ჯერ ჰამბურგში, სადაც ერთკვირიან ერთობლივ ვარჯიშებში გამოვა და იქიდან გადაინაცვლებს პრაღაში. ვინაიდან ჩვენებმა პეკინის ოლიმპიადის საგზურები აქამდე ვაკანტურად დარჩენილ იმ ორ წონაშიც - 66-სა და 81-შიც გაინაღდეს, ჩეხეთის ტურნირს 11-13 აპრილს ლისაბონში გასამართი ევროპის ჩემპიონატისთვის იყენებენ. ამიტომ გერმანია-ჩეხეთისკენ დღეს აბარგებულ გუნდში ყველა ის მოჭიდავეა, რომლებიც ევროპაზე იასპარეზებენ - ხერგიანი, კედელაშვილი, ცირეკიძე, ჟორჟოლიანი და გუჯეჯიანი. გამონაკლისია მხოლოდ **დავით ქევხიშვილი** (73), რომელსაც ჯერაც ასვენებენ, თუმცა ის გერმანიაში ერთობლივ წვრთნებში გამოვა. პრაღის ტურნირი ამათთვის საევროპოდ სასტარტოა, ხომიზურისა და დილებაშვილისთვის - გამოსაწვრთნელი. დილებაშვილი ამ რანგის ტურნირს პირველად იჭიდავებს, ხომიზური კი კვლავაც ოპერაციის შემდგომ სარეაბილიტაციო კურსს გადის.

ეს ტურნირი კონკურენტთა გამოსაცდელი ერთადერთ წონაში - 81-შია. აქ ბაინდურაშვილი რეიტინგშიც უსწრებს გავაშელიშვილს და ტურნირებში შედეგებითაც აჯობა, მაგრამ მწვრთნელები გავაშელიშვილს კიდევ ერთ შანსს აძლევენ. ეს რომ არა, სალისაბონე შემადგენლობაში ბაინდურაშვილსაც უყოყმანოდ ჩავწერდით.

**ირაკლი თავაძე**

| ჰამბურგი. 22-24 თებერვალი. |
|---|
| **60 კგ.** |
| 1. ლუდვიგ პაიშერი (ავსტრია) |
| 2. ტადაჰირო ნომურა (იაპონია) |
| 3. ჰოვანეს დავთიანი (სომხეთი) |
| 3. ბოლდბაატარ იონდონ ჩიმედი (მონგოლ.) |
| **66 კგ.** |
| 1. ოსკარ პენიასი (ესპანეთი) |
| 2. მიკლოშ უნგვარი (უნგრეთი) |
| 3. საშა მეჰმედოვიჩი (კანადა) |
| 3. არმენ ნაზარიანი (სომხეთი) |
| **73 კგ.** |
| 1. ელნურ მამადლი (აზერბაიჯანი) |
| 2. დიკ ვან ტიხელტი (ბელგია) |
| 3. რასულ ბოკიევი (ტაჯიკეთი) |
| 3. ლეანდრო გილეირო (ბრაზილია) |
| **81 კგ.** |
| 1. კიმ ჯა-ბუმი (კორეა) |
| 2. ალიაზ სედევჩი (სლოვენია) |
| 3. ჟოაო ნეტო (პორტუგალია) |
| 3. ტიაგო კამილო (ბრაზილია) |
| **90 კგ.** |
| 1. ჰიროში იზუმი (იაპონია) |
| 2. სერგეი აშვანდენი (შვეიცარია) |
| 3. ვალენტინ გრეკოვი (უკრაინა) |
| 3. ხურშიდ ნაბიევი (უზბეკეთი) |
| **100 კგ.** |
| 1. ჰენკ გროლი (ჰოლანდია) |
| 2. ბენიამინ ბერლა (გერმანია) |
| 3. კეიძი სუძუკი (იაპონია) |
| 3. ელკო ფან დერ ხესტი (ჰოლანდია) |
| **+100 კგ.** |
| 1. იასუიუკი მუნეტა (იაპონია) |
| 2. აბდულო ტანგრიევი (უზბეკეთი) |
| 3. გრიმ ვუისტერსი (ჰოლანდია) |
| 3. ალექსანდრ მიხაილინი (რუსეთი) |

## ჭადრაკი



მირანდა მიქაძე

საქართველოს ჩემპიონატი. U 20

### მიქაძე და სანიკიძე?

ამ უქმეებზე ოცწლამდელთა ჩემპიონატში ორი ტური გაიმართა - მეშვიდე და მერვე.

ცხადია, რომ ბევრი რამ შეიცვალა, მაგრამ მთავარი კითხვის პასუხი, თუ ვინ გახდება ჩემპიონი, ჯერ ვერ მივიღეთ. წერტილს ბოლო ტური დასვამს. იქამდე მოგახსენებთ იმ ვითარების შესახებ, რაც ბოლო ტურის წინ შეიქმნა.

გოგონებში ყველაზე მეტად **მირანდა მიქაძემ** იხეირა: ორივე პარტია მოიგო და 7 ქულით ერთპიროვნული ლიდერი გახდა. გუშინ მან თეთრებით **ეკა გოგლიძე** დაამარცხა და ნახევარქულიანი უპირატესობა შეიქმნა. მას კვალში 6,5 ქულით ორი მდევარი უდგას: **ბელა ხოტენაშვილი** და **მაკა ფურცელაძე**. ამათ, გასაგებ მიზეზთა გამო, ბოლო ტურში მოგება სჭირდებათ, მაგრამ ეჭვი გვაქვს, რომ მიქაძე მაინც იპირველებს - მისი მეტოქე, **მადონა ბოკუჩავა** 5 ქულით ხვდება ბოლო ტურს და რომც მოიგოს, ვერაფერს შეწვდება, ამიტომაც მირანდასთან ყაიმსაც იოლად უნდა დაჰყაბულდეს. თუმცა ვერაფერს დავამტკიცებთ და შესაძლოა, მადონას თავისი ანგარიშები ჰქონდეს. თავის მხრივ, ბელა ხოტენაშვილსა და მაკა ფურცელაძეს მოგება სჭირდებათ და მცდელობას არ დააკლებენ, სხვა საქმეა, გამოუვათ თუ არა.

არანაკლები ინტრიგა ახლავს ვაჟთა ჩემპიონატს, აქაც თითქმის ცნობილია ჩემპიონი - **თორნიკე სანიკიძე** 6.5 ქულით ერთპიროვნულად ლიდერობს და ხვალ ყაიმიც ჰყოფნის. დიდი შანსია, თორნიკემ უმცროს კოლეგას ყაიმი თავიდანვე შესთავაზოს და ალბათ, არც **ირაკლი ბერაძე** იქნება წინააღმდეგი - რეიტინგშიც წაადგება და საბოლოო ცხრილშიც საპატიო ადგილს დაიკავებს. მართალია, მდევრებს დაწევა შეუძლიათ, მაგრამ კოეფიციენტი თორნიკეს უკეთესი აქვს და ამ შემთხვევაში გამარჯვებული მაინც სანიკიძე გამოვა.

თორნიკეს ნახევარი ქულით 4 მოჭადრაკე ჩამორჩება; მართალია, ისინი პირველობისთვის იბრძვიან, მაგრამ როგორც ზემოთ მოგახსენეთ, კვარცხლბეკზე ეს ადგილი დაკავებულია. მთავარი ბრძოლა მეორე ადგილისთვის იქნება, და ვინ ვის აჯობებს, არავინ იცის...

ბოლო ტურში: ვაჟები: **თორნიკე სანიკძე (6,5)-ირაკლი ბერაძე (5); დავით ბენიძე (6)-შოთა აზალაძე (6); ნიკა ვოლკოვი(5)-ლუკა პაიჭაძე (6); ზვიად ფაცია (4,5)-გაიოზ ნიგალიძე(6).**

გოგონები: **მადონა ბოკუჩავა (5)-მირანდა მიქაძე (7); ბელა ხოტენაშვილი(6,5)-ანა მეძმარიაშვილი(5); ლელა უგულავა(5)-მაკა ფურცელაძე(6,5); ეკა გოგლიძე(4,5)- სალომე ხაჟომია(4,5).**

**ზვიად შათირიშვილი**

### ხეირი მხოლოდ გიორგიმ ნახა...

**შაბათს**, მოსკოვში დასრულდა "აეროფლოტის" საერთაშორისო ტურნირი და როგორც აღმოჩნდა, ქართველებს მცირე სარგებელი შეგვხვდა: ა-2 ტურნირში **გიორგი ყაჭეიშვილმა** მესამე-მეხუთე ადგილები გაიყო, კოეფიციენტით მეხუთე ადგილი ერგო და საკმაოდ კარგი ფულადი პრიზიც შეხვდა - დაახლოებით 3000 დოლარი. სამწუხაროდ, **ბაადურ ჯობავამ** საკუთარ შესაძლებლობაზე ბევრად ცუდად ითამაშა და მხოლოდ 27-ე ადგილზე დაასრულა ტურნირი. ჯობავა საბოლოოდ 5 ქულას დასჯერდა...

ადრევე მოგახსენეთ, რომ ბ ჯგუფში **ნაზი პაიკიძემ** კარგად იასპარეზა და მეთვრამეტე ადგილზე გავიდა, რითაც რეიტინგში წინსვლა გაინაღდა. რეიტინგში ყაჭეიშვილიც მოიმატებს, მაგრამ ამ კუთხით დანაკლისი ექნება ჯობავას, თუმც იმედი გვაქვს, რომ "მოსკვა-ოუფენზე" მოხვეჭილი ქულები გარკვეულ კომპენსაციას მისცემს საქართველოს უპირველეს მოჭადრაკეს...

ბოლოს გეტყვით, რომ ა-1 ჯგუფში პირველ ადგილზე რუსი **ივან ნეპომნიაშჩი** გავიდა - მან 7 ქულა დააგროვა; ა-2 ჯგუფში კი პირველი ადგილი **მარატ ასკაროვმა** დაიკავა -მანაც 7 ქულა დააგროვა.

**ზვიად შათირიშვილი**

### განცხადება

**სამშაბათს, 26 თებერვალს, 13 საათზე, ლეილა მესხის სახელობის ჩოგბურთის აკადემიაში გაიმართება პრესკონფერენცია, საქართველოს ჩოგბურთის ფედერაციისა და მისი მთავარი სპონსორის, "რაკიინ დეველოპმენტის" სამომავლო ურთიერთობის თაობაზე.**

*საქართველოს ჩოგბურთის ფედერაციის პრესცენტრი*

## თარიღი

**ილურიძე ვასილ. 25.02.1925, თბილისი - 17.03.1972, მოსკოვი. თავისუფალი ჭიდაობა (61 კგ). სსრკ პირველ ჩემპიონატში გამარჯვებული (1945), სსრკ ჩემპიონატების სამგზის მეორე (1948, 51, 52) და ოთხგზის მესამე (1947, 49, 50, 54) პრიზიორი თავისუფალ ჭიდაობაში, მეორე პრიზიორი (1947) ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში, საერთაშორისო სტუდენტური თამაშების ორგზის ჩემპიონი (1949, 51), ბუდაპეშტის საერთაშორისო ტურნირში გამარჯვებული (1952), სსრკ ნაკრების წევრი (1945-52). იყო საქართველოს თავისუფალი სტილით მოჭიდავეთა ნაკრების უფროსი მწვრთნელი და სსრკ ნაკრების მწვრთნელი (1960-68). მისი აღზრდილები არიან ვლადიმერ რუბაშვილი და შოთა ლომიძე. სსრკ დამსახურებული მწვრთნელი, საერთაშორისო კატეგორიის მსაჯი.**

საქართველოს XVI ჩემპიონატი. XVIII ტური

# სტუდენტური გადაფრენა

**24 თებერვალი. სპორტის სასახლე**

**დინამო-ვითა 83:100**

18:33, 16:11, 23:26, 26:30

დინამო: გულისაბედაშვილი (18 ქ, 6მ, 3ჩ), ნანიტაშვილი, ჟლენტი (7ქ, 7პ), ლაფანაშვილი (11ქ, 3პ, 4ჩ), კუჭავა, სიგუა (8ქ, 4პ), მაისურაძე (7ქ), ათანელიშვილი (20ქ), ახალკაცი (12ქ, 5მ)

ვითა: მარხვაშვილი (19ქ, 5მ, 7პ, 3ჩ), ნ. ნოზაძე (5ქ), ბეჟანიშვილი (14ქ, 11მ, 6პ), მ. ბერიშვილი (15ქ, 4დ), ბერძენიშვილი (19ქ, 5მ), ნივნივაძე (13ქ, 5პ. 3ჩ), გვიმრაძე (11ქ), ძიძიგური (3ქ), ლ. ნოზაძე

მსაჯები: მ. კუპატაძე, გ. მიქელაძე

**ავიამშენი-თსუ 77:85**

22:22, 27:18, 17:24, 11:21

ავიამშენი: ხოშტარია (12ქ, 3პ), ნიკოლაძე (15ქ), კვიმსაძე (1ქ, 6პ), ტულუში (7ქ, 6მ, 6პ), ნინიაშვილი (16ქ), მათიაშვილი (12ქ, 20მ, 3პ, 3ჩ, 2დ), მინაშვილი (14ქ), შანიძე, როდუმტა

თსუ: არნივიძე (3ქ, 4ჩ), ფანჩულიძე (9ქ), დ. ბერიშვილი (13ქ, 3პ, 7მ), ბარბაქაძე (12ქ, 7მ, 5ჩ), კოხრეიძე (3პ), ყველაშვილი (15ქ, 11მ, 2დ), კეიდია (6ქ), ხეცურიანი (19ქ, 3პ, 2დ), ტყეშელაშვილი (6ქ, 5მ), ხიზანიშვილი (2ქ)

მსაჯები: ზ. მაჩალაძე, დ. ბერეკაშვილი

**მაკაბი-ენერჯი 63:72**

15:22, 18:14, 17:17, 13:19

მაკაბი: სორდია (8ქ), გ. შერმადინი (43ქ, 21მ, 5პ, 2დ), პირველაშვილი (2ქ, 11მ, 6პ, 4ჩ), კორკოტაძე (3პ), კოლუაშვილი (2ქ, 7მ), ს. შერმადინი (6ქ, 10მ), ჯიქია (2ქ)

ენერჯი: ჩიტაშვილი (5პ, 4ჩ), ბაბიაშვილი (29ქ), სტეფანოვი (15ქ, 7მ), ბოისა (4ქ, 7მ, 3პ, 3ჩ), დიდია (3ქ), ლეჟავა (4ქ, 6პ), გოგობერიშვილი (9ქ), ტუჯანი (6ქ), ჭოჭუა (2ქ, 5მ, 4პ)

მსაჯები: დ. ბერეკაშვილი, ხ. გაბედავა

| | თ | მ | წ | ქ |
|---|---|---|---|---|
| 1. ენერჯი | 18 | 15 | 3 | 33 |
| 2. თსუ | 18 | 11 | 7 | 29 |
| 3. ავიამშენი | 18 | 9 | 9 | 27 |
| 4. ვითა | 18 | 8 | 10 | 26 |
| 5. დინამო | 18 | 7 | 11 | 25 |
| 6. მაკაბი | 18 | 4 | 14 | 22 |

**გუშინ სპორტის სასახლეში მე-18 ტურის სამი მატჩი გაიმართა. ცენტრალურ შეხვედრაში თსუ-მ "ავიამშენი" ბოლო წუთებზე დაამარცხა, "ვითამ" კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ ფორმაში ნელ-ნელა შედის, ხოლო "მაკაბიმ" გიორგი შერმადინის დახმარებით ღირსეული წინააღმდეგობა გაუწია ერთპიროვნულ ლიდერ "ენერჯის".**

დავიწყოთ ცენტრალური შეხვედრით. თსუ-მა და "ავიამშენმა" ბოლო წუთებამდე თანაბარი თამაში გააჩაღეს. ანგარიშში სხვაობა 8-10 ქულამდე მერყეობდა. წინასწარ ცხადი იყო, რომ შეხვედრის ბედი ბოლო წუთებზე უნდა გადაწყვეტილიყო. ასეც მოხდა: საფინალო სირენას 1:23 წუთი უკლდა, როცა თსუ ერთი ქულით იგებდა - 75:74. სწორედ ამ დროს ბოლომდე გაიხსნენ სტუდენტთა კაპიტანი **შიო ხეცურიანი** და მეფარე **გიორგი ყველაშვილი**. ჯერ შიომ ზუსტი პასით სასროლ პოზიციაზე გაიყვანა ყველაშვილი, რომელმაც ზუსტად სტყორცნა, შემდეგ ხეცურიანმა ოქროს ჩაჭრა მიითვალა და - 79:74. ამ ეპიზოდში "ავიას" მწვრთნელმა **ლევან მოსეშვილმა** წუთშესვენება აიღო და მატჩის დასრულებამდე 56 წამით ადრე თამაშის დალაგებას შეეცადა. მოედანზე დაბრუნებულმა "ავიატორებმა" მეტოქის კალათზე გადამწყვეტი იერიში მიიტანეს, ჯერ **კოტე ტულუშმა** ააცილა სამქულიანი, ფარიდან ასხლეტილი ბურთი **გიორგი ნიკოლაძემ** მოხსნა, მაგრამ მანაც არაზუსტად ისროლა და ბურთს **გიორგი ყველაშვილი** დაეპატრონა. ამის შემდეგ "მფრინავები" იძულებულნი გახდნენ განზრახ ჯარიმებისთვის მიემართათ, მაგრამ იმავე ყველაშვილმა და **დავით ბერიშვილმა** საჯარიმო ხაზიდან სხვაობა მიუწვდომელი გახადეს. 85:77 - თსუ-ს სასარგებლოდ.

შეხვედრაზე არანაკლებ საინტერესო იყო სტატისტიკა: "ავიამ" 60 ორქულიანი ისროლა და 27 ჩააგდო (45 პროცენტი), ხოლო თსუ-მ 14-ით ნაკლები (46) ორქულიანი სტყორცნა და 24 გამოიყენა. პერიმეტრიდან სროლა კი ორივე გუნდს გაუჭირდა, მიზანში მხოლოდ 3-3 მოარტყეს. სხვა ყველა კომპონენტში, გარდა შეცდომებისა თითქმის თანაბარი მდგომარეობა იყო. რაც შეეხება შეცდომებს, აქ "ავიამ" თსუ-ს 21:16 "აჯობა".

"დინამოს" ვერ დაეხმარა ნაკრების ნევრი **ვიქტორ სანიკიძე**, რომლის გარეშე **ზაზა ცაგარეიშვილის** შეგირდებს ფორმაში შესული "ვითას" ძლევა ძალიან გაუჭირდათ. **ზურაბ ტომარაძის** გუნდმა ტრადიციულად მაღალ დონეზე ჩაატარა პირველი მეოთხედი და მეტოქეს 33:18 აჯობა. აქამდე, ვითელებს მოპოვებული უპირატესობის შენარჩუნება ყოველთვის უჭირდათ, რადგან ძირითად, გამოდილ ხუთეულს ბოლოს დაღლილობა ეტყობოდა. ბოლო დროს კი გამოცდილ **ვაკო ბეჟანიშვილს, დავით ბერძენიშვილსა და გიორგი მარხვაშვილს** კარგად ცვლიან ახალგაზრდა მოთამაშეები, შესაბამისად გამოცდილებსაც დასვენების საშუალება ეძლევათ და ენერგიას ბოლო წუთებამდე ინარჩუნებენ. ამიტომაც იყო, რომ დასვენებულმა **ბერძენიშვილმა, ბეჟანიშვილმა** (13 ქულა, 11 მოხსნა, 6 შედეგიანი გადაცემა) და **გიორგი მარხვაშვილმა** შესაძლებლობები სრულად გამოავლინეს. მათ სათანადოდ დაეხმარნენ ახალგაზრდები დავით გვიმრაძე, **მიხეილ ბერიშვილი** და **ბექა ნივნივაძე**. "ვითას" გამარჯვების საწინდარი პერიმეტრიდან ტყორცნების მაღალი პროცენტული მაჩვენებელი იყო - 28-დან 15 ჩააგდეს (53,6 პროცენტი). "დინამომ" 35-დან მხოლოდ 9 სამიანი გამოიყენა.



თსუ-ს კაპიტანი შიო ხეცურიანი

რუსთავის "ენერჯის" "მაკაბისთან" წინა ტურის მატჩი ჰქონდა ნაგებული და, ცხადია, გუშინდელი შეხვედრისთვის მაქსიმალურად მოემზადებოდა. ეს მატჩის პირველმა წუთებმაც დაადასტურა, "ენერჯი" 9:2 დაწინაურდა, თუმცა, ამ ეპიზოდის შემდეგ გამოფხიზლდა "მაკაბის" ლიდერი **გიორგი შერმადინი**. მისი შეჩერება რუსთაველ მეფარეებს აშკარად გაუჭირდათ, ეს ჯარიმების რაოდენობაზეც აისახა - **სტეფანოვმა და ბაბიაშვილმა** 4-4 ფოლი მიიღეს, ხოლო **ტუჯანი** ჯარიმების მაქსიმალური რაოდენობის გამო შეხვედრას ნაადრევად გამოაკლდა. ...მაგრამ ერთი კაცის 43 ქულა გამარჯვებისთვის საკმარისი არ გამოდგა - "ენერჯიმ" გადამწყვეტ რაუნდში პარიმეტრიდან სროლის მიზანი გაისწორა (8-დან 4 სამიანი სწორედ ბოლო მეოთხედში ჩააგდო), ბაბიაშვილის და გოგობერიშვილის სამქულიანებმა სტუმრებს 72:63 გაამარჯვებინა.

ამ მატჩის სტატისტიკის საინტერესო ციფრებსაც გადავხედოთ: "მაკაბიმ" "ენერჯის" ორ კომპონენტში აშკარად აჯობა - მოხსნებში (59:40) და შეცდომებში (31:14).

**ტურის მოთამაშედ** თსუ-ს გამარჯვების ერთ-ერთი შემოქმედი გიორგი ყველაშვილი დასახელდა: 24 წუთი, 15 ქულა, 11 მოხსნა, 2 დაფარება.

**ვაჟა სიმონიშვილი**

კადეტთა ნაკრები.

# ბოლო ადგილზე

**საქართველო-პოლონეთი 51:71**

17:21, 17:16, 8:18, 9:16

საქართველო: მაღრაძე (4ქ), გურაბანიძე (2ქ), ჯავახიშვილი (7ქ), ტეტელაშვილი (7ქ), ბოქოლიშვილი (12ქ), ელიაძე (7ქ, 5მ), ჩერქეზიშვილი (7ქ), თენეიშვილი (3ქ, 5მ), ალხანაიძე (1ქ), შარაბიძე (1ქ), სანაძე, მეხრიშვილი

პოლონეთი: ბარზუკი (14ქ), ბარტოშევსკი (13ქ, 16მ)...

**საქართველო-უკრაინა 57:75**

12:13, 15:17, 11:22, 19:23

საქართველო: მაღრაძე, გურაბანიძე (11ქ, 4პ), ჯავახიშვილი (9ქ), ტეტელაშვილი (5ქ), ბოქოლიშვილი (16ქ), ელიაძე (8ქ, 9მ), ჩერქეზიშვილი, თენეიშვილი (6ქ, 6მ, 4ჩ), კაკაურიძე (1ქ), ალხანაიძე (1ქ), მელაძე

უკრაინა: ბოროვი (25ქ, 11მქ), მიშულა (19ქ, 7მ)...

**საქართველოს კადეტთა ნაკრებმა თურქეთის საერთაშორისო ტურნირი დაასრულა. ჩვენი 16-წლამდელები 12 მონაწილეს შორის მეთორმეტე ადგილზე გავიდნენ - შვიდივე შეხვედრა დათმეს.**

ბოლო ორ დღეს გელა წულაძის შეგირდები უკრაინას, ხორვატიასა და პოლონეთთან ერთად მეცხრე-მეთორმეტე ადგილების მფლობელის ვინაობას არკვევდნენ, ჯერ პოლონეთს დაუპირისპირდნენ, რომელთან გამარჯვების შემთხვევაში მეცხრე-მეათე ადგილებისთვის მოუწევდათ ბრძოლა. სამწუხაროდ სლავებთან მატჩი ზუსტად 20 ქულის სხვაობით დავთმეთ.

ამიტომ მოგვიწია მეთერთმეტე-მეთორმეტე ადგილებისთვის უკრაინასთან დაჭიდება. სხვათა შორის, ჯგუფურ ეტაპზე ქართველები გამარჯვებასთან ყველაზე ახლოს სწორედ უკრაინელებთან იყვნენ, მაგრამ დამატებით დროში დამარცხდნენ. ამჯერად უკრაინელებს ჩვენს დასაჯაბნად ოვერტაიმი აღარ დასჭირვებიათ, სარკისებურად, 75:57 მოგვიგეს და მეთორმეტე ადგილს დაგვაჯერეს.

ქართველ კადეტებს შვიდიდან ერთი მატჩიც რომ მოეგოთ, საერთაშორისო საზოგადოების თვალში შედარებით კარგად გამოვჩნდებოდით, ფსიქოლოგიური თვალსაზრისითაც ძალიან წაგვადგებოდა, მაგრამ რას ვიზამთ, რიგ მიზეზთა გამო ევროგრანდებს თვალს ვერ ვუსწორებთ. თურქეთიდან დაბრუნებული მწვრთნელები ტურნირის მსვლელობას უკეთ შეაფასებენ, თუმცა აქ ორიოდე სიტყვას ამ მიზეზებზე ვიტყვით.

პირველი - იტალია, თურქეთი, ესპანეთი... ასეთი დონის ნაკრებებთან ნატურალური ასაკით რაიმე წარმატებაზე ფიქრი წარმოუდგენელია. თურქეთში სწორედ საუკეთესო ევროპული გუნდები იყვნენ თავმოყრილნი.

მეორე - მწვრთნელმა **გელა წულაძემ** არაერთხელ გაამახვილა ყურადღება ჩვენს ჩამორჩენას ფიზიკურ მომზადებაში. ეს აშკარად გამოჩნდა ზედიზედ ჩატარებული რამდენიმე მატჩის შემდეგ - როცა ენერგია გვქონდა, უკრაინასთან ფრედ ვითამაშეთ, ბოლოს კი ვერაფერი მოვუხერხეთ. გაყინულ დარბაზებში ქართველი ახალგაზრდები ფიზიკურ წვრთნას ყურადღებას ნაკლებად უთმობენ... არადა, თუნდაც სლოვენიაში 13-14 წლისებს მაქსიმალურად ტვირთავენ, რის გამოც გასლიკულ ქართველებთან შედარებით ნებისმიერი მეტოქე ჩამოყალიბებულ კალათბურთელს ჰგავს.

და მესამე - საქართველოს 16-წლამდელთა ნაკრებს ტანმაღლების პრობლემა აქვს. ეს წასვლემდეც შესამჩნევი იყო და უშუალოდ მატჩებისასაც - თურქეთში თითქმის ყველა შეხვედრაში მოხსნებში მოწინააღმდეგეებმა გვაჯობეს.

**ვაჟა სიმონიშვილი**

გამოხმაურება

# მართლა გვიბრუნდება მეცნიერება?

"ლელოს" 22 თებერვლის ნომერში, "მთავარი რედაქტორის სვეტში" გამოქვეყნებულმა წერილმა "მეცნიერება გვიბრუნდება", უმალვე გამოიწვია ცხოველი ინტერესი საზოგადოებაში, განსაკუთრებით, რამდენიმე თაობის იმ ადამიანებში, რომლებიც წილნაყარნი სპორტის მეცნიერებასთან არიან. სიხარული, გაოცება და, მთავარი კითხვა - "მართლა"? აი, რა დომინირებდა სატელეფონო საუბრებში. განსაკუთრებით აქტიურობდნენ დარბაისელი ადამიანები, რომლებსაც მეცნიერებაში არაერთი ათეული წელიწადი უღვაწიათ, რათა წინ წაეწიათ თავიანთი წვლილით ქართული სპორტი. რატომ ჩნდება ეჭვი და კითხვა, რომელიც ეს-ესაა ვახსენეთ?

"ლელოსთვის" სულაც არ არის უცხო, როცა მკითხველი სრულყოფილ ინფორმაციას ჩვენგან მოელის. ნდობა ტრადიციულა. გარანტიის გაცემა კი, ცხადია, ჩვენი საქმე არ არის და არც არასდროს ყოფილა. თუმცა, მზად მუდამ ვიყავით და ვართ დღესაც, საკუთარი წვლილი შევიტანოთ ყველა სასიკეთო საქმეში. ესეც, "ძველია, არ ახალია"...

როგორც პრეზიდენტმა **მიხეილ სააკაშვილმა** ქვეყნის სამეცნიერო წარმომადგენლებთან შეხვედრაზე თქვა: "საქართველოში წლების განმავლობაში გაჩანაგდა ლაბორატორიები, ინსტიტუტები, ცენტრები, რომლებიც ათეული წლების განმავლობაში იქმნებოდა". ზემოხსენებულ წერილში, ამ თემასთან დაკავშირებით, არ გვიხსენებია სპორტის აკადემია, რომელიც უთუოდ შედის "გაჩანაგებულთა" ჩამონათვალში. გვისაყვედურეს, ზეწოლას განიცდით ალბათ, თორემ სპორტის აკადემიას უთუოდ მოიხსენიებდითო. არავითარი ზეწოლა! ის პუბლიკაცია თემის წამოწევისთვის დაგვჭირდა. ღიად, აგერ, ახლა ვწერთ სპორტის აკადემიაზე და, ვფიქრობთ, ზეწოლის ეჭვებიც გაქარწყლდება. რა თქმა უნდა, ის არ არის მთავარი, რომელ შენობაში დაიდებს ბინას სპორტის აკადემია, არამედ ის, რომ დაიბრუნოს სტატუსი, შეიქმნას სასწავლო და სამეცნიერო მუშაობის ნორმალური პირობები. სასწავლებლის მონაპოვარი, ტრადიციები, ღირსება არ დაიკარგოს, გაგრძელდეს მემკვიდრეობა. და, ისევ პრეზიდენტის სიტყვებს მოვიშველიებთ, რომელიც თითქოს საგანგებოდ სპორტის აკადემიაზეა ნათქვამი: "ჩვენ გვაქვს ჯერ კიდევ დიდი პოტენციალი. ჩვენ უნდა შევქმნათ სტიმული და უპერსპექტივობის განცდა ერთხელ და სამუდამოდ უნდა დამთავრდეს. პირიქით, ადამიანები, ვინც გულით აკეთებენ საქმეს, მაქსიმალურად უნდა ავუბათ მხარი". დიახ, სპორტის აკადემიაში პოტენციალიც არის და ადამიანებიც მზად არიან კვლავ ერთგულად ემსახურონ სამეცნიერო საქმეს. ოღონდ, სტიმული, უპერსპექტივობის განცდის დაძლევა და მხარში დგომაა საჭირო. ესეც უთუოდ იქნება და, ვფიქრობთ, კითხვა: "მართლა გვიბრუნდება" თუ არა მეცნიერება, ეჭვქვეშ აღარ დადგება.

პროფესორი **შოთა ბუაძე** მართალია, როცა გვეუბება: "თქვენს მიერ ხსენებულ იმ სამეცნიერო-კომპლექსურ ჯგუფებში, რომლებიც მხარში ედგნენ ნაკრები გუნდების მწვრთნელებს და მათ სპორტსმენთა დაფარული რეზერვების გამოვლენაში ეხმარებოდნენ, აბსოლუტური უმრავლესობა სპორტის აკადემიის თანამშრომლები იყვნენ. სწორედ ამ უმაღლესი სასწავლებლის სამეცნიერო კაბინეტებსა და ლაბორატორიებში მუშავდებოდა ახალი მეცნიერული გამოკვლევები".

ზეწოლის მცდელობაში კიდევ ვინმე რომ არ დაეჭვდეს, ახლა, პირიქით, გნებავთ, ჩვენი მხრიდან ჩათვალეთ "ზეწოლად": უმორჩილესად ვთხოვთ სპორტის აკადემიის ხელმძღვანელობას, შეიქმნას აკადემიაში სამეცნიერო მუშაობის აღდგენისა და პერსპექტივის შემსწავლელი ჯგუფი, დაიდოს დასკვნა და მივხედოთ საქმეს. საამისოდ ქვეყნის მასშტაბით ხელისუფლების ნება დაფიქსირებულია. ჩვენ გასაკეთებელს კი სხვა არ ან ვერ გააკეთებს.

**თენგიზ გაჩეჩილაძე,**
*"ლელოს" მთავარი რედაქტორი, სპორტის აკადემიის ასოცირებული პროფესორი*



# ატლანტამ მოიგო!

გასულ უქმეებზე ზაზა ფაჩულიას "ატლანტამ" ორი გასვლითი შეხვედრა ჩაატარა. პირველში "გოლდენ სტეიტი" 117:110 დაამარცხა, ხოლო მეორეში "იუატსან" 94:100 დათმო.

მკითხველს შევახსენებთ, რომ "გოლდენ სტეიტ უორიორზთან" გამარჯვება "ჰოქსისთვის" 8 თებერვლის შემდეგ პირველი წარმატება იყო. თუმცა, მომავალ კვირიდან ჯორჯიელებს 4 საშინაო მატჩი ელით და მოგებათა რაოდენობაც უნდა გაზარდონ.

ზაზა ფაჩულიამ "უორიორზთანა" და "იუტა ჯაზთან" ორი იდენტური მატჩი ჩაატარა, ორივეში თითო ორქულიანი, 2 საჯარიმო ჩააგდო და 4-4 ქულას მოუყარა თავი. პირველ შეხვედრაში 4 ბალს 3 მოხსნა და 1 შედეგიანი გადაცემა მიამატა (10 წუთში), ხოლო მეორეში - 2 მოხსნა და 1 ჩაჭრა (14 წუთში).

მომდევნო შეხვედრას "ატლანტა" 25 თებერვალს "სან ანტონიოს" წინააღმდეგ ჩაატარებს.

**ვახტანგ ტყეშელაშვილი**

## ჭადრაკი

### ლინარესის ტურნირი

VI ტური: ლევონ არონიანი (სომხეთი)-პეტერ ლეკო (უნგრეთი) 0.5:0.5; ალექსეი შიროვი (ესპანეთი)-ვასილი ივანჩუკი (უკრაინა) 0.5:0.5; თეიმურ რაჯაბოვი (აზერბაიჯანი)-მაგნუს კარლსენი (ნორვეგია) 1:0; ვიშვანათან ანანდი (ინდოეთი)-ვესელინ ტოპალოვი (ბულგარეთი) 0.5:0.5.

VII ტური: ვესელინ ტოპალოვი (ბულგარეთი)-პეტერ ლეკო (უნგრეთი) 1:0; მაგნუს კარლსენი (ნორვეგია)-ლევონ არონიანი (სომხეთი) 1:0; ვიშვანათან ანანდი (ინდოეთი)-ვასილი ივანჩუკი (უკრაინა) 0.5:0.5; ალექსეი შიროვი (ესპანეთი)-თეიმურ რაჯაბოვი (აზერბაიჯანი)- 1:0.

სატურნირო მდგომარეობა: 1. ვიშვანათან ანანდი (ინდოეთი) - 4.5 ქულა; 2-3. ვესელინ ტოპალოვი (ბულგარეთი), ალექსეი შიროვი (ესპანეთი) - 4; 4-5. მაგნუს კარლსენი (ნორვეგია), ლევონ არონიანი (სომხეთი) - 3.5; 6-7. თეიმურ რაჯაბოვი (აზერბაიჯანი), ვასილი ივანჩუკი (უკრაინა) - 3; 8. პეტერ ლეკო (უნგრეთი) - 2.5.

## კალათბურთი

### ფინიქსი ბერის ეპატიჟება

"ფინიქს სანზის" ხელმძღვანელობამ "სან ანტონიოს" მცველს, **ბრენტ ბერის** დაადგა თვალი. თავის დროზე, "სპურსში" გადასვლამდე ამ კალათბურთელის კონტრაქტი "სიეტლ სუპერსონიქსმა" გამოისყიდა.

ბერი 26 თებერვალს თავისუფალი აგენტი ხდება, რის შემდეგაც მას ნებისმიერ კლუბთან შეეძლება კონტრაქტის გაფორმება. "ფინიქსის" გარდა, მცველის გადაბირებით NBA-ის რამდენიმე კლუბია დაინტერესებული. ბერისთან კონტრაქტის გახანგრძლივება თავად "სან ანტონიოსაც" სურს.

ალსანიშნავია, რომ ბერი ტრავმის გამო თვეზე მეტია არ გასულა მოედანზე.

### ბიედრინსს ბრმა ნაწლავი ამოაჭრეს

"გოლდენ სტეიტ უორიორზს" გარკვეული პერიოდი თავისი ძირითადი ცენტრის, **ანდრის ბიედრინსის** გარეშე მოუწევს თამაში. ლატვიელმა კალათბურთელმა ბრმა ნაწლავის ოპერაცია გაიკეთა. კალიფორნიული კლუბის ხელმძღვანელთა ცნობით, ოპერაციამ ყოველგვარი გართულების გარეშე ჩაიარა.

ჯერჯერობით უცნობია, როდის დაუბრუნდება მოედანს ბიედრინსი, რომელიც ამ სეზონში საშუალოდ 10.3 ქულასა და 9.7 მოხსნას აგროვებს.

### ჯერალდ უოლასს ტვინის შერყევა აქვს

"შარლოტ ბობკეტსისა" და "საკრამენტო კინგზის" შეხვედრაში მესამე ხარისხის ტვინის შერყევა მიიღო "შარლოტის" ერთ-ერთმა ლიდერმა **ჯერალდ უოლასმა**. ფორვარდმა თამაში მას შემდეგ შეწყვიტა, რაც მეტოქე ცენტრის, **მიკი მურის** იდაყვი მოხვდა თავში.

უოლასი სასწრაფოდ გადაიყვანეს საავადმყოფოში დეტალური სამედიცინო გამოკვლევის ჩასატარებლად. საბედნიეროდ, კალათბურთელს მოტეხილობა და სისხლჩაქცევები არ აღენიშნება, თუმცა სავარაუდოდ, უოლასს მინიმუმ ორი კვირით აუკრძალავენ მოედანზე გასვლას.

წელს, ჯერალდი თავის საუკეთესო სეზონს ატარებს. ამ უნივერსალური კალათბურთელის ანგარიშზე საშუალოდ 20.9 ქულა, 6.2 მოხსნა, 3.6 შედეგიანი პასი, 2.3 ჩაჭრა და 1 დაფარება მოდის.

### დალასი მაგლოირს იმატებს?

"დალას მავერიქსი" აქტიურად ეძებს ცენტრალურ თავდამსხმელს, რომელმაც კლუბის ხელმძღვანელთა ჩანაფიქრით, "ნიუ ჯერსიში" ტრეიდის შედეგად გადასული **დესაგანა დიოპი** უნდა შეცვალოს.

ყველაზე რეალურ კანდიდატად **ჯამალ მაგლოირი** ითვლება, რომლის კონტრაქტიც "ნიუ ჯერსიმ" ორი დღის წინათ გამოისყიდა და ახლა ეს ცენტრი თავისუფალი აგენტი გახდა.

### ფედერაციამ ახალი კალათბურთი დააკანონა

კალათბურთის საერთაშორისო ფედერაციამ (FIBA) ოფიციალური სტატუსი მიანიჭა კალათბურთის ნაირსახეობას, რომელსაც პირობითად "სამი სამზე თამაში" ჰქვია.

მოკლედ ამ თამაშის შესახებ შემდეგის თქმა შეიძლება: ორი გუნდის ექვს მოთამაშეს სტანდარტული საკალათბურთო მოედნის ნახევარზე უწევს თამაში, მოედანზე მხოლოდ ერთი ფარია, ხოლო შეტევისთვის განკუთვნილი დრო 14 წამს შეადგენს.

კალათბურთის ახალ სახეობაში პირველი საერთაშორისო ტურნირი ახალგაზრდებს შორის ოლიმპიური თამაშები იქნება, რომელიც 2010 წელს სინგაპურში გაიმართება.

### ინდიანელები თამაშს არ აპირებენ

ინდიანას უნივერსიტეტის ექვსი მოთამაშე, მათ შორის გუნდის ლიდერი **დიჯეი უაიტი**, უარს აცხადებს თავიანთი გუნდის რიგებში თამაშზე. კალათბურთელები 22 თებერვალს არ გამოცხადნენ ვარჯიშზე. ეს მას შემდეგ მოხდა, რაც მთავარი მწვრთნელის პოსტი დატოვა **კელვინ სემპსონმა**.

ინდიანას უნივერსიტეტში სკანდალი მას შემდეგ აგორდა, რაც სტუდენტური ლიგის (NCAA) ხელმძღვანელობამ რამდენჯერმე ამხილა მწვრთნელი "სამართლიანი თამაშის" წესების დარღვევაში. ამის შემდეგ, უნივერსიტეტის მმართველობამ ვადაზე ადრე გაწყვიტა ურთიერთობა სემპსონთან. ამ უკანასკნელს სასამართლოში სარჩელი რომ არ შეეტანა, უნივერსიტეტის ხელმძღვანელობა მწვრთნელს მოელაპარაკა და მისი კონტრაქტი 750 ათას დოლარად გამოისყიდა.

### რეალი კალათბურთელებს კარგავს

ამ კვირას, ევროლიგის მესამე ტურში მადრიდის "რეალს" ვერ დაეხმარება მცველი **ქერემ თუნჩერი**. 28 თებერვალს, თურქი კალათბურთელი "მაკაბის" წინააღმდეგ მუხლის ტრავმის გამო ვერ ითამაშებს.

აქვე შეგახსენებთ, რომ თუნჩერის გარდა, "სამეფო" კლუბს ბერძენი ცენტრი **ლაზაროს პაპადოპულოსიც** დააკლდება, რომელსაც ჯერაც არ მოუშუშებია მარჯვენა ხელის ტრავმა.

### პოლონეთის ნაკრებს ობრადოვიჩი ჩაიბარებს

პოლონეთის კალათბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა **რომან ლიუდვიშჩუკმა** ჟურნალისტებთან საუბარში გაამხილა, რომ ქვეყნის ნაკრებს შესაძლოა, სათავეში ჩაუდგეს ახლო წარსულში სერბეთის ნაკრების ცნობილი კალათბურთელი **საშა ობრადოვიჩი**. პოლონეთმა 2009 წელს ევროპის ჩემპიონატს უნდა უმასპინძლოს და 3[illegible] წლის სერბ სპეციალისტს ამ ტურნირზე წარმატებულ გამოსვლას დაუსახავენ მიზნად. შეგახსენებთ, რომ კონტინენტის შარშანდელ პირველობაზე პოლონეთის ნაკრებმა სამივე მატჩი წააგო: საფრანგეთთან, იტალიასთან და სლოვენიასთან.

იუგოსლავიის ნაკრების მოთამაშის რანგში ობრადოვიჩს მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონატების ოქროს მედლები აქვს მოპოვებული. რაც შეეხება მის სამწვრთნელო კარიერას, სერბმა 2006 წელს "კიოლნს" გერმანიის ჩემპიონატი მოაგებინა.

## ჰოკეი

### NHL. რეგულარული ჩემპიონატი

#### 22 თებერვალი

**დალასი-ედმონტონი 5:2**

1:0. 2:0, 2:2

**გოლები:** 1:0 ლ. ერიქსონი-7 (ი. იოკინენი-12, დელეი-13), 2:0 ი. ლეჰტინენი-9 (მოროუ-32, ი. იოკინენი-13), 3:0 მოროუ-25 (ოტი-10, ნორსტრიომი-6), 4:0 ი. ლეჰტინენი-10, 4:1 პენერი-18 (სემ განიე-26, ჰემსკი-36), 4:2 გლენკროსი-7 (გრებეშკოვი-9), 5:2 მოდანო-17.

**კალგარი-დეტროიტი 1:0**

1:0, 0:0, 0:0

**გოლი:** 1:0 ტანგეი-14.

**ფინიქსი-კოლორადო 2:3 (ბ)**

1:1, 0:1, 1:0, 0:0

**გოლები:** 1:0 რაინპრეხტი-14 (დოუნი-43, ვრბატა-23), 1:1 შჩასტნი-18 (ლეოპოლდი-5, ტეოდორი-1), 1:2 სვატოსი-26 (ჰენანი-16, ბრუნეტი-27), 2:2 დ. მორისი-6 (პ. მიულერი-23, ჟოვანოვსკი-35).

**ბულიტები გაიტანეს:** არნასონი (კოლორადო), ჟ. პერო (ფინიქსი), ლაილსი (კოლორადო), იორკი (ფინიქსი), მაკლეოდი (კოლორადო).

**ანაჰაიმი-სენტ ლუისი 2:1 (ო)**

0:0, 0:0, 1:1, 1:0

**გოლები:** 0:1 რ. ჯონსონი-3 (სტემპნიაკი-23, ჰინოტი-5), 1:1 სელიანე-3 (შნაიდერი-22, ჰასკინსი-12), 2:1 პალსონი-5 (რ. ნიდერმაიერი-7).

#### 23 თებერვალი

**ლოს ანჯელესი-ჩიკაგო 5:6 (ო)**

1:1, 0:4, 4:0, 0:1

**გოლები:** 1:0 ჰაროლდი-1 (ჯულიანო-4, ვიშნოვსკი-26), 1:1 შარპი-28 (კეიტი-15, სიბრუკი-13), 1:2 ჰავლატი-10 (კეინი-15, ლანგი-26), 1:3 ზიუზინი-2 (ლანგი-27, ჰავლატი-17), 1:4 ტეუვზი-18, 1:5 ჯეისონ უილიამსი-8 (ტეუვზი-21, შარპი-17), 2:5 კამალერი-16 (დ. ბრაუნი-20, კოპიტარი-32), 3:5 პრისინგი-6 (კამალერი-22, კოპიტარი-33), 4:5 ო'სალივანი-16 (ჰანძუში-14, ფროლოვი-36), 5:5 კოპიტარი-27 (ფროლოვი-37, კამალერი-23), 5:6 შარპი-29 (სიბრუკი-14, ვიშნიევსკი-15).

**ნიუ ჯერსი-აილენდერსი 4:2**

2:1, 0:1, 2:0

**გოლები:** 0:1 ვაშიჩეკი-13 (ჰილბერტი-8), 1:1 ელიაში-17 (ოდუია-15, პარიზე-30), 2:1 მადენი-17 (მარტინი-22), 2:2 ფედოტენკო-14 (ჰანტერი-25, ნილსენი-1), 3:2 პარიზე-25 (ზაიაცი-19, ბროდო-1), 4:2 ჯონტა-16 (კ. უაიტი-5, ზუბრუსი-21).

**პიტსბურგი-ოტავა 3:4 (ო)**

1:0, 2:2, 0:1, 0:1

**გოლები:** 1:0 სიკორა-20 (მელოუნი-18, რაიან უიტნი-21), 2:0 კ. არმსტრონგი-9 (ტელბოტი-11, სკუდერი-4), 3:0 ტეფი-3 (ჯ. სტაალი-13, სიდორი-8), 3:1 სტილმანი-23 (კელი-15, ვერმეტი-23), 3:2 ჰიტლი-29 (სტილმანი-29, რედენი-28), 3:3 ჰიტლი-30 (რ. რობიტაილი-14, სპეცა-50), 3:4 ალფრედსონი-35 (მეზაროში-19).

**კაროლინა-ვაშინგტონი 6:3**

1:2, 3:1, 2:0

**გოლები:** 0:1 მ. გრინი-16 (ოვეჩკინი-31), 1:1 კულენი-10 (რეი უიტნი-33, კორვო-24), 1:2 სიომინი-18 (ოვეჩკინი-32, ფლიშმანი-17), 2:2 კულენი-11 (ე. კოული-23, კორვო-25), 3:2 ე. კოული-15 (ე. სტაალი-27, რეი უიტნი-34), 3:3 ლეიჩი-11 (ოვეჩკინი-33, მ. გრინი-24), 4:3 ე. სტაალი-30 (სამსონოვი-12, კონბოი-3), 5:3 ლედი9 (კონბოი-4, სამსონოვი-13), 6:3 კორვო-7 (ე. სტაალი-28, კულენი-32).

**ბაფალო-რეინჯერსი 3:4**

1:2, 2:1, 0:1

**გოლები:** 0:1 იაგრი-16 (ტიუტინი-12, დუბინსკი-18), 1:1 კოტალიკი-17 (დ. რუა-29, ტალინდერი-10), 1:2 დეივსი-9 (დრური-25, როუსივალი-20), 2:2 პომინვილი-17 (ლიდმანი-17, ტ. კონოლი-30), 3:2 კოტალიკი-18 (დ. რუა-30, ვანეკი-22), 3:3 დუბინსკი-12 (როუსივალი-21, შ. ეივერი-13), 3:4 შ. ეივერი-10 (მენეჰანი-17).

**ტორონტო-ატლანტა 3:1**

0:1, 1:0, 2:0

**გოლები:** 0:1 რეკი-12 (მარიან ჰოსა-30, ვიაჩ. კოზლოვი-19), 1:1 სუნდინი-25 (უელვუდი-9, ანტროპოვი-25), 2:1 ა. სტინი-11 (ანტროპოვი-26, მაკეიბი-11), 3:1 ანტროპოვი-22 (ა. სტინი-17, ი. უაიტი-14).

**მონრეალი-კოლამბუსი 0:3**

0:2, 0:0, 0:1

**გოლები:** 0:1 ნეში-33 (პეკა-25, მოდინი-4), 0:2 ე. მიურეი-4 (მალორტა-13, ვიბორნი-16), 0:3 მალორტა-6.

**ფილადელფია-ფლორიდა 1:2 (ო)**

0:0, 1:0, 0:1, 0:1

**გოლები:** 1:0 ბრიერი-22 (ჯ. კარტერი-18), 1:1 ბოუმისტერი-12 (მონტადორი-13), 1:2 ო. იოკინენი-30 (კ. მერფი-13, ჰორტონი-30).

**ტამპა ბეი-ბოსტონი 3:5**

1:1, 1:2, 1:2

**გოლები:** 1:0 დერჩი-5 (ლეკავალიე-46, კუბა-20), 1:1 ლუჩიჩი-7 (კესელი-15, ვიდემანი-19), 1:2 მ. სტიუარტი-3 (მტურმი-23), 2:2 ულეტი-8 (ბ. რიჩარდსი-33, პლავაჩი-13), 2:3 გ. მიურეი-13 (ხარა-30, სავარი-55), 2:4 გ. მიურეი-14, 3:4 პროსპალი-29 (დ. ბოილი-8, ჰოლმკვისტი-1), 3:5 აქსელსონი-11 (მეტროპოლიტი-16).

**ნეშვილი-დალასი 3:6**

1:1, 0:3, 2:2

**გოლები:** 0:1 მიეტინენი-13 (ი. იოკინენი-14, დელეი-14), 1:1 კონსტინენი-3 (ფიდლერი-18, ბონკი-14), 1:2 რიბეირო-25 (მოროუ-33, ნისკანენი-17), 1:3 ლ. ერიქსონი-8 (ნორსტრიომი-7, მოროუ-34), 1:4 რიბეირო-26, 2:4 დუმონი-23 (არნოტი-37, სმიტსონი-9), 2:5 მოროუ-26 (რიბეირო-44), 2:6 ლ. ერიქსონი-9 (მოროუ-35, რიბეირო-45), 3:6 სატერი-7 (ერატი-27, ბონკი-15).

**ვანკუვერი-დეტროიტი 4:1**

1:1, 1:0, 2:0

**გოლები:** 1:0 ედლერი-7 (ოლუნდი-13, დ. სედინი-35), 1:1 დაციუკი-22 (მიჩი-2, ჰოლმსტრიომი-18), 2:1 სალო-4 (ჰ. სედინი-51, დ. სედინი-36), 3:1 კესლერი-15, 4:1 კესლერი-16 (ვ. მიტჩელი-7).



ამელი მორესმო

## ჩოგბურთი

WTA-ს ტური

### მორესმო წასვლას აპირებს?

მსოფლიოს ყოფილი პირველი ჩოგანი, **ამელი მორესმო** კარიერის დასრულებაზე დაფიქრდა. ამის მიზეზი გახდა ფრანგი ჩოგბურთელის ცუდი სპორტული ფორმა და შესაბამისად, არასახარბიელო შედეგები. ბოლო ნახევარი წლის განმავლობაში, მორესმომ ჯამში მხოლოდ რვა შეხვედრა მოიგო და გასულ კვირას, WTA-ს რეიტინგის საუკეთესო ოცეულის მიღმა აღმოჩნდა. ამ კვირას, ამელი დოჰას პირველი კატეგორიის ტურნირში იღებდა მონაწილეობას და იქ მეორე წრეში ტაილანდელ **ტამარინე ტანასუგარნთან** დამარცხდა - 6:7, 5:7.

ჩოგბურთელის გეგმები იმდენად სერიოზულია, რომ ფრანგულ გაზეთ "ეკიპისთვის" მიცემულ ინტერვიუში მორესმომ ასეთი რამ განაცხადა: *"ხანდახან საკუთარ თავს ვეკითხები - რა მესაქმება ნახევრად ცარიელ სტადიონზე? ასეთ მომენტებში გრძნობ, რომ უნდა გაჩერდე"*.

რა თქმა უნდა, ავსტრალიის ღია პირველობისა და უიმბლდონის ყოფილი ჩემპიონი შეუჩვეველია ცარიელი ტრიბუნების ქვეშ თამაშს.

*"დოჰაში ცარიელი ტრიბუნების შემხედვარეს, ძალიან მინდოდა, იმ მომენტში სულ სხვა ადგილას ვყოფილიყავი. ჯერჯერობით, მოტივირებული ვარ და თამაში მინდა, მაგრამ ეს სურვილი ნელ-ნელა ქრება"*, - პესიმისტურ ნოტაზე ასრულებს საუბარს ამელი მორესმო, რომელიც ამჟამად რეიტინგის 29-ე ნომერი გახლავთ.

სკანდალი

### მარადონას ჩოგანი მოუღერეს

სკანდალურად განვითარდა მოვლენები ბუენოს აირესში მიმდინარე ATP-ის ტურნირზე. საქმე ეხება შაბათს გამართულ მეოთხედფინალურ მატჩს, რომელშიც მონაწილეობას იღებდნენ არგენტინელი **დავიდ ნალბანდიანი** და იტალიელი **პოტიტო სტარაჩე**. შეხვედრას ესწრებოდა ლეგენდარული არგენტინელი ფეხბურთელი **დიეგო მარადონა**, რომელიც ზედმეტად ემოციურად ქომაგობდა ნალბანდიანს და ამის გამო, კონფლიქტი მოუვიდა იტალიელ ჩოგბურთელთან. აი, რა მოყვა მატჩის შემდეგ სტარაჩემ:

*"შეხვედრის სტარტიდანვე მარადონამ ჩემი ლანძღვა-გინება დაიწყო. რამდენიმე ასეთი თავხედური გამოხტომის შემდეგ, მსაჯთან მივედი და პირდაპირ ვუთხარი, "თუ ის არ გაჩუმდება, თავში ჩოგანს ჩავარტყამ". მე ყოველთვის ვიყავი მარადონასა და "ნაპოლის" თაყვანისმცემელი, რომელშიც ის თამაშობდა. დიეგოს ეს მატჩის წინ ვუთხარი და ისიც განვაცხადე, რომ მასთან შეხვედრა ჩემთვის უდიდესი ბედნიერება იყო. მაგრამ ახლა ჩემი სიტყვები უკან მიმაქვს. უსიამოვნოდ გაკვირვებული? ვარ მისი საქციელით"*.



ასე ქომაგობდა მარადონა ნალბანდიანს

ზემძიმე წონა

# ვლადიმირ კლიჩკომ ტიტულები გააერთიანა



კლიჩკო იბრაგიმოვს უტევს

ნიუ იორკის "მედისონ სკვერ გარდენის" არენაზე, 14 011 მაყურებლის წინაშე, IBF-ის (კრივის საერთაშორისო ფედერაცია) უკრაინელმა ჩემპიონმა **ვლადიმირ კლიჩკომ** ქულებით, მსაჯთა ერთსულოვანი გადაწყვეტილებით, მოუგო WBO-ის (კრივის მსოფლიო ორგანიზაცია) რუს ჩემპიონ **სულთან იბრაგიმოვს** და მის ხელთ არსებულ საჩემპიონო სარტყელსაც დაეპატრონა.

ზემძიმე წონაში ეს ტიტულების პირველი გაერთიანებაა მას შემდეგ, რაც ცხრა წლის წინათ, ყველა პრესტიჟული საკრივო გაერთიანების ტიტულებს თავის ხელში მოუყარა თავი ბრიტანელმა **ლენოქს ლუისმა**. მაშინაც ბრძოლას მედისონ სკვერმა უმასპინძლა, ლენოქსის მეტოქე კი ლეგენდარული **ევანდერ ჰოლიფილდი** იყო.

მართალია, კლიჩკოს მიერ ორი პრესტიჟული ტიტულის დაუფლება თანამედროვე კრივის სამყაროში მოვლენაა, მაგრამ ამით ბრძოლის სანახავად მისულ მაყურებელს ბევრი არაფერი მოუგია, რადგან ის მეტად უინტერესო და მოსაწყენი გამოდგა. თუმცაღა, კლიჩკოს უპირატესობა იმდენად დიდი იყო, რომ სამივე მსაჯმა გამარჯვება (119-110, 117-111 და 118-110) მას მიაკუთვნა.

ორივე მოკრივემ ფრთხილი ტაქტიკა აირჩია. ისინი მეტწილად დაცვაზე ზრუნავდნენ და ფონს ჯებით გადიოდნენ. ამასთან, უფრო მძიმე და დაბალ იბრაგიმოვს (22-1-1, 17 ნოკაუტი) ძალიან უჭირდა მეტოქესთან დასარტყმელ დისტანციაზე მიახლოება. კლიჩკო (50-3, 44 ნოკაუტი) კი თავისი გრძელი ხელების წყალობით, შორიდანვე ახერხებდა მეტოქის დაბომბვას. და მიუხედავად იმისა, რომ მას ტკივილს ვერ აყენებდა, ქულებს მაინც აგროვებდა. როგორც გაირკვა, მთავარი სწორედ ეს იყო, რადგან მან სწორედ ამ ქულების წყალობით მოიპოვა გამარჯვება.

მეშვიდე რაუნდში, კლიჩკომ თავისი მარჯვენა აამოქმედა, რომლითაც იბრაგიმოვს თავში ძლიერი დარტყმა მიაყენა, თუმცა ამანაც მეტოქეს უმალ შეაგება საპასუხო დარტყმა - მუშტი კლიჩკოს ნეკნებში მოხვდა, რამაც მისი შეტევის ჟინი ცოტა ხნით ჩააცხრო. მომდევნო რაუნდში უკრაინელმა კიდევ ერთი შეტევა განახორციელა. ამჯერად იბრაგიმოვმა ვერაფრით უპასუხა და შედეგად, კიდევ ერთი მძიმე დარტყმა იგემა. რუსი დაეცა, თუმცა რეფერიმ ნოკდაუნი არ ჩათვალა, რადგან, მისი აზრით, რუსის დაცემა კლიჩკოს ხელის კვრამ განაპირობა.

მეცხრე რაუნდში, კლიჩკომ ისევ შეუტია და მეტოქე ბაგირებთან მიიმწყვდია, მაგრამ იბრაგიმოვმა ამჯერადაც დაიხსნა თავი განსაცდელისგან. არადა, უკრაინელმა რამდენიმე ისეთი კომბინაცია განახორციელა, თითო დამაგვირგვინებელი დარტყმა რომ სჭირდებოდა, მაგრამ კლიჩკო ამ დარტყმას, რატომღაც, არ იმეტებდა. მოგვიანებით, თავადვე განმარტა, ზედმეტ რისკს მოვერიდე, რადგან ერთი აცდენაც საკმარისი იყო, რომ მას საპასუხო შეტევა დაეწყო.

*"თავიდანვე გადაწყვეტილი მქონდა - თუ დავრწმუნდებოდი, რომ ჩემი მარჯვენა მიზანს მიაღწევდა, ის მხოლოდ ამ შემთხვევაში უნდა მომექნია. როცა გადამწყვეტ დარტყმას აპირებ და მიზანს აცდენ, ამით მეტოქეს კონტრშეტევის საშუალებას აძლევ, მე კი ეს არ მინდოდა"*, - თავი იმართლა კლიჩკომ, ვინც IBF-ის საჩემპიონო სარტყელი ორი წლის წინათ, ამერიკელი **კრის ბერდის** ძლევის შემდეგ მოიპოვა და მას შემდეგ, ტიტული მეოთხედ დაიცვა.

შეგახსენებთ, რომ დანარჩენი ორი პრესტიჟული ტიტულიდან WBA-ისა (კრივის მსოფლიო ასოციაცია) უზბეკ **რუსლან ჩაგაევს** ეკუთვნის, WBC-ს (კრივის მსოფლიო საბჭო) ტიტულს კი ყაზახეთში დაბადებული, რუსეთში გაზრდილი და ამერიკის პასპორტის მქონე **ოლეგ მასკაევი** ფლობს, ვის ტიტულზეც თვალი ვლადიმირის ძმას, **ვიტალი კლიჩკოს** აქვს დადგმული.

ბრძოლის შემდეგ კლიჩკომ განაცხადა, რომ მისთვის ნოკაუტით მოგება თვითმიზანი არაა. მთავარი კი ტიტულების გაერთიანებაა. *"ჩემი პრინციპი მარტივია - რამდენადაც შესაძლებელია, იმდენად სანახაობრივი ბრძოლის გამართვა. თავიდან მეგონა, რომ ამ ბიჭს ნოკაუტით მოვუგებდი, მაგრამ ეს იოლი არ ყოფილა. მესმის, მაყურებელს ბრძოლა არ მოეწონა, მაგრამ მთავარია, რომ ახლა ორივე ტიტული ჩემს ხელშია. და ამით დაკმაყოფილებას სულაც არ ვაპირებ"*, - განაცხადა კლიჩკომ, ვინც IBO-ის (კრივის საერთაშორისო ორგანიზაცია) ნაკლებად პრესტიჟულ ტიტულსაც ფლობს.

თავისი მეტოქის მომზადების დონით გაოცებული დარჩა იბრაგიმოვი: *"ვფიქრობ, ის გაცილებით სწრაფი იყო, ვიდრე თავის წინა ბრძოლებში. ჩემს გეგმებში აქტიური ბრძოლა და მუდმივად შეტევაში ყოფნა შედიოდა, მაგრამ ეს ძალიან ძნელი იყო. ის ახლოს არ მიშვებდა და თავისი გრძელი ხელებით ჩემს მოქმედებას ყოველთვის აკონტროლებდა. და როცა ასეა, შეტევა ყოველთვის ძნელდება. მისი დარტყმების შემდეგ ტკივილს საერთოდ არ ვგრძნობდი, მაგრამ იმის გრძნობაც მქონდა, რომ ქულებით ბრძოლას ვაგებდი"*, - განაცხადა იბრაგიმოვმა.

სტატისტიკური მაჩვენებლებიც კლიჩკოს აშკარა უპირატესობაზე მეტყველებს. უკრაინელმა ხელი 245-ჯერ მოიქნია და აქედან თითქმის ნახევარ შემთხვევაში, მიზანს მიაღწია. მის მიერ განხორციელებული დარტყმებიდან კი 81 ძლიერი იყო. რუსმა კი მხოლოდ 97 დარტყმის შესრულება მოახერხა.

## 25 თებერვალი. ორშაბათი

### HTB-პლუსი (ფეხბურთი)

**13:00** თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
**12:20** გერმანიის ჩემპიონატი. ბაიერნი-ჰამბურგი.
**15:10** საფრანგეთის ჩემპიონატი. ბორდო-ლილი.
**17:00** თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
**17:20** ესპანეთის ჩემპიონატი. რეალი-ხეტაფე.
**19:10** არგენტინის ჩემპიონატი. სან მარტინი-ბოკა ხუნიორსი.
**21:00** თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
**21:20** ინგლისის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
**22:20** ესპანეთის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
**23:25** ევრო 2008. ტელეჟურნალი.
**23:55** ინგლისის ჩემპიონატი. მანჩესტერ სიტი-ევერტონი (LIVE).

### SPORT 1 (უკრაინა)

**08:32** ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. ბირმინგემი-არსენალი.
**10:18** ფეხბურთი. უეფას თასი. 1/16 ფინალი. საპასუხო მატჩი. ბორდო-ანდერლეხტი.
**12:01** ფეხბურთი. Barca TV.
**12:08** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. 1/4 ფინალი. როტერდამი. ჰოლანდია.
**14:13** ფეხბურთი. პრემიერლიგის სამყარო.
**14:43** ოლიმპიზმი. პეკინი 2008.
**15:13** ჰოკეი. NHL. რეგულარული ჩემპიონატი. პიტსბურგი-ოტავა.
**17:01** ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგის ჟურნალი.
**17:29** კალათბურთი. ULEB-ის ევროლიგა. ტელეჟურნალი.
**17:59** ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. რომა-ფიორენტინა.
**20:00** ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. ბაიერნი-ჰამბურგი.
**22:00** ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. ბარსელონა-ლევანტე.
**23:55** ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. მანჩესტერ სიტი-ევერტონი (LIVE).
**01:56** ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. კალიარი-ლაციო.
**03:42** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. 1/2 ფინალი. როტერდამი. ჰოლანდია.
**05:29** პროფესიული კრივი. IBF/WBO. სუპერმძიმე წონა. ვლადიმერ კლიჩკო-სულთან იბრაჰიმოვი. ნიუ იორკი. აშშ.

### EUROSPORT

**11:30** ექსტრემალური სპორტი.
**12:00** ბიატლონი. ევროპის ჩემპიონატი. ქალები. ესტაფეტა. ნოვე მესტო. ჩეხეთი.
**13:00** ტრამპლინიდან ხტომა. მსოფლიო თასი. HS213. ობერსტდორფი. გერმანია.
**14:00** ჩოგბურთი. WTA-ს ტური. I დღე. დუბაი. საემიროები (LIVE).
**17:30** ბიატლონი. ევროპის ჩემპიონატი. მამაკაცები. ესტაფეტა. ნოვე მესტო. ჩეხეთი.
**18:15** ტრამპლინიდან ხტომა. მსოფლიო თასი. HS213. ობერსტდორფი. გერმანია.
**19:00** ჩოგბურთი. WTA-ს ტური. I დღე. დუბაი. საემიროები (LIVE).
**21:00** ევროგოლი - ყოველკვირეული საფეხბურთო მიმოხილვა.
**21:45** მულტისპორტი.
**22:15** ტრამპლინიდან ხტომა. მსოფლიო თასი. HS213. ობერსტდორფი. გერმანია.
**23:00** სნუკერი. დიდების დარბაზი.
**00:00** ბრძოლა წესების გარეშე.
**03:00** ევროგოლი - ყოველკვირეული საფეხბურთო მიმოხილვა.
**03:45** მულტისპორტი.
**04:00** თოვლის უიქ ენდი. ტელეჟურნალი.

### EUROSPORT-2

**10:30** ახალი ამბები.
**11:00** ლაკროსი. ჩრდილოეთ ამერიკის რეგულარული ლიგა. როჩესტერი-ნიუ იორკი.
**13:00** ხელბურთი. ჩემპიონთა ლიგა. მამაკაცები. II ჯგუფური ეტაპი. III ტური. გუდმე (დანია)-სელიე (სლოვენია).
**14:00** სნოუბორდი. ნორვეგია.
**15:00** ახალი ამბები.
**17:00** ხელბურთი. ჩემპიონთა ლიგა. მამაკაცები. II ჯგუფური ეტაპი. III ტური. ჟეგედი (უნგრეთი)-ბარსელონა (ესპანეთი).
**18:00** სუპერბაიკი. მსოფლიო ჩემპიონატი. I ცდა. დოჰა. კატარი.
**19:00** სუპერბაიკი. მსოფლიო ჩემპიონატი. II ცდა. დოჰა. კატარი.
**21:00** ახალი ამბები.
**21:30** თოვლის უიქ ენდი. ტელეჟურნალი.
**22:00** ფრისტაილი. მსოფლიო თასი. აშშ.
**22:30** ახალი ამბები.
**23:00** სნოუბორდი. ნორვეგია.
**23:30** ტრიალი. მსოფლიო თასი. გრანადა. ესპანეთი.
**00:30** ლაკროსი. ჩრდილოეთ ამერიკის რეგულარული ლიგა. როჩესტერი-ნიუ იორკი.
**02:00** ახალი ამბები.
**02:15** ხელბურთი. ჩემპიონთა ლიგა. მამაკაცები. II ჯგუფური ეტაპი. III ტური. გუდმე (დანია)-სელიე (სლოვენია).
**03:15** ახალი ამბები.

## კალათბურთი

### NBA. რეგულარული

#### 22 თებერვალი

**ინდიანა-ნიუ ჯერსი 1113:103**
28:27, 22:22, 35:23, 28:31
ინდიანა: მ. დანლივი-უმცროსი (34 ქ. 3 ჩ), დიენერი (19 ქ. 8 მ. 6 პ), გრეინჯერი (16 ქ. 2 პ), მერფი (11 ქ. 7 მ), რაში (11 ქ. 4 პ. 2 ჩ), ფოსტერი (10 ქ. 14 მ. 4 პ), ს. უილიამსი (10 ქ. 6 მ).
ნიუ ჯერსი: რ. ჯეფერსონი (34 ქ. 2 ჩ), ნახბარი (22 ქ. 5 მ. 3 ჩ), ვ. კარტერი (15 ქ. 8 პ. 6 მ. 2 ჩ), მასელი (11 ქ).

**ფინიქსი-ბოსტონი 85:77**
24:13, 19:17, 20:19, 22:28
ფინიქსი: ა. სტაუდმაიერი (28 ქ. 6 მ. 3 დ), ნეში (18 ქ. 7 მ. 5 პ. 2 ჩ), გ. ჰილი (14 ქ. 13 მ. 3 ჩ), დიაო (10 ქ. 5 მ), შ. ო'ნილი (4 ქ. 14 მ. 2 ჩ).
ბოსტონი: გარნეტი (19 ქ. 5 მ. 4 პ. 2 ჩ), რონდო (12 ქ. 2 ჩ), რ. ალენი (11 ქ. 2 ჩ).

**ორლანდო-ფილადელფია 115:99**
26:16, 27:24, 23:26, 39:33
ორლანდო: თურქოღლუ (31 ქ. 7 პ. 5 მ), დ. ჰოვარდი (24 ქ. 18 მ. 3 დ), რ. ლუისი (17 ქ. 5 მ. 4 პ), ნელსონი (17 ქ. 4 პ).
ფილადელფია: ა. მილერი (25 ქ. 6 პ. 4 მ), იგუოდალა (25 ქ. 5 მ. 3 ჩ. 2 დ), უ. გრინი (21 ქ), ლ. უილიამსი (18 ქ. 3 პ), დალემბერი (6 ქ. 11 მ. 2 დ).

**ნიუ იორკი-ტორონტო 103:99**
12:21, 40:32, 29:22, 22:24
ნიუ იორკი: ჯ. კროუფორდი (43 ქ. 5 პ. 3 მ), ზ. რენდოლფი (26 ქ. 15 მ. 4 პ. 2 ჩ), ლი (8 ქ. 13 მ).
ტორონტო: ბოში (23 ქ. 8 მ. 4 პ), დელფინო (18 ქ), ე. პარკერი (18 ქ. 3 მ. 2 ჩ), მუნი (16 ქ. 8 მ), კალდერონი (15 ქ. 6 პ. 3 მ. 2 ჩ).

**ჩიკაგო-დენვერი 135:121**
33:22, 35:33, 33:32, 34:34
ჩიკაგო: გორდონი (37 ქ. 5 პ. 3 მ. 2 ჩ), ნოჩიონი (21 ქ. 3 მ), ტაირუს ტომასი (18 ქ. 11 მ. 4 პ. 2 ჩ), ჰაინრიხი (16 ქ. 14 პ. 3 მ), სეფოლოშა (14 ქ. 4 პ. 3 მ), ნოა (14 ქ. 10 მ. 3 პ), დენგი (10 ქ. 6 მ).
დენვერი: ჯეი. არ. სმიტი (43 ქ. 5 მ. 2 ჩ), აივერსონი (29 ქ. 9 პ. 4 მ), ენტონი (22 ქ. 8 მ), კემბი (19 ქ. 11 . 6 დ. 2 პ).

**მემფისი-დალასი 83:99**
21:30, 22:32, 24:16, 16:20
მემფისი: გეი (18 ქ. 6 მ. 3 პ. 3 ჩ. 2 დ), უორიკი (15 ქ. 9 მ), ლოური (12 ქ. 4 ჩ. 3 მ. 3 პ), კონლი (11 ქ. 4 პ), კრიტენტონი (10 ქ. 4 მ).
დალასი: ნოვიცკი (27 ქ. 6 მ. 3 პ), ტერი (22 ქ. 6 მ. 4 პ. 2 ჩ), ჯოშ ჰოვარდი (20 ქ. 7 მ. 3 ჩ. 2 პ), კიდი (2 ქ. 15 პ. 5 მ. 4 ჩ).

**ნიუ ორლეანი-ჰიუსტონი 80:100**
24:29, 11:22, 23:31, 22:18
ნიუ ორლეანი: დევიდ უესტი (20 ქ. 10 მ), პოლი (14 ქ. 11 პ. 3 მ. 3 ჩ), ჩენდლერი (9 ქ. 9 მ).
ჰიუსტონი: მაკგრეიდი (34 ქ. 6 პ. 3 მ), მინი (28 ქ. 14 მ. 2 პ), ალსტონი (9 ქ. 11 პ. 4 მ), სკოლა (8 ქ. 9 მ).

**კლიპერსი-იუტა 114:104**
25:29, 30:20, 37:23, 22:32
კლიპერსი: ტორნტონი (27 ქ. 4 მ. 2 ჩ), მაგეტი (27 ქ. 6 მ. 5 პ), კამანი (14 ქ. 9 მ. 4 დ. 3 პ), მობლი (14 ქ. 2 პ), დიკაუ (13 ქ. 6 პ. 2 ჩ).
იუტა: დ. უილიამსი (26 ქ. 10 პ. 3 მ), ბუზერი (22 ქ. 10 მ. 4 პ), მილსეპი (12 ქ. 8 მ), რ. ბრიუერი (10 ქ. 2 ჩ).

**კლივლენდი-ვაშინგტონი 90:89**
23:24, 20:18, 24:23, 23:24
კლივლენდი: ლ. ჯეიმსი (33 ქ. 15 მ. 8 პ), დეიმონ ჯოუნსი (27 ქ. 4 პ), დევინ ბრაუნი (10 ქ. 10 მ. 7 პ. 2 ჩ).
ვაშინგტონი: სონგაილა (19 ქ. 5 მ), სტივენსონი (18 ქ. 3 პ), ჯეიმისონი (16 ქ. 9 მ. 3 ჩ), ჰეივუდი (13 ქ), ბლატჩე (12 ქ. 7 მ. 4 დ).

**დეტროიტი-მილუოკი 127:100**
33:35, 32:11, 35:28, 27:26
დეტროიტი: ბილაპსი (21 ქ. 12 პ), ბ. უოლასი (17 ქ. 6 მ. 3 დ), რ. ჰამილტონი (16 ქ. 4 მ. 3 პ), მაკდაისი (15 ქ. 7 მ. 3 პ), ე. ჯონსონი (13 ქ. 6 მ. 3 პ. 2 დ), პრინსი (10 ქ. 3 მ. 3 პ).
მილუოკი: რედი (18 ქ. 3 მ. 2 დ), ვილანუევა (18 ქ. 4 მ), მო უილიამსი (16 ქ. 5 პ), ბოგუტი (11 ქ. 5 მ).

**სიეტლი-პორტლენდი 99:87**
29:19, 23:19, 19:22, 28:27
სიეტლი: დურანტი (17 ქ. 4 მ), უილკოქსი (14 ქ. 6 მ), კოლისონი (13 ქ. 8 მ. 2 პ), ჟელაბალი (12 ქ), ე. უოტსონი (11 ქ. 4 მ. 4 პ. 2 ჩ), რიდნური (11 ქ. 4 მ. 3 პ. 2 ჩ).
პორტლენდი: ტ. აუტლო (26 ქ. 5 მ), ოლდრიჯი (23 ქ. 8 მ. 2 პ), როი (19 ქ. 6 მ. 5 პ. 3 ჩ), პრჟიბილა (4 ქ. 10 მ).

**შარლოტი-საკრამენტო 115:116 (ო)**
25:28, 28:26, 25:30, 31:25, 6:7
შარლოტი: ჯ. რიჩარდსონი (29 ქ. 7 მ. 2 ჩ. 2 დ), ფელტონი (17 ქ. 10 პ. 7 მ. 3 ჩ. 2 დ), დ. ანდერსონი (15 ქ. 4 მ. 2 ჩ), ოკაფორი (12 ქ. 7 მ. 4 დ).
საკრამენტო: გარსია (23 ქ. 3 დ), ბ. მილერი (22 ქ. 14 მ. 5 პ. 3 ჩ), არტესტი (20 ქ. 9 მ. 4 პ. 4 ჩ. 2 დ), უდრიხი (17 ქ. 8 მ. 6 პ), კევინ მარტინი (15 ქ. 3 ჩ).

**გ. სტეიტი-ატლანტა 110:117**
23:35, 27:33, 39:26, 21:23
გოლდენ სტეიტი: ბ. დევისი (35 ქ. 7 პ. 5 მ. 2 ჩ), მ. ელისი (26 ქ. 5 პ. 2 ჩ), აზუბუიკე (14 ქ. 5 მ), ე. ჰარინგტონი (12 ქ. 5 მ).
ატლანტა: ჯო ჯონსონი (27 ქ. 8 მ. 8 პ), ს. სტაუდმაიერი (18 ქ. 2 ჩ), ბიბი (17 ქ. 7 პ. 3 მ), ჯოშ სმიტი (17 ქ. 9 მ. 4 პ. 2 დ), ჩილდრესი (13 ქ. 9 მ. 3 დ. 2 ჩ. 2 პ), მერვინ უილიამსი (10 ქ. 14 მ. 2 პ), ზაზა ფაჩულია (4 ქ. 3 მ. 1 პ).

#### 23 თებერვალი

**ს. ანტონიო-ნ. ორლეანი 98:89**
26:21, 24:14, 26:32, 22:22
სან ანტონიო: ჯინობილი (30 ქ. 12 პ. 6 მ), დანკანი (25 ქ. 11 მ. 6 პ. 4 დ), პარკერი (10 ქ. 4 პ).
ნიუ ორლეანი: პოლი (27 ქ. 4 მ. 4 პ), დევიდ უესტი (16 ქ. 6 მ. 4 პ), სტოიაკოვიჩი (11 ქ. 4 მ).

**იუტა-ატლანტა 100:94**
23:17, 24:23, 26:22, 27:32
იუტა: ბუზერი (21 ქ. 12 მ. 4 პ. 3 ჩ), კორვერი (13 ქ), დ. უილიამსი (12 ქ. 6 პ), რ. ბრიუერი (12 ქ. 2 ჩ), კირილენკო (11 ქ. 4 მ. 3 პ), ჰარპრინგი (10 ქ. 2 ჩ), პრაისი (10 ქ. 4 პ).
ატლანტა: ჯოშ სმიტი (30 ქ. 12 მ. 2 პ. 2 ჩ. 2 დ), ბიბი (18 ქ. 9 პ), მერვინ უილიამსი (16 ქ. 4 მ), ჯო ჯონსონი (14 ქ. 10 მ. 9 პ. 3 ჩ), ზაზა ფაჩულია (4 ქ. 2 მ. 1 ჩ).

**კლიპერსი-ლეიკერსი 113:95**
21:29, 27:27, 24:34, 23:23
კლიპერსი: მაგეტი (23 ქ. 6 მ. 4 პ), ტიმ ტომასი (20 ქ. 7 მ. 5 პ), ტორნტონი (14 ქ. 6 მ. 3 პ), მობლი (12 ქ), ნაიტი (11 ქ. 5 პ. 3 მ. 2 ჩ).
ლეიკერსი: გასოლი (23 ქ. 6 მ. 5 პ. 3 დ), ოდომი (20 ქ. 10 მ. 4 პ. 2 დ), ბრაიანტი (17 ქ. 7 პ. 5 მ. 2 ჩ), ვუიაჩიჩი (17 ქ), ფარმარი (14 ქ), ფიშერი (12 ქ).

**ვაშინგტონი-შარლოტი 110:95**
28:27, 23:25, 27:19, 32:24
ვაშინგტონი: ჯეიმისონი (22 ქ. 9 მ. 5 პ. 2 ჩ), სტივენსონი (20 ქ. 3 მ. 3 პ), ჰეივუდი (15 ქ. 7 მ. 5 პ. 3 დ), ბლატჩე (13 ქ. 8 მ. 2 პ. 2 დ), ა. დენიელსი (10 ქ. 3 პ).
შარლოტი: ჯ. რიჩარდსონი (25 ქ. 5 მ), ოკაფორი (17 ქ. 13 მ), მაკინისი (12 ქ), ფელტონი (9 ქ. 9 პ).

**ნიუ ჯერსი-ინდიანა 102:91**
24:27, 26:19, 28:23, 24:22
ნიუ ჯერსი: რ. ჯეფერსონი (36 ქ. 2 ჩ), ვ. კარტერი (24 ქ. 9 მ. 5 პ. 2 ჩ), ბუნი (19 ქ. 13 მ. 2 დ), მარკუს უილიამსი (8 ქ. 13 პ. 7 მ).
ინდიანა: გრეინჯერი (29 ქ. 5 პ. 3 მ. 2 ჩ), მ. დანლივი-უმცროსი (19 ქ. 4 მ), მერფი (13 ქ. 5 მ. 4 პ), რაში (10 ქ).

**მაიამი-ფილადელფია 96:101 (ო)**
19:24, 30:27, 24:22, 18:18, 5:10
მაიამი: უეიდი (33 ქ. 5 პ. 3 მ. 2 ჩ. 2 დ), ბენქსი (17 ქ), ბლაუნტი (14 ქ. 4 მ. 2 ჩ), რ. დევისი (11 ქ).
ფილადელფია: იგუოდალა (24 ქ. 12 მ. 6 პ), ა. მილერი (24 ქ. 9 პ. 4 მ. 2 ჩ), უ. გრინი (14 ქ), ლ. უილიამსი (13 ქ. 6 მ. 3 პ), დალემბერი (8 ქ. 11 მ. 2 ჩ).

**მილუოკი-დენვერი 115:109**
19:30, 31:34, 32:22, 33:23
მილუოკი: რედი (42 ქ. 7 მ. 3 პ), მო უილიამსი (26 ქ. 7 პ. 5 მ), ვილანუევა (14 ქ. 7 მ. 2 ჩ), ბოგუტი (12 ქ. 20 მ. 2 პ).
დენვერი: აივერსონი (26 ქ. 5 პ), ენტონი (25 ქ. 7 მ. 2 პ), ჯეი. არ. სმიტი (20 ქ. 4 პ), კენიონ მარტინი (15 ქ. 14 მ. 3 ჩ. 2 დ), კემბი (6 ქ. 10 მ. 4 დ. 3 პ).

## ცხელი ხაზი

### კალათბურთი

| | |
|---|---|
| **NBA** | |
| ფინიქსი-დეტროიტი | 86:116 |
| **საბერძნეთი** | |
| აეკ-აელ | 81:75 |
| ეგალეო-პანელინიოსი | 87:80 |
| კოლოსოსი-რეთიმნო | 85:80 |
| ოლიმპია-პაოკ | 80:69 |
| აეკ-პანიონიოსი | 72:62 |
| არისი-პანათინაიკოსი | 82:75 |
| მარუსი-ოლიმპიაკოსი | 66:75 |
| **ესპანეთი** | |
| კახასოლი-ბილბაო | 75:72 |
| ესტუდიანტესი-ბაუგრესი | 93:89 |
| ვალიადოლიდი-მანრესა | 90:87 |
| გრანადა-რეალი | 84:93 |
| ხუვენტუდი-ლეონი | 94:75 |
| გრან კანარია-ვალენსია | 80:84 |
| ხირონა-მურსია | 80:66 |
| მენორკა-უნიკახა | 86:80 |
| ფუენლაბრადა-ბარსელონა | 77:69 |
| **იტალია** | |
| ბენეტონი-მილანი | 73:98 |
| მონტეგრანარო-ნაპოლი | 72:85 |
| რიეტი-რომა | 69:61 |
| აველინო-ფორტიტუდო | 70:76 |
| ვარეზე-ბიელა | 87:81 |
| ვირტუსი-სკავოლინი | 72:81 |
| მონტეპასკი-საპუგაი | 95:68 |
| ტერამო-კანტუ | 79:99 |
| სნაიდერო-დ'ორლანდო | 100:91 |
| **საფრანგეთი** | |
| შოლე-პაური | 89:77 |
| კლერმონი-სტრასბური | 53:96 |
| ლე მანი-ორლეანეზი | 74:67 |
| ასკ-შალონი | 64:75 |
| რუანი-გრავლინი | 82:72 |
| ვიში-ბულონი | 74:66 |

### ჰოკეი

| | |
|---|---|
| **NHL** | |
| მინესოტა-კალგარი | 1:2 |
| პიტსბურგი-სან ხოსე | 1:1 |
| ვაშინგტონი-ნიუ ჯერსი | 1:1 |
| **რუსეთი** | |
| ავანგარდი-ტორპედო | 6:3 |
| სევერსტალი-სიბირი | 4:2 |
| მვდ-ტრაქტორი | 5:2 |
| ნეფტეხიმიკი-ლადა | 2:1 |
| ხიმიკი-მეტალურგი (მ) | 6:2 |
| აკ ბარსი-ვიტიაზი | 10:1 |
| ცსკა-ს. იულაევი | 4:2 |
| ლოკომოტივი-სკა | 2:2 |
| მეტალურგი (ნ)-ამური | 5:5 |
| დინამო-სპარტაკი | 6:1 |
| **გერმანია** | |
| ვოლფსბურგი-აისბარენი | 2:1 |
| დუისბურგი-ფრანკფურტი | 4:5 |
| კიოლნი-ჰანოვერი | 4:0 |
| ნიურნბერგი-ჰამბურგი | 4:6 |
| იზერლონი-ინგოლშტადტი | 4:4 |
| კრეფელდი-აუგსბურგი | 4:2 |
| შტრაუბინგი-დიუსელდორფი | 1:3 |
| **სლოვაკეთი** | |
| კოშიცე-ზვოლენი | 3:1 |
| მარტინი-პოპრადი | 2:4 |
| მიკულაში-ნიტრა | 5:1 |
| სკალიცა-კეჟმაროკი | 5:1 |
| სლოვანი-ტრენჩინი | 3:2 |
| **ფინეთი** | |
| კიეკო-ჰპკ | 6:1 |
| იივასკიულა-კარპატი | 3:2 |
| კალპა-ესეტი | 2:1 |
| პელიკანსი-ილვესი | 2:0 |
| საიპა-იოკერიტი | 1:3 |
| ტაპარა-ჰიფკ | 2:4 |
| ტპს-ლუკო | 4:5 |
| **ჩეხეთი** | |
| კლადნო-პლზენი | 4:3 |
| ტრშინეცი-ზნოიმო | 4:1 |
| **შვეიცარია** | |
| ციურიხი-ლანგნაუ | 4:5 |
| ლუგანო-ცუგი | 4:3 |
| ბაზელი-დავოსი | 0:3 |
| ბერნი-კლოტენი | 1:2 |
| ფრიბურგი-ამბრი | 5:5 |
| სერვეტი-რაპერსვილი | 3:4 |
| **შვედეთი** | |
| ტიმრო-სოდერტალიე | 1:0 |
| ბრიუნესი-ფროლუნდა | 2:4 |
| ლულეა-მოდო | 1:4 |
| ფერიესტადი-იურგორდენი | 1:1 |
| მორა-სკელეფტეო | 3:1 |

### ჩოგბურთი

| | |
|---|---|
| **ATP. როტერდამი** | |
| სიოდერლინგი-ლოდრა | 7:6, 3:6, 6:7 |
| **ATP. ბუენოს აირესი** | |
| ნალბანდიანი-აკასუსო | 3:6, 7:6, 6:4 |
| **WTA. დოჰა** | |
| შარაპოვა-ზვონარევა | 6:1, 2:6, 6:0 |
| **WTA. ბოგოტა** | |
| ლაგოსტერა ვივესი-სალერნი | 6:0, 6:4 |

ფორმულა 1

## შუმახერი დღეს ფერარის გამოსცდის

დღეს, "ფერარი" ახალი ჩემპიონატის წინ ბოლო სატესტო სერიას იწყებს. ბარსელონაში ჩავიდა მსოფლიოს შვიდგზის ჩემპიონი **მიხაელ შუმახერი** და სკუდერიას ერთ-ერთი ბოლიდის საჭეს სწორედ ლეგენდარული გერმანელი მიუჯდება.

იმ წინა ტესტებისგან განსხვავებით, რომელშიც შუმახერი მონაწილეობდა, ამჯერად პირველად მიხაელის პარტნიორი მოქმედი მსოფლიო ჩემპიონი, ფინელი **კიმი რაიკონენი** იქნება.

## პიკე ავსტრალიაში არ ჩავა

მსოფლიოს სამგზის ჩემპიონი, ბრაზილიელი **ნელსონ პიკე** 2008 წლის სეზონის პირველ რბოლაზე (ავსტრალიის გრან-პრი) დასწრებას არ აპირებს. სწორედ ამ ეტაპზე შედგება ლეგენდარული პილოტის ვაჟის, **ნელსონ პიკე-უმცროსის** დებიუტი ფორმულა 1-ში. ახალგაზრდა ბრაზილიელი "რენოს" ახალწვეული გახლავთ.

*"მამაჩემი მნიშვნელოვანი ბიზნესით არის დაკავებული და ამიტომაც, ავსტრალიაში ჩასვლას ვერ მოახერხებს"*, - განუცხადა ესპანურ გაზეთ AS-ს მომავალი ჩემპიონატის დებიუტანტმა.

## დეიმონ ჰილის ვაჟმა პილოტის კარიერა აირჩია

ლეგენდარული ბრიტანელი პილოტის, **დეიმონ ჰილის** ვაჟი, **ჯოშ ჰილი** სარბოლო კარიერას იწყებს. შეგახსენებთ, რომ თავად დეიმონი მსოფლიოს ორგზის ჩემპიონის, **გრემ ჰილის** შვილია. ამ დიადი დინასტიის 17 წლის გამგრძელებელი, წელს Ginetta Junior-ის სერიაში მიიღებს მონაწილეობას.

*"ჯოშს შეეძლო კიდევ ერთი წელი დარჩენილიყო კარტინგებში. მაგრამ მისი ასაკისთვის უკვე საჭირო იყო შემდეგ ეტაპზე გადასვლა"*, - განაცხადა დეიმონ ჰილმა.

ცურვა

## იაპონური რეკორდები

გასულ უიქ ენდზე ცურვაში იაპონიის ღია პირველობა გაიმართა და ადგილობრივმა მოცურავე ქალებმა ორი მსოფლიო რეკორდი დაამყარეს.

**იუკო ნაკანიშიმ** 25-მეტრიანი აუზისთვის 200 მეტრზე ბატერფლაიში აჩვენა საუკეთესო დრო. მან დისტანცია 2 წუთსა და 3.21 წამში დაფარა, რაც 41 მეასედი წამით ნაკლებია პოლონელი **ოლიტია იედრჟეიჩაკის** წინა რეკორდზე, რომელიც შარშან დეკემბერში იყო დამყარებული.

მეორე რეკორდის ავტორი გახდა **რეიკო ნაკამურა** - მან ყველას აჯობა 200 მეტრზე ბრასით ცურვაში და თანაც ისე, რომ ამ დისციპლინაში 7 წლის წინათ დამყარებული რეკორდი გააუმჯობესა. ნაკამურამ 38 მეასედი ჩამოაკლო ამერიკელი **ნატალი კაფლინის** დროს. ახალი რეკორდი 2 წუთსა და 3.34 წამს უტოლდება.

ჰოკეი

## ფილადელფიამ ბომბარდირი დაკარგა

"ფილადელფია ფლაიერზი" ღრმა კრიზისში იმყოფება. გუშინ, "მფრინავებმა" "ფლორიდასთან" 1:2 წააგეს, რითაც დამარცხებათა სერია 10 მატჩამდე აიყვანეს.

ფილადელფიელთა უიღბლობა ამით არ დასრულებულა. "პანტერებთან" დაპირისპირებისას მძიმე ტრავმა მიიღო "ფლაიერზის" ლიდერმა **მაიკ რიჩარდსმა** და როგორც ექიმები ვარაუდობენ, კლუბის საუკეთესო ბომბარდირი სამი კვირა ვერ შესძლებს თამაშს. წელს, 23 წლის ფორვარდმა 61 მატჩში 66 ქულა (23 გოლი+43 შედეგიანი პასი) დააგროვა.

შეგახსენებთ, რომ ცოტა ხნის წინათ, "ფილადელფიას" კიდევ ერთი წამყვანი ფორვარდი დააკლდა. ამ სეზონში მოედანზე ველარ გავა **საიმონ განიე**.

## ბაფალო კემპბელს შეინარჩუნებს

სააგენტო "როიტერის" ინფორმაციით, "ბაფალო სეიბრზის" ხელმძღვანელობა თავის წამყვან მცველთან, **ბრაიან კემპბელთან** ახალი კონტრაქტის გაფორმებას აპირებს. "სეიბრზის" შეფობამ უკვე შესთავაზა მრავალმილიონიანი კონტრაქტი ჰოკეისტს, რომელსაც ამ სეზონის შემდეგ უმთავრდება კლუბთან ხელშეკრულება.

ამ ეტაპზე, კემპბელის (61 მატჩში 5 გოლი და 38 შედეგიანი პასი) გადაბირებით NHL-ის რამდენიმე კლუბია დაინტერესებული.

## მონრეალმა გენერალური მენეჯერი დააფასა

"მონრეალ კანადიენსმა" ხმარებიდან ამოიღო მაისურა 23-ე ნომრით. თავის დროზე, ამ ნომრით "კანადიენსის" რიგებში ლეგენდარული კაპიტანი **ბობ გეინი** თამაშობდა, რომელიც ამჟამად "მონრეალის" გენერალური მენეჯერის ფუნქციებს ასრულებს.

გეინის თავის კარიერაში ოთხჯერ აქვს მიღებული "სელკე ტროფი" - პრიზი, რომელიც დაცვითი სტილის საუკეთესო ფორვარდს გადაეცემა.

მონრეალის "ბელ ცენტრის" თაღზე გეინის მაისურა გუშინ, "მონრეალისა" და "კოლამბუსის" მატჩის წინ აღმართეს. ეს არის მე-14 ჰოკეისტი "კანადიენსის" ისტორიაში, რომლის ნომრითაც გუნდში აღარავინ ითამაშებს.

## უეიტი ერთ კვირაში დაბრუნდება

დაახლოებით ერთ კვირაში, სტენლის თასის მფლობელი "ანაჰაიმ დაქსი" სრული შემადგენლობით გააგრძელებს თამაშს. "იხვების" ვეტერანმა ფორვარდმა **დუგ უეიტმა** მარცხენა მხარის ტრავმა მოირჩინა და მომავალ კვირას შეუერთდება გუნდს. ცენტრალურმა თავდამსხმელმა ამ დაზიანების გამო უკვე 7 მატჩი გამოტოვა.

უეიტმა ამ სეზონში 54 მატჩი ჩაატარა და 11 ქულა (4+7) დააგროვა.

ოლიმპიზმი

## ამერიკელები ოლიმპიურ სოფელში არ იცხოვრებენ

პეკინის ოლიმპიური თამაშების დროს, ამერიკის ნაკრები სრული შემადგენლობით ოლიმპიური სოფლის ფარგლებს გარეთ იცხოვრებს. აშშ-ის გუნდი საკუთარი ბანაკის ორგანიზებას აპირებს.

ამერიკელებს ეს იდეა მას შემდეგ დაებადათ, რაც ჩინეთის მთავრობამ აკრძალა სპორტსმენების მხრიდან ქვეყანაში საკუთარი საკვების, მზა კერძებისა და სასმელების შეტანა. ოლიმპიადის მასპინძლებმა ეს გადაწყვეტილება უსაფრთხოების ზომების გამკაცრებით ახსნეს. მათვე განაცხადეს, რომ აკრძალვა არ შეეხება ათლეტებისთვის საჭირო სამედიცინო პრეპარატებს.

## ვანკუვერს ბიუჯეტი გაუზარდეს

კანადის მთავრობამ დამატებით 19.7 მილიონი დოლარი გამოუყო ვანკუვერის ზამთრის ოლიმპიადის ორგანიზატორებს.

ამ თანხით, მთავრობა უსაფრთხოების გაძლიერებაზე ზრუნავს. გარდა ამისა, ის სანახევროდ აფინანსებს იმ არენის მშენებლობას, რომელზეც 2010 წლის ზამთრის ოლიმპიადის გახსნის ცერემონია უნდა გაიმართოს. მთლიანად ეს სტადიონი 580 მილიონ კანადურ დოლარად არის შეფასებული.






ვონმა დაშვებაში ბროლის მცირე გლობუსი გაინაღდა

მსოფლიო თასი

# ვონმა დაშვების გლობუსი მოიპოვა

ვანკუვერის მახლობლად მდებარე სამთო კურორტ უისტლერის ოლიმპიურმა ფერდობმა სამთო მოთხილამურეთა მსოფლიო თასის სერიის ეტაპებს უმასპინძლა, რომელთა შედეგადაც, ბროლის კიდევ ერთი მცირე გლობუსის მფლობელის ვინაობა გაირკვა - დაშვებაში საპატიო ჯილდოს ამერიკელი **ლინდსი ვონი** დაეუფლა.

ვონმა რბოლა მეორე ადგილზე დაასრულა, თუმცა ესეც საკმარისი გამოდგა იმისთვის, რომ დაშვების კლასიფიკაციაში მეტოქეებისთვის მიუწვდომელი გამხდარიყო. მან წამის სულ რაღაც მეასედით წააგო პირველზე გასულ შვეიცარიელ **ნადია შტიგერთან**, ვინც კარიერაში პირველად მოიგო მსოფლიო თასის ეტაპი.

აღსანიშნავია, რომ შტიგერი სულ მეოთხედ ავიდა კვარცხლბეკზე. ამასთან, წინა სამ შემთხვევაში, ეს სუპერგიგანტის რბოლაზე მოხდა. რაც მთავარია, 2002 წლის შემდეგ, ის პირველი შვეიცარიელია, ვინც დაშვების რბოლის მოგება შეძლო. ბუნებრივია, ამ გამარჯვების გამო, ვანკუვერის (2010 წლის) ოლიმპიადაზე შტიგერი ფავორიტთა შორის იქნება.

რაც შეეხება ვონს, მცირე გლობუსი მან დაშვების სეზონის დასრულებამდე ორი ეტაპით ადრე გაინაღდა. ამ დისციპლინის კლასიფიკაციაში ამერიკელს ახლა 655 ქულა აქვს. მეორეზე მყოფი ავსტრიელი **რენატე გიოჩლი** კი 287 ქულით ჩამორჩება.

*"წამის მეასედით წაგებას ამ სეზონში უკვე მივეჩვიე. ეს მერამდენედ მოხდა, აღარც მახსოვს. თუმცა, მთავარი სულ სხვაა. მე გლობუსს დავეუფლე, რითაც ბავშვობის ოცნება ავისრულე. თანაც, აბსოლუტურშიც ლიდერობა განვიმტკიცე"*, - განაცხადა ვონმა, ვისაც ბოლო მოსახვევამდე შტიგერზე უკეთესი გრაფიკი ჰქონდა, მაგრამ სწორედ ამ მოსახვევის გავლისას, შეცდომა დაუშვა, რაზეც ბევრი დრო დაკარგა. არადა, მას ამ სეზონში დაშვების ოთხი ეტაპი აქვს მოგებული.

უისტლერშივე, კაცებს გიგანტური სლალომის ეტაპი ჰქონდათ, რომელიც ავსტრიელი **ჰანეს რაიხელტის** გამარჯვებით დასრულდა. ეს მის კარიერაში, მსოფლიო თასზე მოპოვებული მესამე, გიგანტურ სლალომში კი პირველი გამარჯვებაა. აღსანიშნავია, რომ წინა დღით, სუპერგიგანტზე რაიხელტი მეორე ადგილზე გავიდა და მცირედით ჩამორჩა თავის თანამემამულე **კრისტოფ გრუბერს**.

უნდა ითქვას, რომ მოთხილამურეებს საქმე მზიანმა ამინდმა გაურთულა - მაღალი ტემპერატურის გამო, ოლიმპიური ფერდობის საფარი დარბილდა და დაიბორცვა, რამაც მოთხილამურეებს საქმე ძალიან გაურთულა.

*"გიგანტური სლალომის მოგება უფრო ძნელია, ვიდრე სუპერგიგანტისა. ამდენად, ჩემთვის ეს გამარჯვება მოულოდნელი იყო. სუპერგიგანტი წამის სამი მეასედით წავაგე და ამჯერად, იგივეს გამეორება არ მინდოდა, რისთვისაც ორივე ცდა მაქსიმალურად მონდომებულმა შევასრულე. საერთოდ, შორეულ გეგმებს არასოდეს ვაწყობ, მაგრამ აქ მოპოვებული გამარჯვება იმედს მისახავს, რომ ვანკუვერის ოლიმპიადაზეც იგივე შედეგი მექნება"*, - განაცხადა რაიხელტმა.

მესამე ადგილი დაიკავა ავსტრიელმა **ბენი რაიხმა**, ვინც ოთხი ადგილით აჯობა აბსოლუტურში თავის მთავარ კონკურენტს, ამერიკელ **ბოდე მილერს**. კანადური ორი ეტაპის შემდეგ, მათ 45 ქულა აშორებთ, ლიდერის პოზიცია კი კვლავ მილერის ხელთაა.

აღსანიშნავია, რომ უისტლერის ორივე რბოლა ავსტრიელებმა მოიგეს. თანაც, ამ ქვეყნის მოთხილამურეებმა კვარცხლბეკის ექვსი საფეხურიდან ოთხი დაიკავეს, ეს კი იმას ნიშნავს, რომ ვანკუვერის ოლიმპიადაზე ისინი კვლავაც მთავარი ფავორიტები იქნებიან.

**უისტლერი (კანადა). ქალები. დაშვება**

1. ნადია შტიგერი (შვეიცარია) 1:45.30; 2. ლინდსი ვონი (აშშ) 1:45.31; 3. ჯულია მანკუზო (აშშ) 1:45.49; 4. ბრიტ იანიკი (კანადა) 1:45.65; 5. რენატე გიოჩლი (ავსტრია) 1:45.69; 6. ანია პერსონი (შვედეთი) 1:45.73; 7. ელიზაბეთ გიორგლი (ავსტრია) 1:45.77; 8. ნადია ფანკინი (იტალია) 1:45.86; 9. კელი ფანდერბეეკი (კანადა) 1:45.89; 10. კაროლინა რუის კასტილიო (ესპანეთი) 1:45.97...

**დაშვების კლასიფიკაცია**

1. ლინდსი ვონი (აშშ) 655; 2. რენატე გიოჩლი (ავსტრია) 368; 3. ბრიტ იანიკი (კანადა) 350; 4. კელი ფანდერბეეკი (კანადა) 301; 5. ანია პერსონი (შვედეთი) 295...

**აბსოლუტური კლასიფიკაცია**

1. ლინდსი ვონი (აშშ) 1063; 2. ნიკოლ ჰოსპი (ავსტრია) 999; 3. მარია რიში (გერმანია) 881; 4. ელიზაბეთ გიორგლი (ავსტრია) 877; 5. მარლის შილდი (ავსტრია) 871; 6. ჯულია მანკუზო (აშშ) 810; 7. ანია პერსონი (შვედეთი) 759; 8. ტანია პოუტიაინენი (ფინეთი) 704; 9. რენატე გიოჩლი (ავსტრია) 629; 10. დენიზე კარბონი (იტალია) 619...

**უისტლერი (კანადა)**
**კაცები. გიგანტური სლალომი**

1. ჰანეს რაიხელტი (ავსტრია) 2:37.43 (1:20.79, 1:16.64); 2. დიდიე კუშე (შვეიცარია) 2:37.82 (1:20.73, 1:17.09); 3. ბენიამინ რაიხი (ავსტრია) 2:37.87 (1:20.53, 1:17.34); 4. ტედ ლიგეტი (აშშ) 2:37.95 (1:21.02, 1:16.93); 5. ჯონ კუჩერა (კანადა) 2:38.27 (1:21.08, 1:17.19); 6. მანფრედ მიოლგი (იტალია) 2:38.32 (1:21.18, 1:17.14); 7. ბოდე მილერი (აშშ) 2:38.64 (1:21.64, 1:17.00); 8. შტეფან გიორგლი (ავსტრია) 2:38.73 (1:21.60, 1:17.13); 9-10. მარკუს სანდელი (ფინეთი) 2:38.77 (1:21.83, 1:16.94); 9-10. კარლო იანკა (შვეიცარია) 2:38.77 (1:22.57, 1:16.20)...

**აბსოლუტური კლასიფიკაცია**

1. ბოდე მილერი (აშშ) 1103; 2. ბენიამინ რაიხი (ავსტრია) 1058; 3. დიდიე კუშე (შვეიცარია) 998; 4. ივიცა კოსტელიჩი (ხორვატია) 686; 5. ჟან-ბაპტისტ გრანჟი (საფრანგეთი) 682; 6. მანფრედ მიოლგი (იტალია) 675; 7. ტედ ლიგეტი (აშშ) 662; 8. დანიელ ალბრეხტი (შვეიცარია) 654; 9. მარიო მატი (ავსტრია) 540; 10. რაინერ შიონფელდერი (ავსტრია) 475...

ლელო
სპორტული გაზეთი

მთავარი რედაქტორი
თენგიზ გაჩეჩილაძე

დირექტორი
პაატა გელაშვილი

რედაქტორები
მამუკა ჩიხლაძე
გია თვალაბეიშვილი

ქართული სპორტი
ნიკოლოზ ნეფარიძე
პაატა თოთაძე
მერაბ მამულაშვილი
დავით ცაბაძე
ლევან ჯანეზაშვილი
გია ტუხაშვილი
დავით თავართქილაძე
ირაკლი თავაძე
ვაჟა სიმონიშვილი
ზვიად შათირიშვილი
კობა ხატისაშვილი
ბესიკ ჯანგავაძე

უცხოური სპორტი
შალვა ბიბილაშვილი
გოტფრიდ ლენცი
ილია ნიკოლაიშვილი
მერაბ ლორთქიფანიძე
დავით ჩუბინიძე
ზურაბ თალაკვაძე

რეგიონული კორესპონდენტები:
დავით კოხრეიძე, ვასილ ბალახაძე, მერაბ გრძელიძე, მამუკა ქანთარია, ირაკლი დარცმელიძე, ნიკო ვაყელიშვილი

ფოტო
ალექსანდრე კოტორაშვილი
ნუგზარ სუარიძე

ტექნიკური რედაქტორი
მიხეილ ჯაში

ტექნიკური ჯგუფი:
მანანა აკიმოვა, მზია ელიზბარაშვილი, ხათუნა სამხარაძე, დავით გეგეჭკორი, დავით შალუტაშვილი, კობა გელაშვილი

კორექტურა
ლელა ხომასურიძე
ლევან ბიბილაშვილი

გავრცელების სამსახური და ფინანსური ჯგუფი:
დავით მაისურაძე (დირექტორის მოადგილე), გივი ვეშაპიძე, ქეთევან დიდბერიძე

მარკეტინგის სამსახური
თამარ ჯიმშკარიანი (ტ: 46 34 48)
ბაქარ გაჩეჩილაძე (ტ: 899 91 87 17)

პირველი ნომერი გამოვიდა 1934 წლის 13 აპრილს თბილისში, სახელით "საქართველოს ფიზკულტურელი". 1936-39 წლებში ერქვა "ფიზკულტურელი", "ლელომდე" დაიბეჭდა 362 ნომერი. 1949 წლის 10 ივლისს გაზეთი აღადგინა მიხეილ კაკაბაძემ.

2006 წელს გაერთიანდა გაზეთ "სპორტთან".

სპორტი
გამოდიოდა 2002-06 წლებში.

ლელოს მთავარი რედაქტორები:
მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 64-76)
ერემო მახათაძე (1952-53)
ირაკლი უგულავა (1953-64)
ანზორ ბასილაია (1976-83)
არჩილ გოგელია (1984-85)
თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან)

დამფუძნებელი:
შპს გაზეთი ლელო

ახმეტელის 10ა,
0159 თბილისი
(დიღომი, ახალი კონსტუდია, პირველი სართული);

ტელეფონი: 46 30 98
46 30 56, 46 32 62
899 55 48 97 (მთ. რედაქტორი)
53 39 11

ფაქსი +995 32 46 30 97

e-mail: sporti@sporti.ge
ინდექსი 66435 INDEX

გამოდის ყოველდღე, გარდა კვირისა